პალიტრა მედია

# ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
13 ნოემბერი **ოთხშაბათი** 2013
№268 (14 184) ფასი 80 თეთრი

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა

## ილია კოკაია:
# სიჭინავას სამ დღეს ვაძლევ!

**ფედერაციის პრეზიდენტმა იცის, რომ ის დანიშნულია და არანაირი ძალა არ გააჩნია**



4

ილია კოკაია (მარცხნივ) და ზვიად სიჭინავა

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

## ლელოს სტუმარი
## შოთა არველაძე



2

**ქეცბაია ზერელე მიდგომას ვერ იტანს...**

ჭადრაკი. ევროპის გუნდური პირველობა

## ქართველები ლიდერთა სამეულში

გუშინდელი მოსალოდნელი რეალობა: ვაჟებმა ისრაელს აჯობეს, ქალებმა სომხეთს ვერ მოუგეს

10



თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

## საქართველო უელსით იწყებს

დღეს ვაკეში, მიხეილ მესხზე: 19-წლამდელების პირველი ევროშესარჩევი მატჩი

2

U 19. საკვალიფიკაციო ეტაპი

# ნაკრები გაიცხრილა, დღეს უელსია

**დღეს ვასილ მაისურაძის მიერ გაწვრთნილი საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე პირველ შეხვედრას გამართავს - „მიხეილ მესხზე“ უელსს დაუპირისპირდება, ხოლო „დინამო არენაზე“ ჰოლანდია მოლდოვას შეხვდება. შესარჩევის თბილისური ციკლი 18 ნოემბრამდე გაგრძელდება. საქართველოს ნაკრების ბირთვს ის ფეხბურთელები შეადგენენ, რომლებმაც მაისურაძის ხელმძღვანელობით 2012 წელს 17-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატზე ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს. მწვრთნელმა დაასახელა ის 18 ფეხბურთელიც, რომლებიც ევროშესარჩევში 19-წლამდელთა ნაკრების ღირსებას დაიცავენ:**

მეკარეები - **ბექა ქურდაძე** (საბურთალო), **ნიკა შერმადინი** (მეტალურგი, რუსთავი);

მცველები - **ალექსანდრე გურეშიძე, გიგა სამხარაძე, ოთარ კაკაბაძე** (ყველა - დინამო), **ჯემალ ტაბიძე, გიორგი თევზაძე** (ორივე - საბურთალო), **ნიკოლოზ ჭანტურია** (ტორპედო);

ნახევარმცველები - **გიორგი გოროზია, მათე ცინცაძე, ნიკოლოზ ახვლედიანი, ლუკა კიკაბიძე** (ყველა - ტორპედო), **გიორგი აბურჯანია** (დილა), **ლევან შენგელია** (დილა 2), **გიორგი პაპუნაშვილი** (დინამო);

თავდამსხმელები - **დავით ჯიქია** (ტორპედო), **ლუკა ზარანდია** (ლოკომოტივი), **ილია კერძევაძე** (დილა 2).

სამწუხაროდ, გუნდში დანაკლისია - ვარჯიშზე მეკარე **ოთარ გოშაძე** დაშავდა და ნაკრებს ველარ დაეხმარება. გუშინ 19-წლამდელებმა მატჩისწინა ოფიციალური ვარჯიში ფეხბურთის ფედერაციის ტექნიკურ ცენტრ „ბასაზე“ ჩაატარეს. წვრთნაზე 15 წუთით მედიაც დაუშვეს. აქვე რამდენიმე კომენტარსაც გთავაზობთ:

**ოთარ კაკაბაძე** (მცველი. 2012 წელს 17-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის სიმბოლურ ნაკრებში დაასახელეს): *„ახლა ჩვენგან მინიმუმ ევროპის ჩემპიონატზე გასვლას ითხოვენ. რა თქმა უნდა, მიზანი ახლაც იგივეა, მაგრამ წინ ჯერ უელსს უნდა მოვუგოთ. რთული ბარიერებია გასავლელი და ვნახოთ, რა გამოგვივა. შემადგენლობა საკმაოდ შეცვლილია, რამდენიმე ძველი ფეხბურთელი გვაკლია, სამაგიეროდ, ბევრი ახალი და საინტერესო მოთამაშეც გვყავს“.*

ილია კერძევაძე (თავდამსხმელი): *„კარგი შეკრება გვქონდა და ტურნირის გახსნას იმედით ველით. თუმცა პირველი შეხვედრა ყოველთვის მძიმეა. ამას ისიც ემატება, რომ უელსის ნაკრებზე ინფორმაცია არ გვაქვს. ნებისმიერ შემთხვევაში, მაქსიმალური მობილიზება გვჭირდება, ტურნირი გამარჯვებით რომ დავიწყოთ და გულშემატკივარი გავახაროთ“.*

■ ■ ■

მატჩისწინა წვრთნა XI ჯგუფის სხვა მონაწილეებმაც გამართეს. ჰოლანდიამ და მოლდოვამ „დინამო არენაზე“ ივარჯიშეს, უელსმა - ვაკეში. 19 საათზე კი, „მიხეილ მესხის“ მედიაცენტრში ტურნირის ოფიციალური პრესკონფერენცია შედგა, რომელზეც ერთად წარდგნენ საქართველოს, მოლდოვის, ჰოლანდიისა და უელსის ნაკრებთა მთავარი მწვრთნელები.

გაურკვეველი მიზეზის გამო, უელსელთა მთავარი მწვრთნელის, **გარნეტ ვილიამსის** ნაცვლად, მედიასთან შეხვედრაზე უელსის ნაკრების მეკარეთა მწვრთნელი **ჯერ ვუდი** გამოცხადდა.

**ჯერი ვუდი (უელსი):** *„პირველი შთაბეჭდილებები დადებითია. ჩვენ ძალიან კარგი შემადგენლობა გვყავს. ალსულვარ და იმედია, თავს ისე ვიგრძნობთ, როგორც საკუთარ სახლში. ჩვენ ძალიან ძლიერ ჯგუფში მოვხვდით, მაგრამ აქ დასასვენებლად არ ვართ. მჯერა, კარგად ვითამაშებთ და ყველასთვის ანგარიშგასაწევი გუნდი ვიქნებით“.*

**ვასილ მაისურაძე (საქართველო):** *„ჰოლანდიელების მსგავსად, ჩვენც აქცენტი პირველ შეხვედრაზე გადავიტანეთ. უელსთან მატჩი ძალიან მნიშვნელოვანია და მის შედეგზე ბევრი რამ იქნება დამოკიდებული. ძლიერი ჯგუფია და ფავორიტის დასახელებისგან თავს შევიკავებ“.*

ჩვენი ჯგუფის სრული კალენდარი კი ასეთია:

| | |
|---|---|
| **13 ნოემბერი** | |
| მიხეილ მესხი | |
| საქართველო-უელსი | 14:00 |
| დინამო არენა | |
| ჰოლანდია-მოლდოვა | 15:00 |
| **15 ნოემბერი** | |
| მიხეილ მესხი | |
| საქართველო- მოლდოვა | 14:00 |
| დინამო არენა | |
| ჰოლანდია-უელსი | 15:00 |
| **18 ნოემბერი** | |
| მიხეილ მესხი | |
| საქართველო- ჰოლანდია | 15:00 |
| დინამო არენა | |
| უელსი-მოლდოვა | 15:00 |



გუშინდელ პრესკონფერენციაზე. მარცხნიდან: იური ოსიპენკო, ვასილ მაისურაძე, ვიმ ვან ზვამი, ჯერი ვუდი.
თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

**ვიმ ვან ზვამი (ჰოლანდია):** *„კარგი მოსამზადებელი ეტაპი გავიარეთ. სექტემბერსა და ოქტომბერში რამდენიმე საკონტროლო შეხვედრა ჩავატარეთ. მაგრამ ოფიციალურ მატჩებს მაინც სხვა დატვირთვა და ემოცია აქვს. ახლა მხოლოდ მოლდოვასთან კარგად თამაშზე ვფიქრობთ, რადგან კარგი დასაწყისი ყოველთვის მნიშვნელოვანია - ჩვენს ასაკში ხომ ყველაფერი შეიძლება მოხდეს. ასე, მაგალითად, შესარჩევ ტურნირს გამოეთიშნენ საფრანგეთი, იტალია და ხორვატია. მოკლედ, სამივე მეტოქეს პატივს ვცემთ, თუმცა ჰოლანდიის მიზანი პირველი ადგილის დაკავებაა“.*

**იური ოსიპენკო (მოლდოვა):** *„სასიამოვნოა, რომ კვლავ საქართველოში ვარ. თბილისში პირველად არ ჩამოვბათ, მეტოქეთა მწვრთნელებიც ანალოგიურს იტყვიან. იმედია, წინ საინტერესო ტურნირი გველის და წარმატებას მივაღწევთ“.*

სულ ევროპის ჩემპიონატისკენ მიმავალ გზაზე 13 ჯგუფია. ელიტრაუნდში თითოეული ჯგუფის 2-2 გამარჯვებულ გადის და ორიც საუკეთესო მესამეადგილოსანი ემატება. ელიტრაუნდის ყველა მონაწილე 19 ნოემბერს გახდება ცნობილი. 28 ნაკრები 7 ჯგუფში გადანაწილდება. ამ ჯგუფების გამარჯვებულები ფინალურ ეტაპზე (19-31 ივლისი) იასპარეზებენ მასპინძელ უნგრეთთან ერთად.

ელიტრაუნდის 20 მონაწილე უკვე გამოვლინდა: **ჩეხეთი, კვიპროსი, რუმინეთი, ლიტვა, ირლანდია, შვედეთი, ბელგია, ისლანდია, გერმანია, შოტლანდია, ალბანეთი, ბულგარეთი, ინგლისი, შვეიცარია, დანია, ისრაელი, თურქეთი, ჩერნოგორია, რუსეთი, უკრაინა.**

საინტერესოა, რომ ელიტრაუნდის მიღმა დარჩნენ **საფრანგეთი, იტალია, საბერძნეთი** და **ხორვატია.**

**მერაბ მამულაშვილი**

---

# სტუმარი
შოთა არველაძე


შოთა არველაძე   ფრიდონ გეგეშიძის ფოტო

**გასულ უქმეებზე სასტუმრო „ჰოლიდეი ინ“-ში „ფონდი არველაძის“ ლონისძიება გაიმართა. შეჯამდა ამ ფონდის ხუთწლიანი საქმიანობა. ჩამოვიდა შოთა არველაძეც, თურქული „ქასიმფაშას“ მთავარი მწვრთნელი, საქართველოს ეროვნული გუნდის ყოფილი მთავარმეგოლე, ვისაც 26-ჯერ გამოუჩენია თავი ნაკრებში და ეს შედეგი ჯერჯერობით საუკეთესოა... შოთა რედაქციაში ვისტუმრეთ. თურქეთში მომუშავე ტყუპისცალს ტელეფონით თუ შევეხმიანებით ხოლმე. ახლა კი ვისარგებლეთ შემთხვევით და პირისპირ ვესაუბრეთ რამდენიმე საკითხზე...**

# საქართველოში ყველაფერი ძალიან რთულად კეთდება, რადგან აქ ფსიქიკა აქვთ დანგრეული

**- რა ეტაპზეა „ფონდი არველაძის“ საქმიანობა?**

- ეს ფონდი იმისთვის შევქმნით, რომ კარიერის დასრულების შემდეგაც რაიმე სასარგებლო გაგვეკეთებინა ქართული ფეხბურთისთვის. გვსურს, დავანახვოთ მოზარდებს, ახალგაზრდა ფეხბურთელებს, რომ უცხოეთშიც იგივე ხდება, რაც აქ, უბრალოდ განსხვავება სოციალური ფონშია. წავიყვანეთ ბავშვები ისეთ ტურნირზე, სადაც ევროპის გრანდი კლუბების ასაკობრივი გუნდები მონაწილეობდნენ. ჩვენებს ვაჩვენეთ, რომ საფეხბურთო მონაცემებსა და შესაძლებლობებში განსხვავება არ არის. გადავწყვიტეთ, ინდივიდუალურადაც დავეხმარებოდით ნიჭიერ მოზარდებს და დავუნიშნეთ სტიპენდია. მშობლები გვეუბნებოდნენ - ალბათ, ხელშეკრულების გაფორმებაც იქნება საჭირო, მაგრამ ავუხსენით, რომ ამ საქმეში არანაირი სხვა ინტერესი არ გვქონდა. თუ ნიჭიერი ბავშვი პერიფერიიდან იყო, ვთავაზობდით თბილისში ცხოვრების ხარჯის ანაზღაურებას. სამედიცინო დაზღვევა, უცხო ენის შესწავლა - სტიპენდიას ეს დანიშნულებაც მივეცით. ამ დროისთვის 8 სტიპენდიანტი გვყავს. ფონდმა“ ამ საქმეში დაახლოებით ნახევარი მილიონი ლარი დახარჯა - ეს, რაც აღრიცხულია, თორემ იყო სხვა დახმარებებიც. ჩვენ არ ვცდილობთ ამ ყველაფრის აფიშირებას, უბრალოდ, ფონდის ხუთწლიანი საქმიანობა შევაჯამეთ. ვფიქრობთ ახალგაზრდა მწვრთნელების ხელშეწყობაზეც, მასტერკლასი ან რამდენიმედღიანი შეკრების მოწყობა - რაღაცას აუცილებლად გავაკეთებთ ამ მიმართულებითაც.

> **...ქეცბაია სხვებისგანაც საქმისადმი გულიან დამოკიდებულებას ითხოვს, ზერელე მიდგომას ვერ იტანს...**

**- „ქასიმფაშაზე“ გადავერთოთ. თურქეთის ჩემპიონატში მეორე ადგილზე ხართ, თუმცა ამ პოზიციის შენარჩუნება, ალბათ, ძალიან გაგიჭირდებათ, რადგან თურქეთში ისეთი კლუბებიც არიან, მნიშვნელოვნად მეტი ფინანსები რომ აქვთ. „გალათასარაი“, „ფენერბაჰჩე“, „ბეშიქთაში“ - დანარჩენი კლუბებიდან ბევრს აქვს თქვენზე მეტი ბიუჯეტი?**

- თურქეთში ბევრია ფინანსურად შეძლებული კლუბი. მაგალითად, „ტრაბზონსფორის“ ბიუჯეტი 80-100 მილიონია, როცა ჩვენი წლიური ბიუჯეტი 40 მილიონს შეადგენს. სამაგიეროდ, „ქასიმფაშა“ ევროპული სტანდარტების კლუბია, ჩვენთან ყველაფერი სათანადოდ არის ორგანიზებული და მოწყობილი, გადახდის კორექტული ფორმაც გვაქვს - არაფერი გვიანდება.

**- „ქასიმფაშას“ ბაზის გახსნას თურქეთი პრემიერ-მინისტრიც კი დაესწრო, რაც, ალბათ, შემთხვევით არ მომხდარა...**

- ბაზა კლუბის ხარჯებით აშენდა, პრემიერი კი იმ უბანში გაიზარდა და ამანაც განაპირობა ასეთი ყურადღება.

**- ვინ არის „ქასიმფაშას“ მფლობელი? კლუბის ბიუჯეტის ზრდა რამდენად არის მოსალოდნელი?**

- „ქასიმფაშას“ მფლობელია ბიზნესმენი თურგაი ჯინერი, 70-მდე კომპანიაში აქვს აქციები - მედია, სასარგებლო წიაღისეული, გემები... ერთი წელია, რაც „ქასიმფაშას“ ჩაუდგა სათავეში და ამ საქმიდან დივიდენდები ჯერ არ აქვს.

**- „ქასიმფაშასთან“ როგორი კონტრაქტი გაქვთ?**

- წელიწად-ნახევარს პლუს 3 წელიწადი. წელიწად-ნახევარი ამ სეზონის ბოლოს მიმთავრდება და მერე გადაწყდება, გაგრძელდება თუ არა ის 3 წლით.

**- „ქასიმფაშას“ ახალწვეულთაგან უდავოდ გამორჩეულია არგენტინელი ნახევარმცველი ოსკარ სკარიონე...**

- შვეიცარიაში მოთამაშე გიორგი ივანიშვილმა მითხრა ამ არგენტინელზე. სკარიონეც შვეიცარიაში, „სენტ გალენში“ თამაშობდა. აქედან დაიწყო ამ ტრანსფერზე მუშაობა.



**- ფეხბურთის ფედერაციის ყოფილმა გენმდივანმა დავით კვინიკაძემ „ლელოსთან“ ინტერვიუში თქვა - დავით ყიფიანი საქართველოს ნაკრების მწვრთნელობისას სიტუაციას ვერ ფლობდა და გუნდის წამყვანი ფეხბურთელები მას გვერდში არ დაუდგნენო...**

- კვინიკაძეს პასუხს არ გავცემ.

**- და მაინც, რა მოხდა პოლონეთთან 1:4-ზე წაგებული მატჩის შემდეგ თვითმფრინავის სალონში?**

- არაფერიც არ მომხდარა! როგორ შეიძლებოდა, რამე მომხდარიყო, როცა თვითმფრინავში იყვნენ ნოდარ ახალკაცი, დავით ყიფიანი და რევაზ ძოძუაშვილი? ფეხბურთელებსა და მათ შორის, პროფესიულის გარდა, მამაშვილური ურთიერთობაც იყო.

> **...როგორ შეიძლებოდა, რამე მომხდარიყო, როცა თვითმფრინავში იყვნენ ნოდარ ახალკაცი, დავით ყიფიანი და რევაზ ძოძუაშვილი?**

**- ძნელია იმავეს თქმა საქართველოს დღევანდელ ნაკრებზე. ცოტა არ იყოს, დაძაბული ურთიერთობები იყო ამ ბოლო დროს. საინტერესოა, ერთ დროს საქართველოს ნაკრებში მოთამაშე თემურ ქეცბაია როგორი იყო მოედანზე და მოედნის მიღმა ურთიერთობებში?**

- ძალიან გულიანი და ძმაკაცურად გვერდში მდგომი, ყველაფერს ძალიან განიცდიდა. ის მწვრთნელობის დროსაც ასე განიცდის ყველაფერს და სხვებისგანაც საქმისადმი გულიან დამოკიდებულებას ითხოვს, ზერელე მიდგომას ვერ იტანს. მწვრთნელობისას ეს მას დიდ ენერგიასა და ნერვებს ართმევს.

**- წარმატებულ და დალაგებულ ქვეყნებში ასეა - ეროვნულიდან დაწყებული, ყველა ასაკობრივი ნაკრები ერთ სათამაშო მოდელს ირჩევს. როგორ ფიქრობთ, ეს დოგმაა თუ არ არის აუცილებელი, რომ საქართველოშიც ყველაფერი ასეთ სისტემაში ჩაჯდეს?**

- წარმატებულ ქვეყნებში ყველგან ასეა, ჩვენთან კი იმიტომ ვერ ხერხდება ამის გაკეთება, რომ ჯერ არ ვართ წარმატებული ქვეყანა. ნების გამოხატვა და დაფიქსირება ადვილია, ამ ყველაფრის გაკეთება კი - ძალიან ძნელი. საქართველოში ყველაფერი ძალიან რთულად კეთდება, რადგან აქ ფსიქიკა აქვთ დანგრეული. ადრე სად იყო მწვრთნელთა განათლება? ნიჭისა და გამოცდილების მიხედვით კეთდებოდა ეს საქმე, სისტემის შექმნას კი ბევრი განათლებული და კარგი მწვრთნელი სჭირდება, ერთ კაცზე ეს სისტემა ვერ აეწყობა. საქმე ბავშვთა ფეხბურთიდან არის დასაწყები, ქვემოდან ზევით და არა - პირიქით.

**დავით თავართქილაძე**

---

უცნობი ქართველები

# ქახეთიდან ქუინზ პარკამდე

ბოლო 20 წელიწადია, ქვეყანაში დატრიალებულმა მოვლენებმა გამოიწვია ის, რომ ქართველების დიდი ნაწილი უცხოეთში გადაიხვეწა და ახლა, ლამის ყოველდღე, უცნობ ჩვენებურს რომელ ქვეყანაში არ აღმოვაჩენთ ხოლმე...

ერთ-ერთი ასეთი ფეხბურთელი 19 წლის **რამაზ დარბაისელია.** მეგობარმა ინტერნეტში აღმოაჩინა ქართველი ფეხბურთელის გვერდი, სადაც ეს ახალგაზრდა ინგლისის ჩემპიონშიფის ცნობილი კლუბის, „ქუინზ პარკ რეინჯერსის“ ფორმით თამაშობდა. ინგლისში ქართველი ფეხბურთელის წასვლა მოვლენაა და ცხადია, დარბაისელით დავინტერესდით.

*„დიახ, „ქუინზ პარკის“ აკადემიაში ვთამაშობ. მაგრამ ჯერ ჩემი საკითხი გადასაწყვეტია. საქმე ისაა, რომ მშობლები ინგლისში იყვნენ და და უკვე წელიწად-ნახევარია, რაც მეც ჩამოვედი. თავიდან ნახევრად პროფესიულ, „სემიპროს“ ყველაზე მაღალი ლიგის „ლონდონ ტაიგერსის“ ძირითად გუნდში ვთამაშობდი. ამ ლიგაში გამარჯვებული პროფესიონალებში გადადის. არ ვტრაბახობ, შარშან კარგი სეზონი მქონდა და წლეულს „ქუინზ პარკ რეინჯერსის“ აკადემიაში ამიყვანეს, სადაც 17-იდან 19 წლამდე ფეხბურთელები თამაშობენ. 19 წელი ფეხბურთელისთვის პატარა ასაკი არ არის. ცხადია, პროფესიულ კლუბში ჩარიცხვა მინდა და შანსიც მაქვს. „ქუინზ პარკთან“ კი არანაირი ხელშეკრულება არ გამიფორმებია, რადგან ჩემი საბუთები ჰომოფისში გავაგზავნე, საკითხს განიხილავენ და ველოდები პასუხს, თამაშის უფლება რომ მივიღო. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება კონტრაქტის გაფორმება. ქართული საბუთებით, და მით უმეტეს ვიზით, ბრიტანეთში არავის არავინ უნდა. რაღაც ვარიანტი მაქვს, მაგრამ საბუთების მოწესრიგებამდე ამაზე ლაპარაკი ჯერ ნაადრევია. ისე კი, „ქუინზ პარკის“ აკადემიიდან ძლიერ კლუბში მოხვედრა შედარებით ადვილია“.*

დარბაისელი საკუთარ კარიერაზე გვიყვება: *„19 წლის ვარ და შეტევის ყველა პოზიციაზე ვთამაშობ, მარჯვენა და მარცხენა ფლანგზე, ასევე - ცენტრალურ თავდასხმელად. საქართველოში, „ნორჩ დინამოში“, ზორბეგ ებრალიძესთან ვვარჯიშობდი, შემდეგ - ზაზა დიდებაშვილთან. ასაკობრივ ნაკრებებში მხოლოდ ერთხელ მიმიწვიეს. მაშინ მთავარი მწვრთნელი კობა ჟორჟიკაშვილი იყო და კახეთში შერჩევა რომ ჩაატარეს, 300 ბავშვიდან 5 შეგვარჩიეს. საგურამოში, „ლოკომოტივის“ ბაზაზე, დასკვნითი ბოლო შერჩევა უნდა გაგვევლო. მაგრამ ამ შეკრებამდე ერთი კვირით ადრე ხელი მოვიტეხე. მერე, მშობლები ევროპაში რომ წავიდნენ, „დინამოს“ აკადემიაში ვთამაშობდი. 3 წელი კახეთში ვცხოვრობდი და თბილისში საგარეჯოდან დავდიოდი. მერე პრობლემები მქონდა და 1 წელი გავჩერდი. ინგლისში კი თამაში განვაახლე და იმედი მაქვს, ამ დონეზე არ გავჩერდები“.*

**მერაბ მამულაშვილი**


რამაზ დარბაისელი

მოსალოდნელი ტრანსფერი

# დარციმელია სევასტოპოლისკენ

დღეს საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ერთვება. **ვასილ მაისურაძის** გუნდის განაცხადში ვეღარ მოხვდა რამდენიმე ისეთი მოთამაშე, ვინც 2012 წელს სლოვენიაში გამართულ ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე იასპარეზა: მეკარე **ალეკო ადამია**, ნახევარმცველი **ჭიაბერ ჭეჭელაშვილი** და თავდამსხმელები - **ვანო წილოსანი, ალეკო მზევაშვილი, არჩილ მესხი** და **დავით დარციმელია.**

ეს უკანასკნელი თბილისის „ლოკომოტივის“ ერთ-ერთი ლიდერი გახლდათ და წლეულს, ზაფხულში, ქუთაისის „ტორპედოში“ უნდა გადასულიყო. მაგრამ, მოულოდნელად, 18 წლის დარციმელია პირველი ლიგის მარნეულის „ალგეთში“ აღმოჩნდა. ჩვენი ინფორმაციით, თავდამსხმელი გასულ ზაფხულს უკრაინის პრემიერლიგის კლუბ „სევასტოპოლში“ ისინჯებოდა, „ალგეთში“ კი დროებით თამაშობს, რადგან უკრაინაში წასვლას კვლავ იმედოვნებს.

ინფორმაცია თავად დარციმელიამაც დაგვიდასტურა: *„დიახ, ასეა, ზაფხულში მართლაც ვიყავი „სევასტოპოლში“ და უკრაინელები სატრანსფერო პერიოდის დაწყების შემდეგაც მელიან. მარნეულის „ალგეთში“ ფორმის შესანარჩუნებლად ვვარჯიშობ და ვთამაშობ“.*

სხვათა შორის, დარციმელია პირველი ქართველია, ვისაც „ბარსელონას“ საფეხბურთო აკადემიაში უვარჯიშია: 2007 წელს, როცა თბილისის „ლოკომოტივი“ კატალონიური კლუბისთვის ტალანტების მოძიების პროგრამაში ჩაერთო, აქ ჩამოსულმა სკაუტმა **იაგო აგილარმა** სწორედ დარციმელია გამოარჩია და ორი კვირით ბარსელონაში წაიყვანა...

**მერაბ მამულაშვილი**

---

ლეგიონერი


ავთო ებრალიძე და „ვილ ვისენტეს“ პრეზიდენტი ანტონიო ფიუზა

# ავთო ებრალიძე
# ნაკრები დიდი ტრამპლინია

[illegible] და“ 5:0 გაანადგურა, მოედანზე მე-60 წუთზე შესულმა ებრალიძემ კი 17 წუთში გოლი გაიტანა...

15 ოქტომბერს, ალბასეტეში, მრისხანე ესპანეთის წინაალმდეგ, 22 წლის შემტევმა საქართველოს ნაკრებში სადებიუტო შეხვედრა ჩაატარა. ავთომ „ჟილ ვისენტეს“ პრეზიდენტისადმი მადლიერება საჯაროდ გამოხატა და „გიმარაეშთან“ მატჩის დაწყებამდე საქართველოს ნაკრების მაისურა აჩუქა. ის საფეხბურთო სამყარომ სწორედ ამ კლუბიდან გაიცნო და შედეგად, ეროვნულ გუნდშიც მოხვდა. ებრალიძემ „ლელოს“ ინტერვიუ მისცა...

**- გულშემატკივარმა პორტუგალიაში გადასვლის შემდეგ გაგიცნოთ. „ვილ ვისენტეს“ შემადგენლობაში პირველი გოლიც გაიტანე და ნაკრებშიც გამოგიძახეს...**

- ოქტომბერი ჩემთვის ბედნიერი თვე აღმოჩნდა. „ვილ ვისენტეს“ შემადგენლობაში გოლი ჩემთვის ბევრს ნიშნავდა. მაგრამ უფრო მნიშვნელოვანია, რომ ეს მომავალშიც გავაგრძელო, თორემ ამ ერთი გოლის გამო ვერც კლუბის შემადგენლობაში დავჯავშნი ადგილს და არც ნაკრებში გამომიძახებენ.

**- უკვე თვეზე მეტია, რაც პორტუგალიის მთავარ ლიგაში თამაშობთ და მასზე სრული წარმოდგენა შეგექმნებოდათ.**

- მას არ მიიჩნევენ ევროპის ტოპლიგად, მაგრამ ახლა ჩემთვის პორტუგალიაში თამაში სრულიად მისაღებია. გუნდები ტექნიკურ, სწრაფ და თანამედროვე ფეხბურთს თამაშობენ. მიმაჩნია, რომ მათი ერთ-ერთი მთავარი პლუსი ის არის, რომ ტაქტიკურადაც გამართულად მოქმედებენ. ახალგაზრდა ფეხბურთელისთვის აქ თამაში სერიოზული ტრამპლინია. უფრო ზუსტად რომ ვთქვა, ჩემთვის პორტუგალიის პრიმეირა ლიგაში მოხვედრაც ძალიან დიდი ნახტომი იყო. აქ ევროპული დონის კლუბები ჰყავთ - „ბენფიკა“, „პორტუ“, „სპორტინგი“, „ბრაგა“... წლეულს, ჩემპიონთა ლიგაზე სამი პორტუგალიური კლუბი გავიდა, სამიც - ევროპალიგაზე. ეს მათ დონეზე ყველაზე უკეთ მეტყველებს. მართალია, ტიტულოვან და მდიდარ კლუბში არ მოვხვედრილვარ, მაგრამ „ჟილ ვისენტე“ 99 წლისაა და ამ ეტაპზე, როგორც გითხარით, ეს სავსებით მაკმაყოფილებს. მთავარია, ბევრი ვითამაშო, ხალხმა გამიცნოს და იმედია, მომავალში უკეთეს დონეზეც ვითამაშებ.

**- შესაძლოა, ამაზე ლაპარაკი ნაადრევია, მაგრამ ასეთი დონის ჩემპიონატში რომ მოხვდება ფეხბურთელი, მისით უკეთესი გუნდებიც დაინტერესდებიან...**

- „ჟილ ვისენტეში“ ახალი ჩარიცხული [illegible] ახალი დაწყებული იყო, „ჟილ ვისენტეშიც“ მხოლოდ 4 მატჩი მქონდა ჩატარებული და, მართალია, გოლით და საგოლე გადაცემით გამოვიჩინე თავი, მაგრამ ნაკრების მთავარი მწვრთნელის მხრიდან დაინტერესება მაინც დიდი მოულოდნელობა და, ასე ვიტყოდი, კარიერული ნახტომი იყო. არ ვიცი, საქართველოს ნაკრებსა და მის თამაშს ვინ როგორ აფასებს, მაგრამ მე კი ეროვნული გუნდის მაისურის ტარება მეამაყება და ეს ჩემს მომავალსაც ძალიან წაადგება. ყველაფერი კი „ჟილ ვისენტეს“ დამსახურებაა, სადაც მწვრთნელისა და პრეზიდენტის მხრიდან ნდობას ვგრძნობ.

**- ნაკრებში თქვენს გამოძახებას გუნდში როგორ შეხვდნენ?**

- გაუხარდათ და მომილოცეს, მათ შორის, პრეზიდენტმა და მწვრთნელმაც, რადგან ფეხბურთელს ეროვნულ გუნდში რომ უხმობენ, ეს კლუბის სახელიც არის.

**- ...მაგრამ ესპანეთთან მატჩში ბურთთან მხოლოდ მცირე კონტაქტი გქონდათ...**

- ესპანეთი ისეთი გუნდია, რომელიც ბურთის დაჭერის საშუალებას არავის აძლევს. ყველა კარგად ვხვდებოდით, რომ ასეც მოხდებოდა და რაც გვსურდა, იმის საშუალებას არ მოგვცემდნენ. ბურთი სულ 4-5-ჯერ მივიღე და ერთხელ კუთხურიც ჩავაწოდე. ისე, ერთი გადაცემაც არ გამიფუჭებია. სტადიონზე ისეთი ატმოსფერო იყო, წარმოუდგენელია, ფეხბურთელს მეტი სტიმული ჰქონდეს. ეს იყო ჩემს კარიერაში ყველაზე დასამახსოვრებელი შეხვედრა. როგორია, სადებიუტო მატჩს რომ თამაშობ და თანაც - ესპანეთის წინააღმდეგ?!

**- მატჩის შემდეგ თემურ ქეცბაიას თუ ელაპარაკეთ?**

- არა, მაგრამ იმედია, კვლავ გამომიძახებს და თავის გამოჩენას მოვახერხებ.

**- როგორია ნაკრებზე პირველი შთაბეჭდილება?**

- თამაშებს მანამდეც ვუყურებდი და გული მწყდებოდა, რომ შედეგი არ გვქონდა. პირველი, რაც შევნიშნე, საქმისადმი პროფესიული მიდგომა იყო. შესაძლოა, ჩემი ვარაუდი ბევრს გაუკვირდეს და არ დამეთანხმოს, მაგრამ მიმაჩნია, რომ ამ გუნდს დრო სჭირდება და შედეგი ექნება, რადგან საკუთარი თვალით ვნახე, ბიჭები როგორი მონდომებულები არიან. ხალხის გახარება მათ ყველაზე მეტად სურთ და ძალიან განიცდიან, რომ ჯერჯერობით ამას ვერ ახერხებენ.

**- ნაკრებში მანამდე არავინ გიცნობდათ. როგორ დაგხვდნენ ბიჭები?**

- ელგუჯა გრიგალაშვილის გარდა, მართლაც არავინ მიცნობდა. მერე ყველა სწრაფად გავიცანი, შევეჩვიე და თავი უცხოდ არ მიგრძნია.

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ



ილია კოკაია (მარცხნივ) და ზვიად სიჭინავა

# ილია კოკაია: თუ ზვიად სიჭინავა სამ დღეში არ გადადგება, მე წავალ

გუშინ „ზესტაფონის" პრეზიდენტმა ილია კოკაიამ პრესკონფერენცია გამართა. „ლელო" ადრეც წერდა იმის შესახებ, რომ ამ კლუბის ფეხბურთელმა თორნიკე გორგიაშვილმა თავისუფალი აგენტის სტატუსი მოითხოვა, რადგან „ზესტაფონმა" მას ორი თვის ხელფასი დაუგვიანა. გორგიაშვილმა ჯერ ფეხბურთის ფედერაციის ფეხბურთელთა სტატუსის კომიტეტში შეიტანა სარჩელი (კომიტეტმა ფეხბურთელის პრეტენზიები არ დააკმაყოფილა), მერე კი სააპელაციო კომიტეტში გაასაჩივრა საქმე. ამბავი იმით დასრულდა, რომ გორგიაშვილს თავისუფალი აგენტის სტატუსი მისცეს.

გორგიაშვილის საქმე, როგორც ჩანს, მორიგი ფაქტორი აღმოჩნდა საიმისოდ, რომ გუშინ კოკაიას მწვავე, შეიძლება ითქვას, რადიკალური განცხადებები გაეკეთებინა...

- იმედი მქონდა, რომ რაღაც სასიკეთოდ შეიცვლებოდა, მაგრამ გუშინ ეს იმედიც გადამეწურა. აქ არ არის ლაპარაკი მხოლოდ „ზესტაფონზე", აქ მთლიანად ქართული ფეხბურთის ყოფნა-არყოფნის საკითხია. არასამართლიანად ხდება საფეხბურთო კლუბების დაფინანსება, კერძო კლუბების ინტერესები უგულებელყოფილია. საბიუჯეტო კლუბს 2 მილიონ ლარს რომ მისცემენ ნახევარ სეზონზე და კიდევ სხვა გუნდებს რომ დააფინანსებენ... როგორც გავიგე, მარტვილის „მერანის" აქციების 51 პროცენტი მუნიციპალიტეტს გადაეცა. საქმე იქითკენ მიდის, რომ მალე გუბერნატორების ჩემპიონატი გვექნება. ახლა 35 ათასი ლარი მაქვს გადასახდელი ბიუჯეტში და რა გამოდის - ეს ფული მერე საბიუჯეტო კლუბებს გადაუნაწილდებათ, ანუ „ზესტაფონს" შემოუბრუნდება. ასეთ დროს ფეხბურთის ფედერაცია ამ ყველაფრის საწინააღმდეგოდ არაფერს აკეთებს. ფედერაციის იურიდიულ სამსახურში არის ქაოსი. ფეხბურთელთა ინტერესების დამცველი ორგანიზაცია რამდენიმეა, კლუბების ინტერესების დამცველი კი ვერ ვნახე. არადა, კლუბების ინტერესებს პროფესიული ლიგა და ფეხბურთის ფედერაცია უნდა იცავდნენ. თუმცა პროფლიგა არ ფუნქციონირებს, ფედერაცია კი... ფეხბურთელს ორი თვის ხელფასი დაუგვიანდა მაშინ, როცა საერთო ეკონომიკური კრიზისის დროს იტალიაში თუ ესპანეთში ფეხბურთელებს ხელფასი 8-9 თვით უგვიანდებოდათ. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ კი შექმნა იმის პრეცედენტი, რომლის მერე უკვე ნებისმიერ ფეხბურთელს შეუძლია კლუბთან კონტრაქტის გაწყვეტა. დავურეკე ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს, მაგრამ ის ტელეფონს არ პასუხობდა. მერე გავარკვიე, რომ ბანკში ყოფილა წასული - სასწრაფო საქმე ჰქონია... რადგან ასეა, მოგიწვიეთ, რათა განვაცხადო, რომ შექმნილი სიტუაციიდან არის ერთი საშველი - გადადგეს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი. თუ ის სამ დღეში არ მიიღებს ამ გადაწყვეტილებას, მაშინ მე წავალ „ზესტაფონიდან" და თუ რა მოჰყვება ამას, ეს უკვე მეორე საკითხია. ფედერაციის პრეზიდენტმა იცის, რომ ის არის დანიშნული პრეზიდენტი და არანაირი ძალა არ გააჩნია. წარმოუდგენელია, ასეთმა კაცმა შეძლოს ამ მეურნეობის გაძღოლა.

**- სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა ლევან ყიფიანმა თქვა, რომ დამდეგი საფეხბურთო სეზონიდან სახელმწიფო ისეთნაირად გამოჰყოფს ფულს კლუბებისთვის, რომ ყველაფერი სამართლიანად იქნება...**

- წასვლის გადაწყვეტილება მხოლოდ გორგიაშვილის საქმის გამო არ მიმიღია, ეს რამდენიმე ფაქტორმა განაპირობა - ერთია სახელმწიფოს მიდგომა საფეხბურთო კლუბებისადმი, და მეორე - ფეხბურთის ფედერაცია არის კასტრირებული ორგანიზაცია. ხელთ მაქვს სააპელაციო კომიტეტის გადაწყვეტილება და აქ ისეთები წერია, რომ კითხვა ჩნდება - იურისტების დაწერილია თუ ბელეტრისტების? და თქვენ წარმოიდგინეთ, ასეთი ხალხი წყვეტს ფეხბურთის ბედს. აქ ის კი არ არის მთავარი, რომ ფეხბურთელი ყოველგვარი კომპენსაციის გარეშე მიდის კლუბიდან, არამედ, პრეცედენტი, რომ ასეთი რამ უკვე მოხდა და უკვე სხვებსაც შეეძლებათ იმავეს გაკეთება. ბოლნისის „სიონში" თვეობით იყო ხელფასები გასაცემი. ზუსტად „ზესტაფონთან" თამაშის წინ „სიონის" ფეხბურთელებს ორი თვის ხელფასი მისცეს და მოგებისთვის თითოეულს 1 500 ლარი დაუწესეს. საქართველოში კერძო კლუბებს არ აქვთ შემოსავალი სატელევიზიო უფლებების გაყიდვით, არც ბილეთების რეალიზაციით და საიდან, როგორ უნდა მიიღონ უკუგება? რჩება ფეხბურთელის ტრანსფერი, მაგრამ აქაც ხომ ხედავთ, რა ხდება?! არ მინდა, „ჯიჰადი" გამოვუცხადო ფეხბურთის ფედერაციას, მაგრამ როცა არ ესმით საკლუბო ფეხბურთის პრობლემები , ეს უკვე უზარმაზარი დარტყმაა...

**- სხვა კერძო კლუბებთან ერთად არ გიცდიათ სოლიდარული პოზიციის შემუშავება?**

- არა მგონია, მათ არ გაიზიარონ ჩემი პოზიცია. ფეხბურთის ფედერაციაში არ იციან, თუ როგორ შეინარჩუნონ ინვესტორი. იცით, რომ თბილისის ზღვაზეც ვაპირებდი საფეხბურთო ბაზის აშენებას, არსებობს ჩვენი კლუბის ბაზაც ზესტაფონში და შემიძლია, ეს ყველაფერი საჩუქრად გავცე. ფედერაციაში ისიც არ იციან, როგორ იჩუქონ ის, რაც სჭირდებათ. პირადად არავის მიმართ მაქვს პრეტენზიები, უბრალოდ, პრეზიდენტის პოსტი მისთვის არ არის. ფედერაციის სათავეში ის უნდა მივიდეს, ვინც რეალურად მიხედავს საქმეს...

**დავით თავართქილაძე**

## I ლიგა. X ტური

### B ზონა

#### ლოკომოტივი-დილა 3:4

06.11. საგურამოს სპორტკომპლექსი. 200 მაყურებელი

0:1 გ. ქვილითაია (5, პენალტით), 0:2 გ. ქვილითაია (36, პენალტით), 1:2 გ. ბაქრაძე (50), 2:2 გ. თედიაშვილი (52), 2:3 გ. ქვილითაია (55), 2:4 გ. ქვილითაია (56), 3:4 გ. თედიაშვილი (63)

ლოკომოტივი: გ. თებიძე, გ. გურეშიძე, გ. მაკასარაშვილი, ლ. რეხვიაშვილი, დ. ცნობილაძე, დ. მიქავა, გ. ბაქრაძე, ა. რეხვიაშვილი (63. გ. დუმბაძე), გ. თედიაშვილი (76. გ. კიკნაძე), ც. მესხი (86. გ. ლვინაშვილი), გ. არაბიძე.

*სათადარიგოები: ო. პატარკაციშვილი, ს. შინჯიკაშვილი, ბ. საჯაია, ნ. წივწივაძე*

მწვრთნელი: გია ცეცაძე

დილა 2: ს. ცაბუტაშვილი, კ. ღალაწიძე, გ. გაგნიძე, ც. ქებურია, ლ. ქოჩლაძე (75. ნ. გაბელია), გ. კაშია, გ. კვარაცხელია (63. ი. ბერიძე), კ. მელაშვილი, გ. დრიაევი, გ. ქვილითაია, გ. ბერიძე.

*სათადარიგოები: ბ. შეყრილაძე, თ. ბექაური*

მწვრთნელი: გუბაზ დოლიძე

გაფრთხილება: გ. მაკასარაშვილი - კ. მელაშვილი, გ. ქვილითაია, ს. ცაბუტაშვილი

არბიტრი: ზ. ასკარ-ოღლი

#### კოლხეთი (ხ)-სამტრედია 0:2

06.11. ხობი. ცენტრალური. 300 მაყურებელი

0:1 თ. კიკაბიძე (29), 0:2 გ. ერისთავი (65)

კოლხეთი: ზ. გელაშვილი, გ. გოგენია, ო. ფიფია (39. ლ. გოგენია), დ. ჭითანავა, ლ. ვართაგავა, ც. ბუკია, კ. გოგენია, გ. პაჭკორია, თ. ღლონტი (78. რ. ცობეხია), ლ. ქაშიბაძე (70. პ. გაბრავა), ი. გერგაია.

*სათადარიგოები: გ. ლომაია, ლ. ჭურღულია, ვ. ფირცხელავა, გ. ბუცხრიკიძე*

მწვრთნელი: ლევან ნოდია

სამტრედია: მ. მუჯრიშვილი, თ. კაკუშაძე, გ. მერმანიშვილი, ბ. გედენიძე, მ. ჟვანია, თ. კიკაბიძე, გ. ბ. თურმანიძე, ლ. ბაკურაძე, ლ. ჩალაძე, გ. გურეშიძე (64. ა. ბაგაშვილი), გ. ერისთავი (77. ი. გამრეკლიძე).

*სათადარიგოები: ბ. ბახტაძე, გ. გოგიტაძე, გ. ხვედელიძე, პ. პაპავა, ნ. ბანძავა*

მწვრთნელი: უჩა სოსიაშვილი

გაფრთხილება: თ. კაკუშაძე

არბიტრი: ხ. გაგნიძე

#### სულორი-სასკო 0:1

06.11. ვანი. გრ. ნიკოლეიშვილი. 200 მაყურებელი

0:1 გ. ქუცურუა (54)

სულორი: დ. ხურციძე, ბ. ბელექანია, ლ. გაბუნია, ა. ქებულაძე, დ. გაგნიძე, გ. ბრეგვაძე, გ. ნიკოლეიშვილი, მ. ნაფეტვარიძე (71. ნ. გიორგაძე), დ. ივანიაძე, ბ. სულაბერიძე (67. გ. ბალდავაძე), თ. მატარაძე (55. თ. მაღლაკელიძე).

*სათადარიგოები: ა. მაღლაკელიძე, გ. თევზაძე*

მწვრთნელი: გიზო ბრეგვაძე

სასკო: ლ. ბრაჭული, გ. სეფიაშვილი, დ. ლომაია, ა. ინწკირველი, ზ. ელიავა, გ. ბერიშვილი (82. გ. მაჩაიძე), დ. დილმელაშვილი, გ. ქუცურუა, გ. არახამია (55. გ. სალარიძე), რ. ჯიქია (65. გ. შენირული), ო. არველაძე.

*სათადარიგოები: ა. აბაშიძე, ლ. მაჭავარიანი, გ. რეხვიაშვილი, ა. ნონოსი*

მწვრთნელი: გიორგი ხიზანიშვილი

გაფრთხილება: ლ. გაბუნია, დ. გაგნიძე

არბიტრი: თ. ხუჭუა

#### სტუ-ბახმარო 4:1

06.11. თბილისი. შატილი. 100 მაყურებელი

1:0 ვ. რობაქიძე (18), 2:0 ნ. ბიწკინაშვილი (24), 2:1 ლ. ნაკაშიძე (53), 3:1 ლ. ჯიქიძე (62), 4:1 კ. კახაბრიშვილი (85)

სტუ: ა. ბილიხოძე, ლ. საბაძე (68. ნ. გოგიშვილი), ნ. ბიწკინაშვილი, ზ. ჭავჭავაძე, დ. ქიმერიძე, ი. გოგატიშვილი. გ. თვალავაძე (67. გ. ბააკაშვილი), კ. კახაბრიშვილი, ლ. ჯიქიძე, გ. ჩუბინიძე, ვ. რობაქიძე (81. მ. გოგატიშვილი).

*სათადარიგოები: გ. ჯიშკარიანი, ო. გაგნიძე, რ. მამფორია*

მწვრთნელი: გოჩა ჟორჟოლიანი

ბახმარო: გ. კუჭავა, ჯ. ლოლუა, პ. ანტვეე, მ. ახობაძე, დ. სიხარულიძე, ვ. პარასკევაშვილი (18. გ. ჭანიშვილი), გ. ჟღენტი (63. ს. გიორგაძე), ა. შონია, ლ. ნაკაშიძე, მ. გიორგაძე, გ. ფალავა (78. თ. ბაზღაძე).

*სათადარიგოები: ჯ. ადოლე, კ. კალანდაძე, ლ. ძნელაძე, ლ. თენაძე*

მწვრთნელი: ბესო გიორგაძე

გაფრთხილება: ლ. საბაძე - მ. ახობაძე

გაძევება: გ. კუჭავა

არბიტრი: ლ. კვარაცხელია

#### სამგურალი-მაჭახელა 0:0

06.11. სამტრედია. ე. მანჯგალაძე. 200 მაყურებელი

სამგურალი: ი. კუჭუხიძე, მ. ჩხარტიშვილი (46. ზ. ჩხეტიანი), ზ. სალინაძე, თ. ჯანაშია, უ. ბანძელაძე, ი. ხვადაგიანი, გ. ამბროლაძე, ლ. ყიფიანი, გ. ბუხაიძე (79. გ. ხარაბაძე), ა. ფანცხავა, გ. თევდორაძე (67. თ. შალიკაშვილი).

*სათადარიგოები: ბ. ბიბილაშვილი, ხ. უგრეხელიძე, ლ. გორდეზიანი, ლ. ხაჭაპურიძე*

მწვრთნელი: გიორგი გოგიაშვილი

მაჭახელა: შ. მამინაშვილი, დ. ბერუაშვილი, დ. რამიშვილი, გ. ფალავანდიშვილი, ლ. ხოხონიშვილი, ა. ლაბაძე (90. ზ. ანანიძე), ნ. შონია, გ. ჩხიკვიშვილი (61. გ. დუმბაძე), ა. ლორია, ი. კუტალია, მ. დავითაძე (69. ლ. კალანდაძე).

*სათადარიგოები: კ. აკმელი, დ. დოლიძე, გ. გოგიტიძე, ნ. ქორიძე*

მწვრთნელი: ამირან გოგიტიძე

გაფრთხილება: ზ. სალინაძე - გ. ფალავანდიშვილი, გ. ჩხიკვიშვილი

არბიტრი: ა. კრიჭაშვილი

#### საბურთალო-ჭიათურა 0:1

03.11. თბილისი. ბენდელა. 200 მაყურებელი

0:1 დ. ციცხვაია (72)

საბურთალო: ო. გოშაძე, ჯ. ტაბიძე, ი. ბეროშვილი, რ. კაკიაშვილი, გ. ხარაიშვილი, გ. თევზაძე, რ. ბარამიძე (75. ა. ვიანე), ვ. მამუჩაშვილი, გ. წივილაშვილი, რ. გოცირიძე, გ. ჩაბრაძე (85. ი. რუხაძე).

*სათადარიგოები: ბ. გვარაძე, დ. ჩომახიძე, გ. მარგველაშვილი, თ. ნადარაია, ბ. ქურდაძე*

მწვრთნელი: თემურ შალამბერიძე

ჭიათურა: გ. ბადურაშვილი, თ. ხარებავა, ი. ტყებუჩავა გ. ქირია, გ. მეცხოვრიშვილი, ლ. ცუცქირიძე, ნ. გაფრინდაშვილი, ი. სარალიძე (60. ლ. კუჭაშვილი), ბ. ბარბაქაძე (66. გ. სამყურაშვილი), დ. სევასტოპულო, დ. ციცხვაია (85. ა. ბაბლიძე).

*სათადარიგოები: ი. ცერცვაძე, ზ. ჯაფარიძე*

მწვრთნელი: ხვიჩა ქასრაშვილი

გაფრთხილება: ჯ. ტაბიძე

არბიტრი: ლ. კვარაცხელია

#### დინამო (ბთ)-ბეთლემი 1:0

06.11. ქობულეთი. ჩელე-არენა. 300 მაყურებელი

1:0 გ. მანწკავა (69)

დინამო (ბთ): მ. ალავიძე, ვ. ქორიძე, ს. თოდუა, ბ. ტეტუნაშვილი, გ. გოგიტიძე (65. გ. კვერენჩხილაძე), ბ. ვარშანიძე, ბ. მახარაძე (54. გ. მანწკავა), თ. ბერიძე (62. ვ. თევდორაძე), ი. ჩირიკაშვილი, ა. აბუსელიძე, ბ. ჩიმაკაძე.

*სათადარიგოები: დ. ადეიშვილი, გ. ალავიძე, კ. თოდაძე, ი. პიცანი*

მწვრთნელი: კობა ჟორჟიკაშვილი

ბეთლემი: ა. მაქაცარია, გ. ნათენაძე, რ. ქობულაძე, ა. ფარტენაძე (38. ლ. ნინიკაშვილი), ი. ნაჭყებია, ლ. ქანთარია, თ. ჩადუნელი, ბ. ჯუგაშვილი (71. ე. ერქომაიშვილი), გ. კახიანი, ი. ბარამიძე (77. ი. ბოლქვაძე), გ. ქობალია.

*სათადარიგოები: გ. შავლიძე, მ. აბულაძე, მ. ბერიძე*

მწვრთნელი: ემზარ იმნაძე

გაფრთხილება: ვ. თევდორაძე - რ. ქობულაძე, ლ. ქანთარია, გ. ქობალია, ი. ბოლქვაძე

არბიტრი: გ. კიკაჩეიშვილი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სამტრედია | 10 | 8 | 1 | 1 | 16-4 | 25 |
| 2. მაჭახელა | 10 | 7 | 2 | 1 | 18-5 | 23 |
| 3. ჭიათურა | 10 | 7 | 1 | 2 | 15-10 | 22 |
| 4. დინამო (ბთ) | 9 | 7 | 0 | 2 | 17-8 | 21 |
| 5. სამგურალი | 10 | 5 | 2 | 3 | 22-16 | 17 |
| 6. სასკო | 10 | 4 | 1 | 5 | 15-12 | 13 |
| 7. ბეთლემი | 10 | 4 | 1 | 5 | 14-13 | 13 |
| 8. საბურთალო | 9 | 3 | 2 | 4 | 13-13 | 11 |
| 9. დილა 2 | 10 | 3 | 2 | 5 | 12-21 | 11 |
| 10. სტუ | 10 | 3 | 1 | 6 | 19-21 | 10 |
| 11. ლოკომოტივი | 10 | 3 | 1 | 6 | 13-17 | 10 |
| 12. კოლხეთი (ხ) | 10 | 2 | 3 | 5 | 9-21 | 9 |
| 13. ბახმარო | 10 | 0 | 5 | 5 | 8-19 | 5 |
| 14. სულორი | 10 | 1 | 2 | 7 | 3-14 | 5 |

#### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ლევან ყიფიანი (სამგურალი) | 7 |
| გივი ბაქრაძე (ლოკომოტივი) | 6 |
| გიორგი ბუხაიძე (სამგურალი) | 6 |
| გიორგი ერისთავი (სამტრედია) | 6 |
| ლევან ჯიქიძე (სტუ) | 6 |

#### მომდევნო ტური

13 ნოემბერი

ბეთლემი-ლოკომოტივი
მაჭახელა-დინამო (ბთ)
ბახმარო-სამგურალი
ჭიათურა-სტუ
სასკო-საბურთალო
სამტრედია-სულორი
დილა 2-კოლხეთი (ხ)

### A ზონა

XI ტური

| | |
|---|---|
| კოლხეთი (ფ)-გაგრა | 1:1 |
| მეშახტე-ალგეთი | 1:0 |
| კახეთი-საპოვნელა | 2:5 |
| მერცხალი-ჩხერიმელა | 0:0 |
| სქური-შუქურა | 1:3 |
| იმერეთი-დინამო2 (თბ) | 1:2 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კოლხეთი (ფ) | 10 | 8 | 1 | 1 | 21-5 | 25 |
| 2. შუქურა | 10 | 7 | 2 | 1 | 31-11 | 23 |
| 3. საპოვნელა | 10 | 7 | 1 | 2 | 19-8 | 22 |
| 4. დინამო 2 (თბ) | 11 | 6 | 1 | 4 | 25-12 | 19 |
| 4. ალგეთი | 10 | 6 | 1 | 3 | 13-7 | 19 |
| 6. მეშახტე | 10 | 5 | 2 | 3 | 20-14 | 17 |
| 7. გაგრა | 11 | 4 | 5 | 2 | 21-12 | 17 |
| 8. ჩხერიმელა | 10 | 3 | 3 | 4 | 12-18 | 12 |
| 9. სქური | 10 | 3 | 0 | 7 | 10-22 | 9 |
| 10. ადელი | 10 | 2 | 2 | 6 | 11-24 | 8 |
| 11. კახეთი | 10 | 2 | 1 | 7 | 8-25 | 7- |
| 12. იმერეთი | 10 | 1 | 3 | 6 | 7-19 | 6 |
| 13. მერცხალი | 10 | 0 | 2 | 8 | 6-27 | 2 |

## II ლიგა

### დასავლეთი ზონა

XI ტური

| | |
|---|---|
| კოლხეთი 2 (ფ)-რაჭა | 3:0 |
| სამეგრელო-შუქურა 2 | 0:1 |
| ლაზიკა-მარგვეთი | 2:0 |
| ქუთაისი-დინამო 2 (ბთ) | 1:1 |
| კოლხეთი 2 (ხ)-ეგრისი | 1:2 |
| მერცხალი 2-საირმე | 1:3 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლაზიკა | 10 | 9 | 1 | 0 | 28-2 | 28 |
| 2. ეგრისი | 10 | 7 | 0 | 3 | 22-12 | 21 |
| 3 მარგვეთი | 10 | 6 | 2 | 2 | 27-14 | 20 |
| 4. რაჭა | 10 | 6 | 1 | 3 | 16-15 | 19 |
| 5. დინამო 2 (ბთ) | 10 | 5 | 2 | 3 | 21-14 | 17 |
| 6. შუქურა | 10 | 5 | 2 | 3 | 18-15 | 17 |
| 7. კოლხეთი 2 (ფ) | 11 | 5 | 1 | 5 | 20-21 | 16 |
| 8. ქუთაისი | 10 | 4 | 2 | 4 | 24-19 | 14 |
| 9. კოლხეთი 2 (ხ) | 10 | 4 | 1 | 5 | 17-16 | 13 |
| 10. საირმე | 11 | 4 | 1 | 6 | 20-23 | 13 |
| 11. საპოვნელა 2 | 10 | 3 | 1 | 6 | 20-26 | 10 |
| 12. მერცხალი 2 | 10 | 0 | 1 | 9 | 5-27 | 1 |
| 13. სამეგრელო | 10 | 0 | 1 | 9 | 2-36 | 1 |

## დუბლების ჩემპიონატი

XII ტური

| | |
|---|---|
| მეტალურგი-ტორპედო | 1:0 |
| სპარტაკი-მერანი | 0:0 |
| დილა-სიონი | 1:2 |
| გურია-ვიტ ჯორჯია | 0:1 |
| ჩიხურა-ზუგდიდი | 5:0 |
| ზესტაფონი-დინამო | 0:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მეტალურგი | 12 | 10 | 0 | 2 | 32-15 | 30 |
| 2. დინამო | 12 | 8 | 1 | 3 | 25-16 | 25 |
| 3. მერანი | 12 | 6 | 4 | 2 | 18-9 | 22 |
| 4. ზუგდიდი | 12 | 6 | 2 | 4 | 21-21 | 20 |
| 5. ვიტ ჯორჯია | 12 | 5 | 4 | 3 | 17-22 | 19 |
| 6. ჩიხურა | 12 | 4 | 4 | 4 | 18-13 | 16 |
| 7. ტორპედო | 12 | 4 | 2 | 6 | 20-18 | 14 |
| 8. ზესტაფონი | 12 | 4 | 2 | 6 | 16-18 | 14 |
| 9. სიონი | 12 | 4 | 2 | 6 | 14-20 | 14 |
| 10. დილა | 12 | 4 | 1 | 7 | 18-23 | 13 |
| 11. სპარტაკი | 12 | 3 | 2 | 7 | 16-25 | 11 |
| 12. გურია | 12 | 1 | 2 | 9 | 13-28 | 5 |

## ჭაბუკთა ლიგა

X ტური

### 1996/97 წ.დ.

| | |
|---|---|
| ვიტ ჯორჯია-დილა | 0:0 |
| სიონი-ტორპედო | 1:2 |
| დინამო (თბ)-საბურთალო | 2:2 |
| ზუგდიდი-ჩიხურა | 2:1 |
| ნ. დინამო-გურია | 4:0 |
| სპარტაკი-მერანი | 1:2 |
| მეტალურგი-35-ე ს.ს. | 2:1 |
| ზესტაფონი-დინამო (ბთ) | 1:4 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მეტალურგი | 10 | 9 | 1 | 0 | 33-7 | 28 |
| 2. ვიტ ჯორჯია | 10 | 6 | 3 | 1 | 22-14 | 21 |
| 3. ტორპედო | 10 | 6 | 3 | 1 | 19-11 | 21 |
| 4. მერანი | 10 | 6 | 0 | 4 | 13-13 | 18 |
| 5. დილა | 9 | 5 | 3 | 1 | 16-6 | 18 |
| 6. საბურთალო | 9 | 5 | 2 | 2 | 19-11 | 17 |
| 7. დინამო (თბ) | 9 | 5 | 1 | 3 | 18-10 | 16 |
| 8. დინამო (ბთ) | 10 | 5 | 1 | 4 | 21-18 | 16 |
| 9. 35-ე ს.ს. | 10 | 4 | 2 | 4 | 14-14 | 14 |
| 10. ნ. დინამო | 10 | 3 | 2 | 5 | 17-22 | 11 |
| 11. სიონი | 9 | 3 | 1 | 5 | 13-17 | 10 |
| 12. ზუგდიდი | 10 | 2 | 3 | 5 | 11-14 | 9 |
| 13. სპარტაკი | 10 | 2 | 2 | 6 | 11-20 | 8 |
| 14. ზესტაფონი | 10 | 1 | 3 | 6 | 10-21 | 6 |
| 15. გურია | 10 | 1 | 1 | 8 | 3-26 | 4 |
| 16. ჩიხურა | 10 | 1 | 0 | 9 | 5-21 | 3 |

### 1998/99 წ.დ.

| | |
|---|---|
| ვიტ ჯორჯია-დილა | 0:1 |
| სიონი-ტორპედო | 1:5 |
| დინამო (თბ)-საბურთალო | 2:2 |
| ზუგდიდი-ჩიხურა | 2:1 |
| ნ. დინამო-გურია | 4:0 |
| სპარტაკი-მერანი | 3:1 |
| მეტალურგი-35-ე ს.ს. | 1:2 |
| ზესტაფონი-დინამო (ბთ) | 1:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო (თბ) | 9 | 8 | 1 | 0 | 36-2 | 25 |
| 2. საბურთალო | 9 | 7 | 2 | 0 | 35-3 | 23 |
| 3. ტორპედო | 10 | 7 | 1 | 2 | 27-9 | 22 |
| 4. ნ. დინამო | 10 | 6 | 2 | 2 | 12-9 | 20 |
| 5. 35-ე ს.ს. | 10 | 6 | 1 | 3 | 19-12 | 19 |
| 6. ზუგდიდი | 10 | 6 | 1 | 3 | 17-13 | 19 |
| 7. დილა | 9 | 5 | 3 | 1 | 11-3 | 18 |
| 8. მეტალურგი | 10 | 4 | 2 | 4 | 14-15 | 14 |
| 9. ვიტ ჯორჯია | 10 | 3 | 2 | 5 | 13-15 | 11 |
| 10. სპარტაკი | 10 | 3 | 1 | 6 | 14-23 | 10 |
| 11. ზესტაფონი | 10 | 2 | 4 | 4 | 9-11 | 10 |
| 12. დინამო (ბთ) | 10 | 2 | 1 | 7 | 7-15 | 7 |
| 13. მერანი | 10 | 2 | 1 | 7 | 5-27 | 7 |
| 14. გურია | 10 | 2 | 1 | 7 | 4-36 | 7 |
| 15. სიონი | 9 | 1 | 2 | 6 | 9-24 | 5 |
| 16. ჩიხურა | 10 | 1 | 1 | 8 | 4-19 | 4 |

ფეხბურთი ყველასათვის

# კერძო სკოლების ტურნირი

საქართველოს სასკოლო სპორტის ეროვნული ფედერაციის თაოსნობით პირველად ჩატარდა თბილისის კერძო სკოლების შეჯიბრება მინიფეხბურთში. ასპარეზობაში მონაწილეობის სურვილი მხოლოდ ოთხმა სასწავლებელმა გამოთქვა. გუნდები ოლიმპიური სისტემით შეხვდნენ ერთმანეთს. „მარჯი"-"ერუდიტის" ფინალი დამთავრდა „მარჯის" გამარჯვებით - 5:3. მესამე ადგილზე გავიდა „ალმარი", რომელმაც 2:0 მოუგო წმ. დიმიტრი ყიფიანის სახელობის სკოლის გუნდს.

● სერია A

# კალჩოში სიახლეების ქარი ქრის

სერია A-ს მიმდინარე გათამაშება რომ მეტად საინტერესოდ მიმდინარეობს, ამაზე ყველა თანხმდება. წინა პლანზე ისეთი გუნდები წამოვიდნენ, რომლებიც ბოლო დროს ვეღარ უწევდნენ კონკურენციას ბობოლებს - ლაპარაკია „რომასა“ და „ფიორენტინაზე“ - სამაგიეროდ, ღრმა კრიზისში ჩაეფლო „მილანი“ და აღარც „ლაციო“ უქნია ღმერთს, რომელიც ბოლო წლებში მუდმივად მაღალი ადგილებისთვის იბრძოდა. ქვემოთ, სერია A-ს მიმდინარე გათამაშების ტენდენციებზე გავამახვილებთ ყურადღებას...


ფრანჩესკო ტოტის გარეშე „რომას“ შეტევაში უჭირს

## კონტე კარგი მოტივატორია

სეზონის წინ, ბევრს ჰქონდა ეჭვები, რომ „იუვენტუსს“ მოტივაციასთან დაკავშირებული პრობლემები შეექმნებოდა და ამ მოსაზრებას ნამდვილად ჰქონდა არსებობის უფლება. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, „ვეკია სენიორამ“ ზედიზედ ორჯერ მოიპოვა სკუდეტო, ასეთ დროს კი ფეხბურთელებს ძველებური ჟინი აღარ მოსდევთ. **ანტონიო კონტემ** არაერთხელ განაცხადა, რომ მისი მთავარი მიზანი სწორედ იმაზე ზრუნვა გახლდათ, ფეხბურთელებს მოტივაციასთან დაკავშირებული პრობლემები არ შეჰქმნოდათ. ასეთ დროს, მწვრთნელი უფრო ფსიქოლოგი ხდება და მეორე პლანზე გადადის სხვადასხვა ტაქტიკური სქემები და სტრატეგიები. კონტემ ისიც აღნიშნა, რომ ახალი ფეხბურთელების გადაბირებას ამ საქმეში ლომის წილი უნდა შეეტანა - თქმა არ სჭირდება, რომ „იუვეს“ **კარლოს ტევესმა, ფერნანდო ლორენტემ** და **ანჯელო ოგბონამ** ახალი ენერგია შემატეს. მოკლედ, კონტე არა მარტო კარგი ტაქტიკოსი, კარგი ფსიქოლოგიც აღმოჩნდა.

## ნაპოლის პრობლემა უცვლელია

ბოლო წლებში, „ნაპოლის“ მთავარ პრობლემად უშუალო კონკურენტებთან წარუმატებელი თამაში გახლდათ. შეგვიძლია არაერთი მაგალითი გავიხსენოთ, როგორ დაასრულა სკუდეტოსთვის ბრძოლა **ვალტერ მაცარის** გუნდმა კონკურენტთან ჭიდილში და თანაც, თითოეული ასეთი მატჩი უშანსოდ წააგო. დიახ, მაშინ გუნდს ვალტერ მაცარი წვრთნიდა, რომელიც დღეს „ინტერის“ თავკაცია, „ნაპოლის“ კი **რაფაელ ბენიტესი** უდგას სათავეში. რაფა კარგად მოერგო ახალ გარემოს, სქემის შეცვლით და კარგი სატრანსფერო კამპანიით ახალი ძალა შთაბერა გუნდს, მაგრამ ჯერჯერობით, ძველი პრობლემა პრობლემად რჩება. გასულ ტურში, ნეაპოლელები „იუვენტუსს“ ესტუმრნენ და გამანადგურებელი ანგარიშით წააგეს, იქამდე კი „რომასაც“ დაუთმეს 3 ქულა. ჩემპიონთა ლიგაზე 4-დან 3 მატჩი აქვთ მოგებული, მაგრამ ის ერთი მარცხი ლონდონის „არსენალთან“ სწორედ ზემოთ თქმულთა კატეგორიიდან გახლდათ და შეიძლება ნეაპოლურ გუნდს ძვირად დაუჯდეს. მოკლედ, ჯერჯერობით ვერც ბენიტესის „ნაპოლი“ ბრწყინავს გრანდებთან პაექრობაში.

## ტოტიზე ჩამოკიდებულნი

ჩემპიონატში „რომამ“ ოთხი მატჩი გამართა **ფრანჩესკო ტოტის** გარეშე და ვერც ერთში ვერ გაიტანა ერთ გოლზე მეტი. **რუდი გარსია** მყისვე ალაპარაკდა, რომ კაპიტნის გარეშე გუნდს შეტევაში ძალიან უჭირს. არადა, ტოტისთან ერთად, „ჯალოროსი“ შეუჩერებელი გახლდათ და დიდწილად სწორედ მისი წყალობით გამოცხვა გამარჯვებათა ფანტასტიკური სერია. მოკლედ, „რომაში“ თაობები იცვლებიან, გუნდის ლიდერად და მთავარ დამრტყმელ ძალად კი კვლავაც ფრანჩესკო ტოტი გვევლინება. ახალი ინფორმაციის თანახმად, ტოტის კიდევ დაახლოებით სამ კვირას მოუწევს უქმობა და მოედანს დეკემბერში დაუბრუნდება. „რომა“-„სასუოლოს“ შეხვედრაში მასპინძელთა ქომაგებმა დიდი ბანერი გამოფინეს, ბანალური, მაგრამ მრავლისმთქმელი შინაარსით: *„არ არის ტოტი, არ არის შოუ“*.

## მაცარის ფენომენი

ზემოთ ვახსენეთ, რომ ვალტერ მაცარის „ნაპოლის“ პრობლემა უშუალო კონკურენტებთან მატჩები გახლდათ, მაგრამ მთლიანობაში, ამ მწვრთნელის ღვაწლი ნეაპოლური გუნდისთვის განუზომელია. მაცარიმ უდიდესი სასელექციო სამუშაო გასწია და მოკლე დროში, „ნაპოლი“ საფეხბურთო პერიფერიიდან ელიტაში აიყვანა. იტალიაში ამბობენ, რომ სენიორ ვალტერს ძალუძს არაფრისგან გააკეთოს დიდი გუნდი და ჯერჯერობით, ეს თეზისი იდეალურად მიესადაგება მის „ინტერში“ მოღვაწეობას. მაცარის მილანში არცთუ ვარსკვლავური შემადგენლობა დახვდა - მეტიც, ალბათ ასეთი არავარსკვლავური შემადგენლობა „ნერაძურის“ ბოლო 20 წელში არც ჰყოლია. ბევრმა ახალ მწვრთნელს სრული კრახი უწინასწარმეტყველა, მაგრამ ჯერჯერობით, მსგავსი არაფერი ხდება - „ინტერი“ მყარად დგას ფეხზე, სატურნირო ცხრილის ზედა ნაწილშია, მაღალი ადგილებისთვის იბრძვის და რაც მთავარია, ხარისხიან ფეხბურთს თამაშობს. მაცარიმ იცის, როგორ შექმნას მაღალი ადგილებისთვის მებრძოლი გუნდი არაფრისგან.

## მონტელა მაესტროთა კვალზე

იტალიური სამწვრთნელო სკოლა მსოფლიო მასშტაბით განთქმულია და დღესაც არ კარგავს პოზიციებს. ამ სკოლის გამორჩეულ წარმომადგენლებს აპენინებზე მაესტროს უწოდებენ და მაგალითისთვის რამდენიმე გვარის დასახელებაც კმარა: **ჯოვანი ტრაპატონი, მარჩელო ლიპი, ფაბიო კაპელო, არიგო საკი**... მოკლედ, ბობოლა მწვრთნელების ნაკლებობას კალჩო არასდროს უჩიოდა და როგორც ჩანს, ეს ტენდენცია გაგრძელდება. ამასთან, უკვე თამამად შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ამ ბობოლათა შორის იქნება **ვინჩენცო მონტელა**, მწვრთნელი, რომელიც „ფიორენტინაში“ ბრწყინვალედ მუშაობს. ლიდერის თვისებები, შესანიშნავი საკადრო პოლიტიკა, ტაქტიკური განსწავლულობა და ბევრი სხვა თვისება, რომელიც ახალგაზრდა მწვრთნელის წარმატებულ მუშაობას განაპირობებს. მონტელა თანაბარი წარმატებით იყენებს 3-5-2-ს და 4-3-3-ს, თამამად უცვლის პოზიციას ფეხბურთელებს და შეგირდები ყველაზე რთულ მომენტშიც შეუძლია განაწყოს საბრძოლველად, რისი მაგალითიც მიმდინარე სეზონის ყველაზე დასამახსოვრებელი პაექრობა გახლდათ, რომელშიც „ფიორენტინამ“ „იუვენტუსს“ 4:2 მოუგო.

## გალიანის მძიმე დროება

„მილანი“ იმდენად მძიმე ვითარებაშია, რომ საფეხბურთო იტალია გამოსავალს არა მწვრთნელის ცვლილებაში, არამედ კიდევ უფრო მაღლა ეძებს. კიდევ უფრო მაღლა **ადრიანო გალიანი** დგას, ვიცე-პრეზიდენტი, რომელიც კლუბში **სილვიო ბერლუსკონის** მისვლის დღიდან მუშაობს - ეს ამბავი კი არც მეტი, არც ნაკლები, 27 წლის წინ მოხდა. ფაქტია, რომ ბოლო წლებში გალიანის პოლიტიკა არ ამართლებს - ის მუდმივად წუწუნებს ფულზე და უშვებს ისეთ ფეხბურთელებს, რომლებიც შემდეგ სხვა გუნდებში ბრწყინავენ. ამის ყველაზე ნათელი მაგალითი **ანდრეა პირლოა**, რომელიც დღემდე „იუვენტუსის“ ლიდერი და ტურინული გრანდის წარმატებების სულისჩამდგმელია. შეგვიძლია გავიხსენოთ **ალბერტო აკვილანი**, რომელიც „ფიორენტინას“ შუა ხაზში შეუცვლელი ფიგურაა, აღარაფერს ვამბობთ **ტიაგო სილვასა** და **ზლატან იბრაჰიმოვიჩზე**, რადგან მათი ტრანსფერებით კლუბმა ფინანსური ხეირი მაინც ნახა. მოკლედ, გალიანის კრიზისი უკვე ტენდენციაა და ამბობენ, რომ ეს მას პოსტის დატოვებად დაუჯდება.

## გვიდოლინის შემოქმედებითი კრიზისი

„უდინეზემ“ ბოლო 5 მატჩიდან 4 წააგო და საერთოდაც, ეს გუნდი აღარ ჰგავს იმ „უდინეზეს“, რომელიც ბოლო წლებში მუდმივად მაღალი ადგილებისთვის იბრძოდა და უკან იტალიური ფეხბურთის გრანდებს იტოვებდა. ფრიულელთა ბოლოდროინდელი წარმატებების მთავარი შემოქმედი **ფრანჩესკო გვიდოლინი** გახლდათ, რომელმაც თავისი უცნაური ტაქტიკა-სტრატეგიებით და სწორი საკადრო პოლიტიკით გაითქვა სახელი. გვიდოლინს შეუძლია სადღაც ჩილეს პერიფერიაში მოძებნოს **ალექსის სანჩესი** და ის ვარსკვლავად აქციოს - სწორედ მისი კადრებით გაიძეძგნენ იტალიური ფეხბურთის გრანდები: „ნაპოლიში“ **გეკჰან ინლერი, პაბლო არმერო** და **კამილო ცუნიგა** ირჯებიან, „იუვენტუსში“ **მაურისიო ისლა** და **კვადვო ასამოა**, ჩემპიონატის ლიდერის, „რომას“ კარს კი ასევე ექსუდინელი, **მორგან დე სანქტისი** იცავს. მოკლედ, გვიდოლინს ყოველთვის შეეძლო მოენახა საჭირო კადრები, აერჩია სწორი ტაქტიკა-სტრატეგია და გაეოცებინა საფეხბურთო იტალია, მაგრამ მიმდინარე სეზონს სხვა პირი უჩანს... „უდინეზე“ ვერ თამაშობს და სატურნირო ცხრილში მე-12 ადგილზეა გაჭედილი, გვიდოლინს კი აშკარად შემოქმედებითი კრიზისი აქვს.

**ლაშა წიკლაური**

# „მაკკოფემ“ ველოსპორტის ჩემპიონატის მხარდაჭერით ქართული საქმე გააკეთა“

## „ერის გაჯანსაღებისთვის ზრუნვა თითოეული ჩვენგანის მოვალეობაა“

„მაკკოფეს“ ფინანსური მხარდაჭერით მცხეთის ცენტრალურ მოედანზე ველოსპორტის ჩემპიონატი გაიმართა. ჩემპიონატი ორი დღის განმავლობაში გაგრძელდა და შეიძლება ითქვას, სპორტის ამ სახეობაში 2013 წლის საშემოდგომო სეზონი დაიხურა. ველორბოლა სამივე სახეობაში (ინდივიდუალური, ჯგუფური და წრიული) გაიმართა. ჩემპიონატი სანახაობრივადაც საინტერესო აღმოჩნდა. განსაკუთრებით აზარტული მოზარდთა კატეგორიაში პირველობისთვის შეჯიბრება იყო, სადაც მონაწილეებმა თავი არ დაზოგეს და 32 კმ-იანი მანძილი უმოკლეს დროში გაიარეს. როგორც შევიტყვეთ, ისინი 2015 წლის ევროპის ახალგაზრდა ოლიმპიური ფესტივალისთვისაც დიდი მონდომებით ემზადებიან.

რუსლან ჯაოშვილი, ველოსპორტის ფედერაციის გენერალური მდივანი: საქართველოში ყოველ წელს კალენდარული გეგმის მიხედვით ტარდება ასეთი ჩემპიონატი. მასში როგორც ზრდასრული ასაკის, ასევე, დამწყები სპორტსმენები მონაწილეობენ. ვხედავთ, რომ ძალიან ნიჭიერი, იმედისმომცემი თაობა გვყავს, რაც სასიამოვნოა. მინდა ვთქვა, რომ ჩემპიონატის ჩასატარებლად სპონსორების მოძებნა საკმაოდ გაგვიჭირდა. „მაკკოფემ“ კი თავად გამოხატა ჩვენი დახმარების სურვილი და საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან ერთად ამ მნიშვნელოვანი ღონისძიების ფინანსური მხარდამჭერი გახდა, რისთვისაც გვსურს ამ კომპანიას დიდი მადლობა გადავუხადოთ. ამგვარად, მოვახერხეთ და შევიძინეთ მონაწილეებისთვის სპორტული ინვენტარი, ველოტანსაცმელი, ჩაფხუტები, ხელთათმანები და სათვალეები...“

ილია გავაშელი, სამთო ველოსპორტის უფროსი მწვრთნელი: ძალიან მნიშვნელოვნად მიმაჩნია იმ ადამიანების ღვაწლი, ვინც მხარს უჭერს ამგვარი ღონისძიებების ჩატარებას. ვფიქრობ, რომ ერის გაჯანსაღებისთვის ზრუნვა თითოეული ჩვენგანის მოვალეობაა. კარგი იქნება, თუ საზოგადოებაც უფრო მეტად უგულშემატკივრებს მონაწილეებს. ახლახან ერთ-ერთმა რიგელმა სტუმარმა მითხრა,-ჩვენს სამშობლოში სპორტის ამ სახეობაში დიდი ჩემპიონატი გაიმართა, სადაც როგორც პროფესიონალებმა, ასევე მოყვარულებმაც მიიღეს მონაწილეობა და სტარტზე სულ 2150 კაცი იდგა... რასაკვირველია, თავად ეს ფაქტი ერის სიჯანსაღეზე მიანიშნებს. საქართველოში ჩატარებულ ამ ჩემპიონატს 69 მონაწილე ჰყავს, რომლებსაც ძალიან ვგულშემატკივრობთ.“



მერაბ ნაჭყებია, „მაკკოფეს“ კომპანიის წარმომადგენელი: მე პირადად სპორტის დიდი გულშემატკივარი ვარ. ჩვენთან ზოგიერთ სპორტულ სახეობას განსაკუთრებით სჭირდება მხარდაჭერა. ჩვენი აზრით, ასეთია ველოსპორტი და ცხენოსნობა. სწორედ ამიტომ გამოვხატეთ ამ ჩემპიონატის თანადაფინანსების სურვილი. გპირდებით, რომ „მაკკოფე“ მომავალშიც არაერთ კარგ საქმეს გააკეთებს. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ცოტა გულდაწყვეტილებიც ვართ, პრესით, ტელევიზიით სათანადოდ არ გაშუქდა ჩემპიონატი. ალბათ მომავალში ეს ხარვეზი გამოსწორდება“.



ზრდასრულ სპორტსმენთა შორის ჯგუფურ ველორბოლაში პირველი და მესამე ადგილები ძმებმა გიორგი და ბექა ნარეკლიშვილებმა არავის დაუთმეს. მეორე ადგილი დავით ასკურავამ დაიკავა. მოზარდთა შორის მცხეთელმა ვანო კვახაძემ დამაჯერებელი შედეგით, 20 ქულით გაიმარჯვა. მეორე და მესამე ადგილებზე თბილისელი მონაწილეები ბესო მურჯიკნელი და თამაზ წერეთელი გავიდნენ. გამარჯვებულებს სპეციალური პრიზები, თასები, დიპლომები, მედლები, „მაკკოფეს“ დაწესებული უგემრიელესი ყავა და ჩაი გადაეცათ.

„ამ შეჯიბრებისთვის წელიწად-ნახევრის განმავლობაში ვემზადებოდი. პირველი ადგილი დავიკავე, რაც ძალიან სასიხარულოა. 2015 წელს ევროპის ახალგაზრდა ოლიმპიურ ფესტივალშიც მივიღებ მონაწილეობას და გამარჯვებისთვის ვიბრძოლებ.“- განაცხადა ვანო კვახაძემ, რომელსაც ფინიშთან გახარებული მამა და გულშემატკივრები დახვდნენ. „შედეგით კმაყოფილი ვარ, მაგრამ უკეთესიც შეიძლებოდა... შემდგომ ჩემპიონატებში მონაწილეობას და პირველობისთვის ბრძოლას ვაპირებ.“ - განაცხადა ბესო მურჯიკნელმა. აღსანიშნავია, რომ მეორე ადგილზე გასულ ბესო მურჯიკნელს 14 წლის თამაზ წერეთელი სულ რაღაც ერთი ქულით ჩამორჩა. ისინი საზეიმო ვითარებაში დააჯილდოეს.

**ეკა ასათიანი** Ⓡ

ეროვნული ბიბლიოთეკა

არგენტინა. ტორნეო ინისიალი. XV ტური

# დაძაბული ფინიშის მოლოდინში

**ატლ. რაფაელა–გოდოი კრუსი 3:1**

**გოლები:** 1:0 დ. ფერეირა (9), 2:0 დ. ვერა (40), 3:0 დ. ვერა (64-პენ), 3:1 კურბელო (83)

**ოლიმპო–კილმესი 0:1**

**გოლი:** 0:1 დისი (76)

**ოლ ბოისი–ხიმნასია 2:1**

**გოლები:** 1:0 მატოსი (15), 1:1 ლიხტი (71-პენ), 2:1 ტორასა (75)

**ესტუდიანტესი–როსარიო 1:1**

**გოლები:** 0:1 პ. ფერარი (51), 1:1 დონატი (58-საკ. კარში)

**ნიუელსი–სან ლორენსო 1:1**

**გოლები:** 1:0 ტრეზეგე (25), 1:1 ი. პიატი (30)

**ბოკა–ტიგრე 2:1**

**გოლები:** 0:1 კ. პერესი (18-საკ. კარში), 1:1 პარედესი (85), 2:1 კატა დიასი (90)
**გაძევება:** მ. პერეს გარსია (53. ტიგრე)

**ბელგრანო–კოლონი 2:0**

**გოლები:** 1:0 ს. პერეირა (8), 2:0 ს. პერეირა (45)

**რასინგი–არ. ხუნიორსი 0:1**

**გოლი:** 0:1 ბოიერო (53)

**ლანუსი–არსენალი 2:0**

**გოლები:** 1:0 პასკინი (83), 2:0 ს. სილვა (86)
**გაძევება:** ნერვო (64. არსენალი)

**ველესი-რივერი 0:0**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ნიუელსი | 15 | 8 | 5 | 2 | 22-13 | 29 |
| 2. სან ლორენსო | 15 | 8 | 3 | 4 | 23-13 | 27 |
| 3. ბოკა | 15 | 8 | 3 | 4 | 20-16 | 27 |
| 4. ლანუსი | 15 | 7 | 4 | 4 | 25-12 | 25 |
| 5. არსენალი | 15 | 6 | 7 | 2 | 16-11 | 25 |
| 6. ატლ. რაფაელა | 15 | 7 | 3 | 5 | 20-19 | 24 |
| 7. ესტუდიანტესი | 15 | 5 | 8 | 2 | 14-10 | 23 |
| 8. არ. ხუნიორსი | 15 | 7 | 2 | 6 | 15-15 | 23 |
| 9. როსარიო | 15 | 6 | 4 | 5 | 17-18 | 22 |
| 10. ველესი | 15 | 5 | 6 | 4 | 17-13 | 21 |
| 11. გოდოი კრუსი | 15 | 5 | 6 | 4 | 14-11 | 21 |
| 12. ბელგრანო | 15 | 5 | 5 | 5 | 19-15 | 20 |
| 13. ხიმნასია | 15 | 5 | 5 | 5 | 17-21 | 20 |
| 14. კილმესი | 15 | 5 | 3 | 7 | 9-17 | 18 |
| 15. რივერი | 15 | 4 | 5 | 6 | 9-9 | 17 |
| 16. ოლ ბოისი | 15 | 3 | 7 | 5 | 12-14 | 16 |
| 17. ტიგრე | 15 | 4 | 4 | 7 | 13-17 | 16 |
| 18. ოლიმპო | 15 | 2 | 5 | 8 | 13-24 | 11 |
| 19. რასინგი | 15 | 2 | 2 | 11 | 7-22 | 8 |
| 20. კოლონი | 15 | 3 | 3 | 9 | 8-20 | 6 |

**ბომბარდირები:** 7 - ჟიგლიოტი (ბოკა ხუნიორსი), დ. ვერა (ატლეტიკო ლაფაელა); 6 - ფურჩი (არსენალი), მატოსი (ოლ ბოისი), ს. პერეირა (ბელგრანო), მაქსი როდრიგესი (ნიუელს ოლდ ბოისი)

**ტორნეო ინისიალის დასრულებამდე სულ ოთხი ტური დარჩა და ცხრილის ზედა ნაწილში ისეთი დაძაბული სიტუაციაა, წესით, ჩემპიონის ვინაობა მხოლოდ ბოლო ტურში უნდა შევიტყოთ.**

## ლიდერთა ზავი

მე-15 ტურის ცენტრალური მატჩი მარსელო ბიელსას სახელობის სტადიონზე გაიმართა. „ნიუელს ოლდ ბოისმა“ „სან ლორენსოს“ უმასპინძლა და **დავიდ ტრეზეგეს** გოლის წყალობით დაწინაურდა კიდეც. ტრეზეგემ წინა ტურში დუბლი შეასრულა, ამჯერად კი სასტარტო შემადგენლობაში მოხვდა და მოედანზე 90 წუთი გაატარა. ვეტერანი ფორვარდის ანგარიშზე უკვე 5 გოლია და მას საუკეთესო ბომბარდირის ტიტულის მოპოვების კარგი შანსიც აქვს. ამდენივე გოლი აქვს გატანილი **იგნასიო პიატის**, რომელმაც წონასწორობა ზუსტად ხუთ წუთში აღადგინა.

შეხვედრის მნიშვნელობიდან გამომდინარე, გუნდები ვერ რისკავდნენ და დიდი ძალებით არ უტევდნენ. საბოლოოდ, ფრე აბსოლუტურად ლოგიკური შედეგი იყო.



რიკელმეს და „ბოკას“ ძალიან გაუჭირდათ, მაგრამ მაინც მოიგეს

## ბოკა და ლანუსი

ლიდერების დაზავებით ორმა მდევარმა ისარგებლა - „ბოკა ხუნიორსმა“ და „ლანუსმა“ თავიანთი მატჩები მოიგეს, თუმცა ორივეს ძალიან გაუჭირდა. მატჩების 83-ე წუთისთვის „ლანუსი“ ჩემპიონობის კიდევ ერთ მაძიებელ „არსენალთან“ 0:0-ს თამაშობდა, „ბოკა“ კი საერთოდ მარცხდებოდა.

10-კაციანი „ტიგრე“, რომელიც **კლაუდიო პერესის** ავტოგოლით დაწინაურდა, თავს საკმაოდ კარგად იცავდა, **კარლოს ბიანკიმ** კი მატჩის ბოლოსკენ ყველა შემტევი ფეხბურთელი მოედანზე გამოიყვანა - „ბოკას“ მინდორზე 5 ფორვარდი და 2 გამთამაშებელი ჰყავდა, რომელთაგანაც **პარედესი**, რომელიც ხანგრძლივი მკურნალობის შემდეგ დაბრუნდა, ყველაზე უკნიდან, საყრდენის პოზიციაზე მოქმედებდა. ანგარიში სწორედ მან გაათანაბრა, შეხვედრის ბოლო წუთზე კი თავი **კატა დიასმა** გამოიჩინა. მიუხედავად იმისა, რომ „ბოკას“ 5 ფორვარდი და **რიკელმე** ჰყავდა, გოლები საყრდენად მოთამაშე პარედესმა და ცენტრალურმა მცველმა გაიტანეს. აღსანიშნავია, რომ ორივე შემთხვევაში საგოლე პასი სწორედ ხუან რომან რიკელმემ მიითვალა.

აქვე, აუცილებლად უნდა ვთქვათ არბიტრის არადამაჯერებელ მოქმედებებზე. 53-ე წუთზე, „ტიგრეს“ 10-იანი **მატიას პერეს გარსია** „ბოკას“ საჯარიმოში დაეცა, მაგრამ პენალტის დანიშვნის ნაცვლად, მსაჯმა პერეს გარსია სიმულაციისთვის ყვითელი ბარათით დასაჯა, რომელიც მისთვის მეორე იყო. გამეორებაზე ნათლად ჩანდა, რომ წესების დარღვევა აშკარა იყო და არბიტრი შეცდა. ამ შეცდომამ კი მატჩის საბოლოო შედეგზე დიდი გავლენა იქონია.

დაახლოებით ანალოგიური სცენარით განვითარდა „ლანუსის“ და „არსენალის“ მატჩიც. მასპინძლები ბევრს უტევდნენ, მეტოქე კი 64-ე წუთზე 10 კაცით დარჩა. „ლანუსი“ 22 წლის **ნიკოლას პასკინიმ** გადაარჩინა, რომელიც მოედანზე 82-ე წუთზე გამოჩნდა, რამდენიმე წამის შემდეგ კი გოლის ავტორად მოგვევლინა. ნახევარმცველმა, რომელიც სულ მე-6 მატჩს ატარებდა, უკვე თავისი მესამე გოლი გაიტანა. შეხვედრას წერტილი კი **სანტიაგო სილვამ** დაუსვა, ვისაც ტრეზეგეს და პიატის მსგავსად, ასევე ხუთი გოლი დაუგროვდა.

„ლანუსმა“ ზედიზედ მეოთხე მატჩი მოიგო და ახლა ყველაფერი მათ ხელშია. „ოლ ბოისის“ და „ხიმნასიას“ შემდეგ, ბოლო ორ ტურში **გილერმო ბაროს შელოტოს** გუნდი „ბოკას“ და „ნიუელსს“ ხვდება.

**ტატო ბაციკაძე**

საფრანგეთის ნაკრები



დიდიე დეშამი

# ფიფამ უკრაინა ყვითლად დატოვა

## დეშამი თავს იზღვევს: უკრაინელები ტურისტები არ გეგონოთ

საფრანგეთის ნაკრების თამაში იდეალურისგან ცოტა შორსაა და **დიდიე დეშამით** ბევრია უკმაყოფილო. თქმაც არ უნდა იმას, რომ თუ „მამლები“ პლეიოფში უკრაინას ვერ აჯობებენ და მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურს ვერ მოიპოვებენ, დეშამს მოხსნიან. ნერვიულობს თავად დიდიეც და თავსაც იზღვევს.

*„ვფიქრობ, აშკარა ფავორიტებად ნაადრევად შეგვრაცხეს. უკრაინა ძალიან ცოტას უშვებს. კონოპლიანკა და იარმოლენკო მათი მხრიდან მთავარ საფრთხეებს წარმოადგენენ. მეტოქე ძალიან ძლიერია ფლანგებზე. ცხადია, საკუთარი გულშემატკივრის მხარდაჭერა გვექნება, მაგრამ სტადიონი კიევშიც სავსე იქნება. უკრაინის ნაკრები ტურისტების ჯგუფი არ გეგონოთ“* - თქვა დეშამმა.

პირველი მატჩი სწორედ კიევშია 15 ნოემბერს, ხოლო საპასუხო ოთხი დღის შემდეგ პარიზში. დეშამი ყველას მოუწოდებს უთანხმოებები, პრეტენზიები და კრიტიკა ცოტა ხნით დაივიწყონ და გუნდის გარშემო კარგი აურა და ატმოსფერო შექმნან.

*„მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასვლა ფრანგული ფეხბურთისთვის ძალიან მნიშვნელოვანი და საჭიროა. ვთვლი, რომ შესაბამისი ატმოსფეროს შექმნის თხოვნა არ უნდა მჭირდებოდეს, მაგრამ საერთო დამოკიდებულებასა და განწყობას დიდი მნიშვნელობა აქვს. ამიტომ, იმედს ვიტოვებ, ნეგატიური ფონი არ იქნება. საფრანგეთის მწვრთნელად იმისთვის მოვედი, რომ კარგი გუნდი გავაკეთო. ჩვენ აუცილებლად უნდა მოვხვდეთ მუნდიალზე და უნდა ავაშენოთ ისეთი ნაკრები, რომელსაც 2016 წლის საშინაო ევროპის ჩემპიონატზე დავეყრდნობით“* - განაცხადა „დიდიმ“.

## ფიფას უარი უკრაინას

სამზადისია საპირისპირო ბანაკშიც. უკრაინელებს ჰქონდათ იმედი, რომ ფიფა მათ ყვითელ ბარათებს ბათილად ცნობდა. სარჩელის მთავარი არგუმენტი ის გახლდათ, რომ ფრანგები უფრო მოკლე ჯგუფში იყვნენ და ნაკლები მატჩის გამართვა მოუხდათ, უკრაინას კი ორით მეტი გაფრთხილებების ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზი იყო. ყოველ შემთხვევაში, ალბათობას ზრდიდა.

ფიფამ ეს მოთხოვნა არ დააკმაყოფილა, რადგან რეგლამენტის მიხედვით, ერთ შესარჩევ ციკლში ბარათების ორგზის ამნისტია გათვალისწინებული არ არის და ვერ მოხდებაო. შესაბამისად, უკრაინელები მართლაც ვერ არიან სახარბიელო მდგომარეობაში, მათ ერთბაშად 10 ფეხბურთელი ჰყავთ „ყვითელზე“: **რუსლან როტანი, ნიკოლაი მოროზიუკი, ევგენი სელეზნიოვი, ედმარი, ანატოლი ტიმოშჩუკი, იაროსლავ რაკიცკი, ევგენი კონოპლიანკა, არტიომ ფედეცკი, მარკო დევიჩი** და **ოლეგ გუსევი.** ამიტომ, დიდი შანსია, რომ რამდენიმე მათგანს საპასუხო თამაშის გამოტოვება მოუხდეს და თან გაფრთხილების მიღების შიშის გამო, ფეხბურთელებზე დამატებითი ფსიქოლოგიური წნეხი იქნება.

მომავალ დაპირისპირებას გამოეხმაურა უკრაინის ნაკრების ყოფილი ფორვარდი **ანდრეი შევჩენკოც**. ლეგენდად ქცეულ ფეხბურთელს პირდაპირ არ უთქვამს, მაგრამ ირიბად კი მიგვანიშნა - უკრაინას ჩემი თავი აკლიაო. შევა **ფრანკ რიბერისაც** შეეხო.

*„ნაკრებს ახლა საინტერესო პერიოდი უდგას. ძლიერი მხარე ნახევარდაცვაა - კონოპლიანკა და იარმოლენკო ჩინებული ჰავბექები და ძალიან კარგი ფეხბურთელები არიან. მიხაილ ფომენკომ გუნდში მშვენიერი გარემო შექმნა და უკრაინა დღეს სახიფათო ნაკრებია. ერთი, რაც გვაკლია, სტაბილურად გამტანი ცენტრალური თავდამსხმელია. ბევრი კარგი ფორვარდი გვყავს, მაგრამ მათ ცოტა გოლი გააქვთ. ეს ორმატჩიანი დუელი განსაკუთრებული იქნება რიბერისთვის. თუ მას „ოქროს ბურთის“ მოგება სურს, თავი კარგად უნდა წარმოაჩინოს. ვფიქრობ, ძალიან კარგი და დინამიკური მატჩები გველოდება“* - გვითხრა შევჩენკომ.

**გიორგი პაპაბაძე**

იუვენტუსი

# იუვეს ულტრასები დასაჯეს

## კონტეს ვიდალის ტრავმა აშინებს



„იუვენტუსის“ უახლოესი საშინაო მატჩი ულტრასების გარეშე ჩაივლის

სერია A-ს მიმდინარე გათამაშების გასული ტური, „იუვენტუსისთვის“ მეტად წარმატებული გამოდგა - ტურინულმა გრანდმა უშუალო კონკურენტი გაანადგურა და ამასთან, ჩემპიონატის ლიდერმაც დაკარგა ქულები. მოკლედ, ყველაფერმა „იუვეს“ წისქვილზე დაასხა წყალი, თუმცა ეს მხოლოდ სატურნირო ცხრილის გადასახედიდან. სხვა მხრივ, „იუვე“-„ნაპოლის“ ჯახმა პრობლემებით ჩაიარა და სწორედ ამაზე გავამახვილებთ თქვენს ყურადღებას...

## ვიდალის ტრავმა

„ნაპოლისთან“ შეხვედრაში **არტურო ვიდალმა** ტრავმა მიიღო და როგორც ექიმები აცხადებენ, მინიმუმ ერთი კვირის გაცდენა მოუწევს. თუმცა, დეტალური გამოკვლევა ჯერ კიდევ ჩასატარებელია და შეიძლება, უფრო მძიმე სურათიც მივიღოთ. სწორედ ეს დეტალური გამოკვლევა აშინებს **ანტონიო კონტეს** და იმედოვნებს, რომ ვიდალის ტრავმა მსუბუქია:

*„არტურო გუნდისთვის უმნიშვნელოვანესი ფეხბურთელია და იმედი მაქვს, დიდი ხნით არ დაგვაკლდება. გამოკვლევას ველოდებით და ყველა კითხვას გაეცემა პასუხი. სანაკრებო მატჩების დრო დადგა და კარგი იქნება თუ ვიდალი ამ პერიოდში სრულად გამოჯანმრთელდება“.*

## ულტრასების დისკვალიფიკაცია

„იუვენტუსი“-“ნაპოლის“ დაპირისპირება მეტად მძიმე გამოდგა სამართალდამცავი ორგანოებისთვის, რადგან ტურინის ქუჩებში შეტაკებებს ჰქონდა ადგილი. ამასთან, ტრიბუნებზეც დაძაბული ვითარება იყო, რაც მეტწილად სწორედ მასპინძელთა ტიფოზების, განსაკუთრებით კი ულტრასების ბრალი იყო. მთელი შეხვედრის განმავლობაში, „იუვეს“ გულშემატკივრები ნეაპოლის რეგიონის დისკრიმინაციას ეწეოდნენ და ნეაპოლიტანელებს შეურაცხყოფდნენ. სადისციპლინო კომიტეტმა განიხილა აღნიშნული საკითხი და განაჩენიც გამოიტანა - „იუვენტუსის“ მომდევნო საშინაო მატჩზე, ულტრასებისთვის განკუთვნილი ჩრდილოეთ და სამხრეთი ტრიბუნები ცარიელი იქნება; სამხრეთ ტრიბუნა, ანუ „კურვა სუდ“-ი ორი შეხვედრით არის დისკვალიფიცირებული. აქვე ვთქვათ, რომ მომდევნო საშინაო მატჩს „ვეკია სენიორა“ „უდინეზესთან“ გამართავს, შემდეგ კი „სასუოლოს“ უმასპინძლებს.

**ლაშა ნიკლაური**

ლიგა 1

# მუშტი-კრივი: ვინ იტყუება? ოლა თუ რუფიე?

აბა როგორ შეიძლებოდა „სენტ ეტიენისა“ და „ლიონის“ დაპირისპირებას მშვიდად ჩაევლო? გასულ კვირას „დერბი დუ რონს“ „ჟოფრუა გიშარმა“ უმასპინძლა და მატჩი „მწვანეებისთვის“ ისევ ტრაგიკული გამოდგა. „სენტ ეტიენს“ „ლიონი“ საკუთარ კედლებში 1993 წლის მერე არ დაუმარცხებია და საერთოდ, მას მერე მხოლოდ ერთხელ მოუგო საძულველ მეტოქეს. ამჯერად კი შეხვედრა ფრედ სრულდებოდა, როცა **ჯიმი ბრიანმა** 93-ე წუთზე გაიტანა და ლიონელებს 2:1 მოაგებინა. ფანებისა არ იყოს, ემოციები ვერც ფეხბურთელებმა და სტაფის წევრებმა მოთოკეს... დიდი მუშტი-კრივი გაჩაღდა.

მთავარი სკანდალი კი მატჩის შემდგომ აგორდა, როდესაც „ლიონის“ პრეზიდენტმა **ჟან-მიშელ ოლამ** განაცხადა, რომ „სენტ ეტიენის“ მეკარე **სტეფან რუფიემ** მას ზურგში ჩაარტყა. „მონაკოს“ ყოფილმა გოლკიპერმა კი ეს უარყო და ოლას მატყუარა უწოდა.

*„მატჩის დასრულების შემდეგ კლუბების პერსონალს შორის პატარა შეხლა-შემოხლა მოხდა. ჩვენმა ყოფილმა ფეხბურთელმა, ახლა კი „სენტ ეტიენის“ მეკარეთა მწვრთნელმა ფაბრის გრანჟმა „ლიონის“ ექიმს დაარტყა. სანამ მე მათ გაშველებას ვცდილობდი, რუფიემ ძლიერად ჩამარტყა ზურგში“* - აღნიშნა ოლამ.

სტეფან რუფიე: *„დაუჯერებელია, რომ მან ასეთი რამ თქვა და იკადრა. რასაც მაბრალებს, ასეთი რამ მართლაც რომ გამეკეთებინა, აქედან 3 წუთში ოლა ტელევიზიას ინტერვიუს ვერ მისცემდა. მე ადამიანებს ზურგში არ ვურტყამ და საერთოდ არავის ვესხმი თავს. ეს ჩემს ცხოვრების წესსა და ხედვას ეწინააღმდეგება. ოლას განცხადება სამარცხვინოა“.*

საინტერესოა, რამდენად სერიოზულად გამოიძიებს ინციდენტს დისციპლინარული კომიტეტი და გამოავლენს თუ არა მტყუან-მართალს. იქამდე კი, თავად გადაწყვიტეთ, რომელს დაუჯეროთ.

**გიორგი პაპაბაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარსკვლავი

# წვრილმანებს გამოდევნებული კაცი

## ოსკარი ერთ დღეს ოქროს ბურთს მოიგებს




რამირესი ყოველ შეცდომას განსაკუთრებულად განიცდის

„ჩელსის“ საკლუბო ჟურნალმა ბოლო ნომერში **რამირესთან** ინტერვიუ შემოგვთავაზა, სადაც ბრაზილიელი აღწერს, თუ რამდენად განსხვავებულია ის მოედანზე და ცხოვრებაში. 26 წლის ნახევარმცველი „სტემფორდ ბრიჯზე“ 2010 წელს „ბენფიკადან“ 19.36 მილიონ ფუნტად გადავიდა. მას შემდეგ პრემიერლიგაში 105 თამაში ჩაატარა, გაიტანა 12 გოლი და 9 საგოლე გადაცემა გააკეთა. გაითვალისწინეთ, რომ ის საყრდენი ნახევარმცველია. უნივერსალიზმი რამირესს გუნდის ერთ-ერთ გამორჩეულ ფეხბურთელად აქცევს. აი, რას ამბობს ფეხბურთელი თავის თავზე:

*- მოთამაშეები ხშირად ამბობენ, რომ სტადიონზე იმისგან რადიკალურად განსხვავებულები არიან, ვიდრე ცხოვრებაში. მეც ყოველთვის ასეთი ვიყავი და ამას თავისი მიზეზები აქვს. მჯერა, რომ მოედანზე გაგაქვს ის ყველაფერი, რაც ცხოვრებაში ნახე და განიცადე. სწორედ ამიტომ ვარ ისეთი, როგორსაც მხედავთ. ეს დაკავშირებულია მძიმე შრომასთან, ბრძოლასთან.*

*საკუთარი თავისგან მაქსიმუმს ვითხოვ და ველოდები, რომ საქმეს კარგად გავუძლვები. როცა არაზუსტ პასს ვაკეთებ ან სხვა რამეს ვაშავებ, ჩემს თავს ვადანაშაულებ. მერე მომენტალურად ვიწყებ იმაზე ფიქრს, როგორ უნდა გამოვასწორო საქმე. ამის გამოა, რომ ხალხი მინდორზე ასეთს მხედავს. სწორედ ეს არის მუდმივი საბრძოლო განწყობის ბრალი.*

*მინდა, რომ რაც შეიძლება მეტად დავეხმარო ვილიანს ადაპტაციაში. ის კარგი ადამიანია, დიდი, კეთილი გულით. არ მგონია, რომ გუნდთან შეგუება გაუჭირდეს, თუმცა, რასაკვირველია, მას ამისთვის დრო დასჭირდება. დარწმუნებული ვარ, რომ ამას მოახერხებს და „ჩელსის“ დიდ სარგებელს მოუტანს.*

*ოსკარის პროგრესის ტემპი ნამდვილად მაოცებს. მას ყველაფერი აქვს იმისთვის, რომ წარმატებული ფეხბურთელი იყოს, მათ შორის დროც და ნიჭიც. მას „ათიანის“ როლი აკისრია. ამას კი, როგორც წესი, უფრო გამოცდილ მოთამაშეებს ავალებენ ხოლმე და არა მასავით ახალგაზრდებს. ვიცი, რომ ერთ დღეს ის აუცილებლად მოიგებს „ოქროს ბურთს“. ამისთვის უამრავი წინა პირობა არსებობს.*

*ხანდახან ვერ ვახერხებ 90 წუთი თანაბარ ტემპში თამაშს, თუმცა ცდას ამისთვის არასოდეს ვაკლებ. გამიმართლა, რომ გამძლეობა არ მაკლია და ზოგადადაც ამ ეტაპზე კარგ ფიზიკურ ფორმაში ვარ. ცენტრალური ნახევარმცველისთვის ეს თვისება აუცილებელია, რადგან ის შეტევაშიც და დაცვაშიც ერთნაირად ეფექტური უნდა იყოს. ეს კი არც ისე მარტივია, როგორც შეიძლება ვინმეს მოეჩვენოს. აუცილებელია გახსოვდეს, რა ამოცანა გაქვს შესასრულებელი და ამის მიხედვით დააბალანსო შენი თამაში. ყოველთვის ვცდილობ, გავაკეთო მაქსიმუმი იმისა, რაც შემიძლია. მესმის, რომ ნებისმიერი წვრილმანი, რასაც თავს ვერ გავართმევ, გუნდს აზარალებს.*

არსენალი

# პირველი ინგლისური გამოცდა იოზილისთვის

## არსენალს ბენზემა მოუნდა

მადრიდის „რეალში“ მესუთ იოზილს პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება ნაკლებად სჭირდებოდა, რადგან ირგვლივ ისეთი ფეხბურთელები ეხვია, ვისთვისაც ლიდერის ტვირთი ბუნებრივი იყო. იოზილი „სანტიაგო ბერნაბეუზე“ უკვე აღარ თამაშობს და როგორც ჩანს, მას ეს ხანდახან ავიწყდება. „არსენალში“ გადამწყვეტ მომენტში უპირველესად სწორედ მისგან ელიან ინიციატივას. „მანჩესტერ იუნაიტედთან“ ფეხბურთელი თითქმის არ ჩანდა, რამაც ბრიტანული პრესა პირველად აალაპარაკა ხმამაღლა მესუთის ნაკლოვანებებზე. გერმანიის ნაკრების გულშემატკივარი იოზილის ამ მხარეს უკვე დიდი ხანია იცნობს. ვფიქრობთ, დროა, ეს კუნძულზეც გაითავისონ. ფეხბურთელმა პირველად ამ უქმეების შემდეგ აღიქვა, თუ რას ნიშნავს ინგლისური მასმედიის „ყბაში ჩავარდნა“.

„იოზილმა „ოლდ ტრეფორდზე“ თამაშის წინადღეს განაცხადა, რომ მანჩესტერში მიდის, რათა თამაშით მაქსიმალური სიამოვნება მიიღოს, მაგრამ გერმანელს ეს შეგრძნება აშკარად არ განუცდია. ის მთელი თამაში ჯიბის ქურდივით იყო. მხოლოდ მაშინ ჩანდა, როცა მეტოქეს სპრინტში ეჯიბრებოდა. **უეინ რუნი** მის წინააღმდეგ დაუნდობელი იყო. *„კეთილი იყოს მისი მობრძანება უეინის სამყაროში,“* - დაწერა „გარდიანმა“.

*„იოზილი ფიზიკურად ამ რთულ დაპირისპირებაში ყველაზე არადამაჯერებელი ფეხბურთელი გახლდათ „არსენალის“ შემადგენლობაში. ის თითქმის არ ჩანდა,“* - ვკითხულობთ „მირორში“.




ბრიტანულმა პრესამ იოზილი პირველად გააკრიტიკა

როცა გაზეთები ამას წერდნენ, მათ ჯერ კიდევ არ იცოდნენ, რომ მესუთი მოედანზე გრიპისგან დაუძლურებული იყო, ისევე როგორც მეორე გერმანელი **პერ მერტეზაკერი**, ვისაც საერთოდ არ უთამაშია. ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო ნახევარმცველი გერმანიის ნაკრების შეკრებაზე ჯერ არ გაფრენილა.

### ახალი კონტრაქტი მერტეზაკერს

„ექსპრესის“ ცნობით, „არსენალი“ 29 წლის პერ მერტეზაკერთან კონტრაქტის გახანგრძლივებას გეგმავს. „მეთოფეთა“ წამყვან ცენტრალურ მცველს მოქმედი ხელშეკრულება 2015 წლის ზაფხულზე ეწურება, რომლის თანახმადაც, მისი ხელფასი კვირაში 65 ათასი ფუნტია. გამოცემის მტკიცებით, მხარეებმა მოლაპარაკებათა პირველი ეტაპი უკვე გამართეს. კლუბი ფეხბურთელს „ემირეიტსზე“ 2018 წლამდე დარჩენასა და ანაზღაურების მნიშვნელოვნად მომატებას სთავაზობს. წესით, შეთანხმებას წინ ვერაფერი უნდა დაუდგეს.

### თავდამსხმელი საჭიროა

მიუხედავად იმისა, რომ „არსენალი“ პრემიერლიგას სათავეში უდგას, მიუხედავად იმისა, რომ მას გოლების გატანა არ უჭირს, ჩრდილოლონდონელები თავდასხმის გაძლიერებას ჯერ კიდევ გეგმავენ. ფაქტია, რომ **ოლივიე ჟირუს** ალტერნატივა არ ჰყავს. „ემირეიტსზე“ **ნიკლას ბენდტნერის** დატოვებამ არ გაამართლა. დანიელი გუნდს ვერაფრით ეხმარება. „ექსპრესის“ მტკიცებით, იანვარში „მეთოფეები“ „რეალს“ 25 წლის **ქარიმ ბენზემაში** 27 მილიონ ფუნტს შესთავაზებენ. თუმცა იქვე ვკითხულობთ, რომ ტრანსფერი ყველაზე ადრე ზაფხულზე თუ შედგება. ლოგიკურია, რადგან ზამთარში არც სამეფო კლუბს უნდა აძლევდეს ხელს დასუსტება და არც „არსენალს“ უზარმაზარი თანხის გადახდა ფეხბურთელში, ვისაც მხოლოდ ჩემპიონატში გამოიყენებს.

ამბები



მარკო როისი

### ტაიმსი: იუნაიტედი როისით დაინტერესდა

„ტაიმსის“ ცნობით, „მანჩესტერ იუნაიტედის“ სკაუტები „დორტმუნდის“ 24 წლის ნახევარმცველის **მარკო როისის** თამაშს ინტენსიურად აკვირდებიან. ინფორმაციას გამოცემის ჟურნალისტი **ჯეიმს დაკერი** ავრცელებს, ვინც ძირითადად მანჩესტერული კლუბების შესახებ ამბების მოპოვებით არის სახელგანთქმული. გერმანიის ვიცე-ჩემპიონსა და ფეხბურთელს შორის გაფორმებული კონტრაქტით კომპენსაცია წინასწარ არის განსაზღვრული და ის 35 მილიონ ევროს შეადგენს. თუკი მსურველი თანხას გადაიხდის, კლუბი მოთამაშეს ვეღარ დააკავებს. „ეშმაკებმა“ გარიგებაში შესაძლოა **შინჯი კაგავაც** ჩართონ. იაპონელმა „ოლდ ტრეფორდზე“ საკუთარი პოტენციალის გამოვლენა დღემდე ვერ შეძლო.

### დაბრუნება კიდევ ერთხელ გადაიდო

„მანჩესტერ სიტის“ 27 წლის კაპიტანმა **ვენსან კომპანიმ** ბოლომდე გამოჯანმრთელება ვერ მოახერხა. ბელგიელმა ცენტრალურმა მცველმა ტრავმა პირველივე ტურში მიიღო „ნიუკასლთან“, რის გამოც მთელი თვე გაუცდა. მოედანს დაუბრუნდა თუ არა, მიჯრით მხოლოდ ოთხი თამაშის ჩატარება მოასწრო და 5 ოქტომბერს „ევერტონთან“ ხელახლა გახდა სამკურნალო. მას მერე 2-ჯერ გამოცხადდა, რომ ვენსანი ვარჯიშს განაახლებდა, თუმცა სულ ტყუილად. და აი, უკანასკნელი ცნობებით, ის დეკემბრამდე ვერ ითამაშებს. *„ვფიქრობ, რომ ვენსანი თამაშს მხოლოდ რამდენიმე კვირაში შეძლებს. ჩვენზე, ექიმებზე დამოკიდებული რაც არის, ყველაფერს გავაკეთებთ. ფეხბურთელმა საერთო ჯამში რვა კვირა უკვე გააცდინა და სრული რეაბილიტაციისთვის დრო კიდევ სჭირდება. რას იზამ, ფიზიოლოგიას ვერ მოატყუებ. ეს უნდა გვესმოდეს,“* - აცხადებს ბელგიის ნაკრების ექიმი **ლიევენ მესხალკი**.

### მოურინიო ფალკაოს დააკვირდება

„მირორის“ ცნობით, „ჩელსის“ მთავარი მწვრთნელი **ჟოზე მოურინიო** ხუთშაბათს, 14 ნოემბერს ბრიუსელის „მეფე ბოდუინზე“ ბელგია-კოლუმბიის ამხანაგურ შეხვედრას დაესწრება. მიზანი „მონაკოს“ 27 წლის თავდამსხმელის **რადამელ ფალკაოს** თამაშზე დაკვირვებაა. დასავლეთლონდონელებს სამხრეთამერიკელის გადაბირება ჯერ კიდევ ზაფხულზე სურდათ, მაგრამ რადამელმა მაშინ „მონაკოსთან“ უფრო სარფიანი კონტრაქტის გაფორმება ამჯობინა. საფრანგეთში ფეხბურთის ვარსკვლავებს, ვისაც ხელფასი წელიწადში მილიონზე მეტი აქვთ, გაზრდილი გადასახადების გადახდა მოუწევთ. ნოემბრის ბოლოს ამის გასაპროტესტებლად პროფესიული სტატუსის მქონე კლუბებს გაფიცვა აქვთ გადაწყვეტილი. „ჩელსის“ მღვრიე წყალში თევზის დაჭერა და ფალკაოს გადაბირება სურს. ტრანსფერი ყველაზე ცოტა, 60 მილიონი ფუნტი დაჯდება.

### ჯერარდს ლამპარდი შეცვლის

ნოემბრის სანაკრებო ამხანაგური მატჩების წინ, (15 ნოემბერი ჩილე, 19 - გერმანია) ინგლისის დანაკლისზე გუშინ ვწერდით. შეგახსენებთ, რომ **როი ჰოჯსონს** სამხრეთამერიკელებთან სამი მოთამაშე დააკლდება - **მაიკ კერიკი, დანიელ სტარიჯი** და კაპიტანი **სტივ ჯერარდი**. *„უმნიშვნელო დაზიანება მაქვს. ნერვიულობის საფუძველი არ არსებობს. ვარჯიშს მალევე გავაგრძელებ. შევძლებ თუ არა ნაკრების დახმარებას? ვერ გეტყვით, პასუხი უახლოეს დღეებში მეცოდინება,“* - განაცხადა ჯერარდმა. როგორც მოსალოდნელი იყო, ლივერპულელის მაგივრად ჩილესთან „სამ ლომს“ **ფრენკ ლამპარდი** გაუძღვება. 34 წლის ვეტერანისთვის ეროვნულ გუნდში ეს 101-ე თამაში იქნება. მატჩის დაწყებამდე საფეხბურთო ასოციაცია მას სპეციალურ პრიზს გადასცემს. ნაკრების წინაშე დამსახურებებისთვის ფრენკისთვის საჯაროდ მადლობის თქმა და დაჯილდოება უკრაინასთან ოქტომბრის შეხვედრისას იგეგმებოდა, მაგრამ ჰოჯსონმა მაშინ შესარჩევი ციკლის გადამწყვეტი ტურის წინ დაძაბულობა მოიმიზეზა და ღონისძიების გადადებას მიაღწია.

### ერიქსენი მეორედ

ორშაბათ საღამოს კოპენჰაგენში **კრისტიან ერიქსენს** კარიერაში მეორედ გადასცეს ქვეყნის საუკეთესო ფეხბურთელისთვის განკუთვნილი ჯილდო. პირველად „ტოტენჰემის“ 21 წლის ნახევარმცველი 2011 წელს აღიარეს. ფეხბურთის ფედერაციამ პრიზი 2006 წელს დააწესა. აქამდე ორჯერ მსგავსი პატივი მხოლოდ **დენის რომელს** ჰქონდა. შარშან მისი მფლობელი **დანიელ აგერი** გახდა. გამოვლინდა დანიის საუკეთესო ახალგაზრდა მოთამაშეც. ასეთად „კარდიფის“ 20 წლის თავდამსხმელი **ანდრეას კორნელიუსი** მიიჩნიეს, ვისაც ტრავმის გამო აგვისტოს მერე არ უთამაშია.

### დიმატეო ან პეტრესკუ

„ფულჰემს“ უმძიმესი დღეები უდგას. 11 ტურის შემდეგ ის 10 ქულით გასავარდნ ზონაშია. კლუბის ხელმძღვანელობა კატასტროფის თავიდან ასაცილებლად გზებს უკვე ეძებს. ვერ გეტყვით, რამდენად ეფექტურია, თუმცა მსგავს შემთხვევებში მწვრთნელის დათხოვნა ყველაზე აპრობირებული მეთოდია. „დეილი მეილის“ ცნობით, **მარტინ იოლის** გათავისუფლების შემთხვევაში მის პოსტს კლუბი „ჩელსის“ ყოფილ თავკაც **რობერტო დიმატეოს** ან მოსკოვის „დინამოს“ მოქმედ დამრიგებელ **დან პეტრესკუს** შესთავაზებენ.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

ელექტრონული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ. მაქს კრუზე

# ცხრა-ნახევარი

## გერმანული ფეხბურთის ახალი სახე

მარიო გომესი 28 წლისაა, მიროსლავ კლოზე 35-ის... გერმანიის ნაკრების თავდასხმას ახალი სახეები სჭირდება და ერთ-ერთი ასეთი 25 წლის მაქს კრუზეა. იოახიმ ლიოვს მისი კარგი თამაში უყურადღებოდ არ დარჩენია და კრუზემ „ნაციონალმანშაფტში“ უკვე 5 მატჩის ჩატარება და ერთი გოლის გატანა მოასწრო. იგი 11 გოლითა და 8 საგოლე გადაცემით, „ფრაიბურგის“ წინა სეზონის წარმატების ერთ-ერთი მთავარი შემოქმედი გახლდათ. მიმდინარე სეზონში კი „გლადბახში“ ბრწყინავს - 12 მატჩში 7 გოლი და 4 საგოლე პასი მოასწრო. მიონხენგლადბახელები ახლა მე-4 ადგილზე არიან, ისინი ამ პოზიციის შენარჩუნებას და შესაბამისად ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპის საგზურის მოპოვებას შეეცდებიან. ამისთვის მათ „ბორუსია პარკის“ გარეთაც უნდა დაიწყონ ქულების დაგროვება. გუნდი სახლში ყველას უგებს, აი გასვლაზე კი პირველი გამარჯვება ახლახან მოიპოვა კრუზეს დუბლით, მისი ბავშვობის ოცნების კლუბთან - „ჰამბურგთან“. ვნახოთ, თავად რას გვეტყვის ჰამბურგის სიახლოვეს, რაინბეკში დაბადებული ბრემენის „ვერდერის“ აღზრდილი თავდამსხმელი

**- თქვენი თავგადასავალი „გლადბახში“ ბრწყინვალედ მიმდინარეობს. ელოდით, რომ ახალ გუნდს ასე მალე და უპრობლემოდ შეეწყობოდით?**

- რასაკვირველია, ამის იმედი მქონდა. „ფრაიბურგში“ ფანტასტიკური სეზონი გავატარე და მსურდა იმავე ან უფრო მაღალ დონეზე თამაშის გაგრძელება. ადაპტაცია საერთოდ არ გამჭირვებია, კლუბმაც გამიადვილა საქმე, აქ ჩინებული ატმოსფეროა. ზოგადად მე ძალიან გახსნილი და კონტაქტური პიროვნება ვარ, ეს მინდორზეც მეხმარება.

**- „გლადბახის“ შემტევმა ოთხეულმა - არანგოს, ჰერმანის, რაფაელისა და თქვენი სახით, ბუნდესლიგაში ცეცხლი დაანთო. თუმცა შეძლებთ მთელი სეზონის ასე გაგრძელებას?**

- ამაზე ბევრს ვმუშაობთ და ვცდილობთ ვარჯიშებზე კიდევ უფრო უკეთ შევთამაშდეთ. ჯერჯერობით ყველაფერი კარგად გამოგვდის. თუმცა მე მარტო 4 ფეხბურთელს არ გამოვარჩევდი. ჩვენი წარმატებები მთლიანად გუნდის დამსახურებაა. გვესმის, რომ ბევრი უნდა ვიშრომოთ და ბოლომდე დავიხარჯოთ.

**- როგორ ფიქრობთ, ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის ბრძოლა თქვენს გუნდს რეალურად შეუძლია? რა არის საჭირო იმისთვის, რომ „გლადბახი“ გახდეს ევროტურნირების რეგულარული მონაწილე?**

- ჩვენი მიზანი უახლოესი წლების განმავლობაში ათეულში სტაბილურად დამკვიდრებაა. ვფიქრობ, გუნდს აქვს იმის შესაძლებლობა, რომ სეზონი ექვსეულში დაასრულოს. თუ ეს მოხდა, კლუბისთვის ეს დიდი წარმატება იქნება, რადგან წინა სეზონის შედეგი გაუმჯობესდება. ევროტურნირზე მოხვედრა პირადად ჩემთვისაც ძალიან მნიშვნელოვანია და ამაზე ვოცნებობ, რადგან საკლუბო დონეზე საერთაშორისო გამოცდილება ჯერ არ მქონია.

**- „ფრაიბურგიდან“ წამოსვლისას გული არ დაგწყდათ? იქ ხომ ევროსარბიელზე თამაშის საშუალება გექნებოდათ?**

- არა. როგორც ვთქვი, „ფრაიბურგში“ ძალიან კარგი სეზონი გავატარე და ევროპის ლიგის საგზური მოვიპოვეთ, მაგრამ არარეალურად ჩანდა ის, რომ მსგავს წარმატებას გუნდი ისევ გაიმეორებდა, აი „გლადბახს“ კი აქვს ამბიცია, ყოველ სეზონში ითამაშოს ევროტურნირებზე. მჯეროდა, სწორ ნაბიჯს ვდგამდი და ახლა ამაში დავრწმუნდი, „ბორუსიამ“ მოლოდინი გამიმართლა. კლუბში ბევრი კარგი ახალი ფეხბურთელია, თავს კომფორტულად ვგრძნობ და ჯერჯერობით წარმატებულად გამოვდივართ.

**- ახალგაზრდობაში თქვენ „ჰამბურში“ თამაშზე ოცნებობდით, გიჭირთ მათ წინააღმდეგ ბურთის გორება? თუ პირიქით, ეს დამატებით სტიმულს გაძლევთ და აჩვენებთ ჰამბურგელებს ვინ და რა დაკარგეს მათ?**

- რა თქმა უნდა, ჰამბურგში თამაში ჩემთვის განსაკუთრებული იყო. ჩემი მოტივაცია არ გახლდათ იმის ჩვენება, რა დაკარგეს მათ. დუბლი შევასრულე და მოვიგეთ, რამაც ძალიან გამახარა, რადგან ეს ჩვენი პირველი საგარეო გამარჯვება იყო სეზონში.

**- როგორ ფიქრობთ, არის გუნდი გერმანიაში, რომელსაც „ბაიერნისა“ და „დორტმუნდისთვის“ კონკურენციის გაწევა შეუძლია?**

- არა მგონია. „ლევერკუზენიც“ ბრწყინვალედ გამოიყურება, მაგრამ ვფიქრობ, ჩემპიონის ვინაობა „ბაიერნსა“ და „დორტმუნდს“ შორის გაირკვევა. მესამეზე „ლევერკუზენს“ მოვიაზრებ. ამ სამი გუნდის შემდეგ კი ყველაფერი შესაძლებელია და ჩვენ არაერთ კონკურენტთან ერთად მე-4-6 ადგილებისთვის ვიბრძვით.

**- კარიერაში სულ შემტევად თამაშობდით, მაგრამ სხვადასხვა პოზიციებზე. ახლა კი ტიპური თავდამსხმელი ხართ და ამ ამპლუაში თავს ძალიან კარგად გრძნობთ...**

- წლების მანძილზე მართლაც ვიცვლიდი პოზიციებს. თავიდან ფლანგებზე ვიყავი, შემდეგ, ცენტრში გადავინაცვლე, შემტევ ნახევრამცველად. ახლა კი თავდამსხმელი ვარ, მაგრამ რასაკვირველია, არა საჯარიმოს ფორვარდი. ყოველთვის პლეიმეიკერობა მინდოდა. წლების წინ ამას 10 ნომერს ვეძახდით, ახლა გერმანიაში ამას „ნოინაინჰალბერი“(ცხრა-ნახევარი) ჰქვია. ამ ამპლუაში ყოფნისას მატჩში მუდმივად ჩართული ხარ, ამიტომაც მომწონს და თავს კომფორტულად ვგრძნობ. თუმცა რომელ პოზიციაზეც უნდა ვიყო, ყოველთვის ვეცდები მაქსიმალური სარგებელი მოვუტანო გუნდს.

**- თანამედროვე ფეხბურთში კლასიკური 9 ნომერიც ხომ არ ქრება ნელნელა? რადგან უკვე ფორვარდებსაც უკან დახევა და მომენტების თავად შექმნაზე ზრუნვა უწევთ.**

- ცვლილებები უდავოდ არის. დღეს ფეხბურთში კარგი ტექნიკური არსენალის მქონე ნახევარმცველებს ხშირად იყენებენ თავდამსხმელებად. თუმცა კიდევ ბევრი გუნდია, რომელიც კლასიკური ტიპის ფორვარდით თამაშობს და არ მგონია, რომ ამ ამპლუის ფეხბურთელები ოდესმე გაქრნენ. დანარჩენი უკვე ამა თუ იმ გუნდის სათამაშო სტილზეა დამოკიდებული. ტაქტიკური კუთხით ადაპტაციის არანაირი პრობლემა არ მაქვს, რადგან ამის დიდი გამოცდილება შევიძინე და ჩემს ერთ-ერთ მთავარ დადებით თვისებად იმასაც ვთვლი, რომ ალღოს ყველაფერს სწრაფად ვუღებ.

**- მას მერე, რაც მარიო გომესი და მიროსლავ კლოზე მომჯობინდებიან, შეძლებთ ნაკრებში ადგილის შენარჩუნებას და 2014 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრას?**

- იქამდე შორია და ამაზე ახლა არ ვფიქრობ. ნაკრებში უბრალოდ თამაშიც საკმარისია და იმ შემადგენლობის წევრობა, რომელიც მუნდიალისთვის ემზადება, ახდენილი ოცნებაა. მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაში ფეხბურთელის უდიდესი მიღწევაა. თუმცა იქამდე ბევრი რამ შეიძლება მოხდეს, მაგალითად მძიმე ტრავმა. ასე რომ, ახლა ამაზე ფიქრს აზრი არ აქვს.

**- რამდენიმე მაღალი დონის მწვრთნელთან ერთად გიმუშავიათ, რომელი იყო საუკეთესო?**

- კონკრეტულად ერთს და საუკეთესოს ვერ გამოვარჩევ. ყველასგან ვისწავლე. „ზანქტ პაულიში“ ანდრე შუბერტი იყო ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი, რომელმაც ფლანგიდან ცენტრში გადამიყვანა. რასაკვირველია, „ფრაიბურგში“ ჩემზე დიდი გავლენა მოახდინა კრისტიან შტრაიხმა. მისი მადლიერი ვარ, რადგან ბუნდესლიგაში თამაშის საშუალება მომცა. ახლა ჩემი მწვრთნელი ლუსიენ ფავრია და ვგრძნობ, რომ უკვე მაქვს გარკვეული პროგრესი. თუმცა მთლიანობაში კიდევ ბევრი უნდა ვიმუშაო.


მაქს კრუზე

**გიორგი პაპაბაძე**

გერმანიის ნაკრები

# გერმანელებს ეს არ მოეწონებათ

## ბუნდესგუნდის მენეჯერი ბირჰოფი: მუნდიალზე ნახევარფინალში თამაშიც წარმატება იქნება


გერმანიის ნაკრების მენეჯერი ოლივერ ბირჰოფი

მთელი გერმანია მსოფლიოს ჩემპიონობაზე ოცნებობს, ბრაზილიაში გასამართ მუნდიალზე მსოფლიო თასის მოგების გარდა, ალემანებს არაფრის გაგონება არ სურთ, გერმანიის ნაკრების მენეჯერი **ოლივერ ბირჰოფი** კი სხვაგვარად ფიქრობს, ან უბრალოდ თავს იზღვევს. მისი თქმით, ბრაზილიაში მსოფლიოს ჩემპიონობა აუცილებლობას არ წარმოადგენს. „კიკერისთვის“ მიცემულ ინტერვიუში ბირჰოფი შეეცადა, აეხსნა, რატომ არ არის მსოფლიოს ჩემპიონობა ბუნდესგუნდის სპონსორებისთვის ყველაზე მთავარი და ისე გამოუვიდა, რომ გერმანიის ნაკრების გულშემატკივრებისგანაც ასეთ მიდგომას მოითხოვს.

არადა, გერმანელები და ბუნდესგუნდის ქომაგები ფიქრობენ, ახლა თუ არა, მაშინ როდისღა უნდა გავხდეთ მსოფლიოს ჩემპიონებიო და ამაში ცამდე მართლები არიან, რადგან დიდი ხანია, გერმანიას ასეთი ძლიერი და რაც მთავარია, ძალიან ბევრი, 11-ზე მეტი უმაღლესი კლასის ფეხბურთელით დაკომპლექტებული გუნდი არ ჰყოლია. მეტიც: ზოგიერთი ექსპერტის აზრით, ეს სულაც ყველა დროის საუკეთესო ბუნდესგუნდია. თანაც, „ბაიერნმა“ წინა სეზონში ჰეთთრიკი შეასრულა და საფეხბურთო გერმანია კიდევ უფრო ოპტიმისტურად განაწყო, გერმანული პუბლიკა ნაკრების მიმართაც კიდევ უფრო მომთხოვნი გახადა. და სწორედ ამ დროს ამბობს მენეჯერი ბირჰოფი, რომ ბუნდესგუნდს მსოფლიოს ჩემპიონობა კატეგორიულად არ უნდა მოსთხოვონ.

*„მეოთხედფინალში თამაში გერმანიის ნაკრებისთვის ყოველთვის პროგრამა მინიმუმია, - აცხადებს ბირჰოფი „კიკერისთვის“ მიცემულ ინტერვიუში, - ჩემთვის ისიც წარმატება იქნება, რომ ზუსტად ისე, როგორც წინა ოთხ დიდ ტურნირზე, ისევ ნახევარფინალში რომ გავიდეთ.“*

ძალიან საეჭვოა, რომ გერმანიის ნაკრების ქომაგებს ბირჰოფის ასეთი განცხადება მოეწონოთ. მას ან თავისებური ხედვა აქვს, ანაც უბრალოდ თავს იზღვევს, ფაქტი კი ის არის, რომ ოლივერი აი, ასეთ რამესაც ამბობს: *„მე მენეჯერი ვარ და მუდმივად მაქვს ურთიერთობა ჩვენს არსებულ თუ პოტენციურ სპონსორებთან. მათთვის მთავარი და გადამწყვეტი ისაა, რომ გერმანიის ნაკრები ემოციებს აღძრავდეს. სიმპათიური, კარგი იმიჯის მქონე და შესანიშნავი ფეხბურთის მოთამაშე გერმანიის ნაკრები შეიძლება უფრო დასაფასებელი იყოს, ვიდრე ის, რომ 2014 წელს მსოფლიოს ჩემპიონები მოსაწყენი ფეხბურთით გავხდეთ.*

არადა, გერმანიის ნაკრებს **იოახიმ ლიოვის** ხელში მოსაწყენი ფეხბურთი არასდროს უთამაშია, რის გამოც, ექსპერტებმა ბირჰოფს ეს განცხადება თავის უნიჭო დაზღვევაში ჩაუთვალეს, რადგან სპონსორები ერთია, გუნდი კი ფეხბურთს პირველ რიგში იმიტომ თამაშობს, რომ ტიტულები მოიგოს და არა იმიტომ, რომ სპონსორები დააკმაყოფილოს...

### ვაიდენფელერის ახდენილი ოცნება თუმცა იტალიასთან ნოიერი ითამაშებს

საფეხბურთო გერმანია ორ უაღრესად საინტერესო ამხანაგურ მატჩს მოუთმენლად ელის: ბუნდესგუნდი ჯერ პარასკევს იტალიის ნაკრებს სტუმრობს (მილანში), ოთხი დღის შემდეგ კი ინგლისს (უემბლიზე). ალბათ არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ ამ შეხვედრებს განსაკუთრებით დორტმუნდის „ბორუსიას“ მეკარე **რომან ვაიდენფელერი** ელოდება, რომელიც ბუნდესგუნდში 33 წლის ასაკში პირველად გამოიძახეს და დებიუტის მოლოდინშია.

*„დღეს ბავშვობის ოცნება ამიხდა და ძალიან ბედნიერი ვარ. მინდა, რომ ნაკრებში გატარებული პირველი დღეებით უბრალოდ ვისიამოვნო,“* - აღნიშნა ვაიდენფელერმა თავის პირველ პრესკონფერენციაზე გერმანიის ნაკრების ფეხბურთელის რანგში. თუმცა შედგება თუ არა ამ დღეებში მისი ნანატრი დებიუტი, ამ კითხვაზე პასუხი ჯერაც გაურკვეველია.

*„ჯერ იტალიის ნაკრებთან ვთამაშობ და ახლა მხოლოდ ამ მატჩზე ვფიქრობთ. უკვე ვიცით, რომ იტალიასთან ჩვენი მეკარე მანუელ ნოიერი იქნება. დანარჩენზე მერე ვილაპარაკოთ,“* - ეს გერმანიის ნაკრების მეკარეების მწვრთნელის, **ანდრეას კიოპკეს** სიტყვებია, რომელიც ვაიდენფელერს უიმედოდ არ ტოვებს: *„ისე, ჩვენ სწორედ ახლა გვაქვს იმის დრო და საშუალება, რომ კიდევ რაღაც ვცადოთ. რომანი დიდი ხანია უმაღლეს დონეზე თამაშობს და ძალიან გვინდა, რომ ეროვნულ გუნდში თავის გამოჩენისა და შესაძლებლობების დამტკიცების შანსი მივცეთ. მან ბუნდესგუნდში გამოძახება ასი პროცენტით დაიმსახურა.“*


რომან ვაიდენფელერმა გერმანიის ნაკრების სამოსი პირველად მოირგო

**გოტფრიდ ლენცი**

დორტმუნდის ბორუსია

# კლოპი ფრიდრიხს სინჯავს

## გამოდგება უკლუბო მანუელი სუბოტიჩის შემცვლელად?


იურგენ კლოპმა სინჯებზე ძველი ნაცნობი მანუელ ფრიდრიხი დაიბარა

**ნევენ სუბოტიჩის** ტრავმის შემდეგ დორტმუნდის „ბორუსიას“ ხელმძღვანელები დაფაცურდნენ და მისი შემცვლელის ძებნას შეუდგნენ. როგორც იცით, სერბი მცველი სავარაუდოდ სეზონის ბოლომდე ველარ ითამაშებს, რაც იმას ნიშნავს, რომ „ბორუსიას“ მთავარი მწვრთნელის, **იურგენ კლოპის** განკარგულებაში ორი ნომინალური გამოცდილი ცენტრალური მცველიღა დარჩა - **მატს ჰუმელსი** და ზაფხულში გადაბირებული **სოკრატის პაპასტატოპულოსი**. საკმარისია, რომელიმე დაშავდეს ან დისკვალიფიკაცია მიიღოს, რომ კლოპი სერიოზული საკადრო პრობლემის წინაშე აღმოჩნდება. ესეც რომ არ იყოს, იურგენს გადატვირთული გრაფიკის გამო მაინც სჭირდება მინიმუმ ერთი ისეთი მცველი, რომელიც დაცვაში როტაციის საშუალებას მისცემს.

სწორედ ამიტომ დაუძახა კლოპმა 34 წლის მცველ **მანუელ ფრიდრიხს** სინჯებზე. ეს უკანასკნელი ბოლოს „ლევერკუზენის“ ღირსებას იცავდა, ზაფხულის მერე კი უკლუბოდაა. კლოპი ფრიდრიხს ძალიან კარგად იცნობს - იურგენი მას „მაინცში“ წვრთნიდა. აღსანიშნავია, რომ ამ ხნის განმავლობაში ფრიდრიხი მთლად უსაქმოდ არ ყოფილა - ვეტერანი უკანახაზელი რეგიონალლიგის კლუბ „ობერჰაუზენში“ ვარჯიშობდა. ფრიდრიხს ბუნდესლიგაში 247 მატჩი აქვს ჩატარებული (15 გოლი) და გერმანიის ნაკრების წევრიც იყო - ბუნდესგუნდში 9 მატჩი აქვს გამართული. იანვრიდან მას აზიაში წასვლა და ბანგკოკში თამაში ჰქონდა გადაწყვეტილი, მაგრამ თუ კლოპი დაიტოვებს, ცხადია, აზიაზე უარს იტყვის და „ბორუსიასთან“ კონტრაქტს გააფორმებს.

შეგახსენებთ, რომ სუბოტიჩი გასულ უქმეებზე, „ვოლფსბურგთან“ წაგებულ შეხვედრაში (1:2) დაშავდა. მას მყესები ორ ადგილზე გაუწყდა, რაც იმას ნიშნავს, რომ სავარაუდოდ ამ სეზონის ბოლომდე ველარ ითამაშებს. ჰუმელსისა და სოკრატისის გარდა, „დორტმუნდის“ განაცხადში მხოლოდ ორი ნომინალური ცენტრალური მცველი მოიძებნება, მაგრამ ორივე ძალიან გამოუცდელია - 19 წლის **ქორაი გიუნტერი**, რომელსაც ბუნდესლიგაში მხოლოდ ერთხელ უთამაშია და 18 წლის **მარიან ზარი**, რომელსაც ბუნდესლიგის არც ერთ შეხვედრაში არ უასპარეზია.

**გოტფრიდ ლენცი**

ვარსკვლავი

# რიბერი: ზიდანი რეალში მექაჩებოდა

„ბაიერნის“ ფრანგმა ლიდერმა **ფრანკ რიბერიმ**, რომელსაც „ოქროს ბურთის“ მოპოვების შესანიშნავი შანსი აქვს, აღიარა, რომ რამდენიმე წლის წინ „ბარსელონაში“ ან მადრიდის „რეალში“ გადასვლასთან ძალიან ახლოს იყო.

*„ბარსა“ და „რეალი“ უდიდესი გრანდებია და იყო დრო, როცა ორივე კლუბს ძალიან ვუნდოდი, - იხსენებს 30 წლის რიბერი ჩვენს ფრანგ კოლეგებთან ინტერვიუში, - ჩემი დასაწუნი არც ერთს არაფერი სჭირს, მაგრამ მე უფრო „რეალში“ გადასვლის პერსპექტივა მხიბლავდა. „სამეფო გუნდი“ ჩემთან უფრო ახლოსაა, ვიდრე კატალონიური გრანდი. განსაკუთრებით ჩემი თანამემამულე ზინედინ ზიდანი აქტიურობდა, ზიზუს ძალიან უნდოდა, რომ „რეალში“ გადავსულიყავი.“*

თუმცა ფრანგმა ფეხბურთელმა მაშინ „ბაიერნში“ დარჩენა გადაწყვიტა და რეკორდმაისტერთან ახალი კონტრაქტი გააფორმა, წინა სეზონში კი მიუნხენელებთან ერთად ჰეთთრიკი შეასრულა. შესაბამისად, ახლა დიდი შანსია, რომ მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელად აღიარონ. რიბერი: *„ვნახოთ, რა იქნება. „ოქროს ბურთისთვის“ ბრძოლაში სუპერკონკურენტები მყავს - მაგალითად კრიშტიანო რონალდო, რომელიც გრანდიოზული ფეხბურთელია.“*

რიბერიმ „ბაიერნის“ თავკაც **ხოსეპ გვარდიოლაზეც** ისაუბრა: *„აქ ყველა ფიქრობდა, პეპი მოვა და „ბაიერნშიც“ იმავეს გააკეთებს, რასაც „ბარსელონაში“ აკეთებდა, მაგრამ ასე არ მოხდა. გვარდიოლა მიუნხენში თავისი იდეებითა და კონკრეტული ხედვით ჩამოვიდა, გუნდს ახალი იმპულსები შესძინა. პეპი ყოველთვის უაღრესად მოტივირებულია და ფეხბურთელებისთვისაც შესანიშნავი მოტივატორია.“*

**გოტფრიდ ლენცი**

ვარსკვლავი




# ზლატანი მარკაა

**ზლატან იბრაჰიმოვიჩი** ზედიზედ მერვედ დაასახელეს შვედეთის წლის ფეხბურთელად. სულ კი „იბრაკადაბრამ“ ეს აღიარება მერვედ მოიპოვა. გაუჭირდებოდა...

რაც შეეხება წლის ქალ მოთამაშეს, ეს წოდება მეოთხედ მიენიჭა „ლიონის“ თავდამსხმელ **ლოტა შელინს.**

საინტერესოა, რომ მალე ზლატანი შვედეთის საფოსტო მარკებზე გამოჩნდება. პსჟ-ს 32 წლის ფორვარდის გამოსახულებიანი მარკების სერია გაყიდვაში 2014 წლის 27 მარტიდან გამოვა. იბრა შეიძლება ამ ამბავმა უფრო გაახარა, ვიდრე მობეზრებულმა წლის ფეხბურთელობამ და ხუმრობაც არ დავიწყებია.

*„ჩემთვის დიდი პატივია ის, რომ საფოსტო მარკების სახე გავხდები. მეამაყება და მიხარია, რომ მე ამირჩიეს. თავად ბევრ გზავნილს ვილებ, მაგრამ ლამაზი მარკები მათზე იშვიათად მხვდება. იქნებ, ეს ამიერიდან შეიცვალოს“* - ღიმილით განაცხადა იბრაჰიმოვიჩმა.

გავიხსენოთ ისიც, რომ წინა წლის დეკემბერში შვედურ ენაში ახალი ტერმინი დაამკვიდრეს - „ზლატანერი“. ეს ნეოლოგიზმი ყველამ დიდი სიხარულით მიიღო და შვედური ენის ლექსიკონში შემდეგნაირი განმარტებით შეიტანეს: დომინანტი, დომინაცია, ვინმეს დაჯაბვნა.

**გიორგი პაპაბაძე**

ვარსკვლავი

# მესის ტრავმების ანთოლოგია

2013/14 წლების სეზონი **ლიონელ მესისთვის** ძალიან უიღბლოდ დაიწყო. არგენტინელი ჯერ კიდევ მოსამზადებელ ეტაპზე დაშავდა, უშუალოდ სეზონის დაწყების შემდეგ კი ტრავმა მესამედ მიიღო: პირველად „ატლეტიკოსთან“ სუპერთასის მატჩის შემდეგ, მოგვიანებით კი „ალმერიასთან“ და „ბეტისთან“ გამართულ შეხვედრებში.

უკანასკნელი დაზიანების გამო, მესი დაახლოებით ორ თვეს გამოტოვებს. აი, ის თამაშები, რომელსაც არგენტინელი დააკლდება:

**ესპანეთის ჩემპიონატი:** „ბარსელონა“-“გრანადა“, „ბილბაო“-“ბარსელონა“, „ბარსელონა“-“ვილიარეალი“, „ხეტაფე“-“ბარსელონა“

**ჩემპიონთა ლიგა:** „აიაქსი“-“ბარსელონა“, „ბარსელონა“-“სელტიკი“

**ესპანეთის თასი:** „კარტახენა“-“ბარსელონა“, „ბარსელონა“-“კარტახენა“

სულ, კარიერის განმავლობაში, მესიმ 16 მეტ-ნაკლებად სერიოზული ტრავმა მიიღო და აქედან 9-ჯერ მან ბარძაყის ორთავა კუნთი დაიზიანა.

**ტატო ბაციკაძე**




**2013/14 სეზონი:**

1. **22 აგვისტო,** „ატლეტიკო“-“ბარსელონა“, ჰემატომა მარცხენა ფეხის ბარძაყის ორთავა კუნთში
2. **29 სექტემბერი,** „ალმერია“-“ბარსელონა“, მარცხენა ფეხის ბარძაყის ორთავა კუნთის ტრავმა
3. **11 ნოემბერი,** „ბეტისი“-“ბარსელონა“, მარცხენა ფეხის ბარძაყის კუნთის განყვეტა

**2012/13 სეზონი**

4. **5 დეკემბერი,** „ბარსელონა“-“ბენფიკა“, სისხლჩაქცევა მარცხენა მუხლში
5. **3 აპრილი,** პსჟ-“ბარსელონა“, მარჯვენა ფეხის ბარძაყის ორთავა კუნთის ტრავმა
6. **12 მაისი,** „ატლეტიკო“-“ბარსელონა“, მარჯვენა ფეხის ბარძაყის ორთავა კუნთის დაჭიმვა

**2010/11 სეზონი**

7. **19 სექტემბერი,** „ატლეტიკო“-“ბარსელონა“, მარჯვენა ფეხის კოჭის შიდა და გარე იოგების დაჭიმვა
8. **28 ნოემბერი,** „ბარსელონა“-“რეალი“, მარცხენა ფეხის კონტუზია
8. **29 მარტი,** არგენტინის ნაკრების ვარჯიში, მარჯვენა მუხლის ქვედა მყესის გადატვირთვა

**2009/10 სეზონი**

10. **11 აგვისტო,** მარჯვენა მუხლის ქვედა მყესის და თეძოს თხელი ზედაპირული კუნთის გადატვირთვა
11. **22 ნოემბერი,** „ბილბაო“-“ბარსელონა“, მარცხენა მუხლის ქვედა მყესის პირველი ხარისხის ტრავმა




**2007/08 სეზონი**

12. **15 დეკემბერი,** „ვალენსია“-“ბარსელონა“, მარცხენა ფეხის ბარძაყის ორთავა კუნთის განყვეტა
13. **4 მარტი,** „ბარსელონა“-“სელტიკი“, მარცხენა ფეხის ბარძაყის ორთავა კუნთის განყვეტა

**2006/07 სეზონი**

14. **12 ნოემბერი,** „ბარსელონა“-“სარაგოსა“, ტერფის ცენტრალური ნაწილის მეხუთე ძვლის მოტეხილობა

**2005/06 სეზონი**

15. **5 თებერვალი,** „ბარსელონა“-“ატლეტიკო“, მარჯვენა ფეხის ბარძაყის ორთავა კუნთის დაჭიმვა
16. **7 მარტი,** „ბარსელონა“-“ჩელსი“, მარჯვენა ფეხის ბარძაყის ორთავა კუნთის 5 სანტიმეტრით განყვეტა





ეროვნული ბიბლიოთეკა

წყალბურთი

# ფინალში გასვლა ქართულ სპორტს ჰაერივით სჭირდება

**ევროპის წყალბურთელ ვაჟთა 12 უძლიერესი გუნდი გაისად უნგრეთის დედაქალაქში კონტინენტის ჩემპიონატზე შეიკრიბება. იქასპარეზობის უფლება მასპინძელ უნგრეთსა და წინა შეჯიბრების ხუთ საუკეთესო ნაკრებსა (სერბეთი, ჩერნოგორია, იტალია, გერმანია და საბერძნეთი) განაღდებული აქვთ. დანარჩენი ექვსი საგზურისთვის გაისად 15 თებერვალსა და 12 აპრილს საპლეიოფო ორთაბრძოლები გაიმართება. აქაც ექვსი გუნდის ვინაობა (წინა ევროპის ჩემპიონატის მეშვიდე-მეთორმეტეადგილოსნები: ესპანეთი, რუმინეთი, ხორვატია, ჰოლანდია, მაკედონია, თურქეთი) თავიდანვე იყო ცნობილი. მათთან საპაექროდ 6 ნაკრების გამოსავლენად ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი გაიმართა სამ რაუნდად, რომელშიც 16 გუნდი მონაწილეობდა.**

საქართველოს წყალბურთელთა (მთავარი მწვრთნელი **ვლადიმერ ისელიძე**, მწვრთნელი **იოვან პოპოვიჩი**) სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ 13-დან 11 მატჩი მოიგეს, თითო კი წააგეს და ფრედ დაამთავრეს (ორივე-სლოვაკეთთან) და პლეი ოფში თამაშის უფლება მოიპოვეს. მსგავს წარმატებას მიაღწიეს საფრანგეთმა, რუსეთმა, სლოვაკეთმა, უკრაინამ და დიდმა ბრიტანეთმა.

პორტუგალიური ტურნირიდან დაბრუნებულმა ქართველმა წყალბურთელებმა გუშინ სპორტის სამინისტროს სააქტო დარბაზში პრესკონფერენცია გამართეს. გამარჯვებულებს სპორტის მინისტრის მოადგილე **თამაზ თევზაძე** მიესალმა: სანწყლოსნო სახეობათა ეროვნული ფედერაციის მესვეურებს, მწვრთნელებსა და სპორტსმენებს ვულოცავ ამ წარმატებას. ისინი ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევდნენ წინ და პროგრამა-მინიმუმი შეასრულეს. ვიმედოვნებ, რომ არც უმთავრესი მიზნის - ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოხვედრა გაუჭირდება. ეს კი ის მიღწევა იქნება, რაც ქართულ სპორტს სჭირდება. ჩვენი სამინისტროს პრიორიტეტი სათამაშო სახეობებია. კალათბურთის შემდეგ ევროპის ჩემპიონატის გადამწყვეტ რაუნდში წყალბურთელთა მონაწილეობა დიდი სტიმული იქნება საქართველოში სათამაშო სახეობების გასავითარებლად. მჯერა, რომ წყალბურთელები იმედებს არ გაგვიცრუებენ.

**დავით რურუა,** სანწყლოსნო სახეობათა ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი: მიზნის მისაღწევად ჩვენს ბიჭებს, მართლაც, ძალ-ღონე და მონდომება არ დაუშურებიათ. პლეი ოფის საგზურის მოპოვებით დიდი საქმის მხოლოდ ნახევარი გაკეთდა. სპორტის სამინისტროს და ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აქტიური თანადგომითა და დახმარებით გაისად, იმედია, მიზანსაც მივაღწევთ.

**სანდრო ბითაძე,** სანწყლოსნო სახეობათა ეროვნული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი: რაც გაკეთდა, ბოლო წლების დაუღალავი შრომის შედეგია. ჩვენი ნაკრების ოსტატობის დონე ისე ამაღლდა, რომ იმ 12 გუნდს შორის მოხვედრას ნამდვილად იმსახურებს, რომელიც გაისად ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე იასპარეზებს. დარწმუნებული ვარ, რომ ეს ასეც იქნება. 30 ნოემბერს სერბეთში ევროპის სუპერთასი გათამაშდება; იმავე დღეს პლეი ოფის კენჭისყრაც მოეწყობა და ჩვენი მეტოქის ვინაობაც გაირკვევა. ვის ვისურვებდით? თურქეთიც, მაკედონიაც და ჰოლანდიაც თანაბარი ძალისანი არიან. ამის მიუხედავად, მაკედონიასთან შეხვედრა მაინც არ იქნება სასიამოვნო. საქმე ის არის, რომ ამ ქვეყანას ყოველი ახალი შეჯიბრებისთვის ახალ-ახალი გუნდი გამოჰყავს უძლიერესი ხორვატი და სერბი ნატურალიზებული წყალბურთელებით დაკომპლექტებული. ამიტომ თავად მაკედონიელებმაც არ იციან, ვის ათამაშებენ პლეი ოფში. ამდენად, უფრო მიზანმიმართული მომზადებისთვის თურქეთის ან ჰოლანდიის მეტოქეობა ჯობია. მით უმეტეს, რომ ამ გუნდებთან ნათამაშები გვაქვს და მათი ძალაც ვიცით.

**ვლადიმერ ისელიძე,** ნაკრების მთავარი მწვრთნელი: ევროპის ჩემპიონატის ბოლო მესამე რაუნდისთვის მონდომებით ვემზადებოდით, რადგან აქ წყდებოდა პლეი ოფში გამსვლელთა ბედი. 10 დღე სერბეთში ვიყავით საწვრთნელ შეკრებაზე. სათამაშო პრაქტიკის მისაღებად შვიდი ამხანაგური მატჩი გავმართეთ ამ ქვეყნის გუნდებთან. მათ შორის - ბელგრადის „პარტიზანსა" და ნოვი სადის „ვოივოდინასთან". მერე ჩერნოგორიაში ერთი კვირა დავყავით და იქაც რამდენიმე შეხვედრა გავმართეთ. ასე რომ, პორტოს ტურნირს მომზადებულები შევხვდით. როგორც იცით, ოთხი პაექრობა დიდი ანგარიშებით მოვიგეთ, მხოლოდ ერთი წავაგეთ სლოვაკებთან, ისიც ერთი ბურთის სხვაობით. თბილისის ტურნირთან შედარებით სლოვაკებმა პორტუგალიაში სულ სხვა სიძლიერის გუნდი ჩამოიყვანეს - უფრო აგრესიული და შემტევი, თუმცა უბრძოლველად არაფერი დაგვითმია.

**- პლეი ოფისთვის მომზადებაზე რას იტყვით?**

- 30 ნოემბრის წილისყრით სამი თანაბარი სიძლიერის გუნდიდან ერთ-ერთს დავუპირისპირდებით. პირველი შეხვედრა, როგორც იცით, 15 თებერვალს გაიმართება. როგორც პორტოს ტურნირმა დაგვანახვა, მანამდე ბევრი ხარვეზი გვაქვს აღმოსაფხვრელი - თუნდაც დაცვაში სუსტი თამაში, რის გამოც პორტუგალიაში უამრავი ბურთი მივიღეთ საკუთარ კარში. გოლკიპერებსაც მოუწევთ კვალიფიკაციის ამაღლება. ნატურალიზებული წყალბურთელები ჩვენი გუნდისთვის დიდ ძალას წარმოადგენენ, მაგრამ პრობლემა ის არის, რომ შეკრებებზე ვერ ჩამოდიან და ტურნირებისას შეთამაშება გვაკლია. სამერმისოდ, ალბათ, ამ პრობლემის მოგვარებაც მოგვიწევს. სპორტის სამინისტროს და სეოკ-ის თანადგომით პლეი ოფამდე დარჩენილ პერიოდს მოსამზადებლად აქტიურად გამოვიყენებთ - ალბათ ისევ სერბეთსა და ჩერნოგორიაში გავმართავთ საწვრთნელ შეკრებებს, ძლიერ კლუბებთან ამხანაგურ შეხვედრებს ჩავატარებთ და ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოსახვედრად არაფერს დავიშურებთ.

**ვაჟა დანელია**



ვლადიმერ ისელიძე, თამაზ თევზაძე, დავით და ზურაბ რურუები



საქართველოს ნაკრები

სოჭი-2014




## პრეზიდენტის პოზიცია

ახალარჩეულმა პრეზიდენტმა **გიორგი მარგველაშვილმა** ექსკლუზიური ინტერვიუ მისცა რუსეთის პირველი არხის პროგრამა Воскресное Врем -ს. პრეზიდენტი სოჭის ოლიმპიადასაც შეეხო.

„ჩვენ განვაცხადეთ, რომ მონაწილეობას მივიღებთ რუსეთის ისტორიისთვის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენაში - ოლიმპიურ თამაშებში და გავფანტეთ დაძაბულობის ფონი. ამ ეტაპზე განიხილება სოჭის ოლიმპიურ თამაშებზე ქართველ სპორტსმენთა მხარდასაჭერად ჩემი ჩასვლის საკითხი.

სოჭის ოლიმპიადაზე ქართველი სპორტსმენების გამგზავრება კარგი დასაწყისია იმისთვის, რომ არ შეიქმნას რაიმე პოლიტიკური დაძაბულობა.

ქართული მხარე მოლოდინით უყურებს სოჭის ოლიმპიადას და იმედოვნებს, რომ სპორტული და კეთილი ნების ემოცია დასაბამს მისცემს გარკვეული სახის ახალ ურთიერთობებს არა მხოლოდ რუსეთში, არამედ მთელ მსოფლიოში" - თქვა გიორგი მარგველაშვილმა.

ჭადრაკი

# ქართველები სამეულში

ვარშავაში მოჭადრაკე ქალ-ვაჟთა ევროპის გუნდურ ჩემპიონატზე საქართველოს მამაკაცთა ნაკრები სასიამოვნოდ აცვიფრებს ბრძენთა თამაშის მოყვარულთ. განვლილ ოთხ ტურში ჩვენმა ბიჭებმა გუნდური 6 ქულა მოაგროვეს და მეორე-მერვე ადგილებს იყოფდნენ. გუშინ ისინი ისრაელის ნაკრებს დაუპირისპირდნენ. საქართველოს გუნდს პირველი ქულა **ბაადურ ჯობავამ** მოუტანა - გილ პოპილსკის დასამარცხებლად შავი ფიგურებით 16 სვლა იკმარა. თანაგუნდელს მხარი აუბეს **მიხეილ მჭედლიშვილმა** და ქვეყნის წლევანდელმა ჩემპიონმა **გაიოზ ნიგალიძემ,** რომლებმაც, შესაბამისად, დანი რაზნიკოვი და ავიტალ ბორუჩოვსკი დაჯაბნეს. ყველაზე გვიან ტალ ბარონისა და **ლევან ფანცულაიას** პარტია დამთავრდა - 52-ე სვლაზე ყაიმი.

ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენელთა დანარჩენი შეხვედრები ასე დასრულდა: უნგრეთი-საფრანგეთი 2:2, რუმინეთი-უკრაინა 2:2, ჩეხეთი-აზერბაიჯანი 1.5:2.5, ბელარუსი-საბერძნეთი 1:3, სლოვენია-სომხეთი 1:3, სერბეთი-ხორვატია 2:2, გერმანია-ინგლისი 1.5:2.5. ხუთი ტურის შემდეგ: საფრანგეთი-9 (12,5), საქართველო-8 (12,5), საბერძნეთი-(12,5), აზერბაიჯანი-8 (11,5).

საქართველოს ქალთა ნაკრებს გუშინ, ტრადიციულად, უხერხული მეტოქე ჰყავდა - სომხეთის ეროვნული გუნდი. მე-4 დაფაზე **ბელა ხოტენაშვილმა** მარია კურსოვა დაამარცხა და თავისი გუნდი დააწინაურა. **ნინო ხურციძე** ლილით გალოიანს დაუზავდა. **მერი არაბიძეს** ლილით მკრტიჩიანთან შეხვედრისას 34-ე სვლისთვის აშკარა უპირატესობა ჰქონდა, მაგრამ ევროპის ჩემპიონატის დებიუტანტმა ამ ტურნირზე უკვე მეორედ გაუშვა ხელიდან მოგების სანსი და 10 სვლის შემდეგ ყაიმზე შეუთანხმდა მეტოქეს, სამაგიეროდ, პირველ დაფაზე ელინა დანიელიანმა თეთრებით მშვენივრად გამოიყენა **ნანა ძაგნიძის** შეცდომები და წონასწორობა აღადგინა - 2:2. ასეთივე ანგარიშით დამთავრდა რუსეთ-გერმანიის ორთაბრძოლა. უკრაინამ პოლონეთი გაანადგურა - 3.5:0.5 და ერთპიროვნულად დაწინაურდა. სერბეთი-ესპანეთი 1.5:2.5, ჰოლანდია-რუმინეთი 2:2, პოლონეთი (3)-ისრაელი 3:1, საფრანგეთი-აზერბაიჯანი 1.5:2.5, თურქეთი-უნგრეთი 1.5:2.5, ბულგარეთი-ლიტვა 2:2. ხუთი ტურის შემდეგ: უკრაინა-10 (15,5), საქართველო-8 (14), პოლონეთი-8 (12).

დღეს ჩვენი ქალები უკრაინას, ვაჟები კი აზერბაიჯანს დაუპირისპირდებიან.

**ვაჟა დანელია**



# მეორე-მესამე ადგილებს იყოფენ

ოთხი ქართველი დიდოსტატი მონაწილეობს ინდური ჩენაის მოჭადრაკე ქალთა საერთაშორისო ტურნირში. რვა ტურის შემდეგ ისინი მეწინავეთა ჯგუფში იყვნენ. გუშინ მე-9 ტურის ორთაბრძოლები გაიმართა. **ნინო ბაციაშვილი** თეთრი ფიგურებით მასპინძელ შვათი ჩეტს დაუზავდა, რითაც ისარგებლა ინდოელმა ანი მარი გომესმა — შავებით **სოფიო გურამიშვილი** დაამარცხა და 7,5 ქულით ერთპიროვნულად დაწინაურდა. **ქეთი წაწალაშვილმა,** რომელიც, ფაქტობრივად, სამწლიანი უქმობის შემდეგ დაუბრუნდა დიდ ჭადრაკს, თეთრი ფიგურებით **მაკა ფურცელაძე** დაამარცხა.

ამდენად, 9 ტურის შემდეგ, როგორც აღვნიშნეთ, 7,5 ქულით პირველ ადგილზეა მარი გომესი. 7-7 ქულით მეორე-მეოთხე ადგილებს ნინო ბაციაშვილი, ქეთი წაწალაშვილი და შვათი ჩეტი ინაწილებენ. ხუთმა მოჭადრაკემ 6,5-6,5 ქულას მოუყარა თავი. 6-6 ქულით მაკა ფურცელაძეს და სოფიკო გურამიშვილს, შესაბამისად, მე-11 და მე-14 ადგილები უკავიათ.

ტურნირის დამთავრებამდე ორი ტური დარჩა. დღეს მე-10 ტურში ითამაშებენ: შვათი ჩეტი (7)-ანი მარეი გომესი (7.5), ქეთი წაწალაშვილი (7)-ნინო ბაციაშვილი (7), ნიშა მოჰოტა (6.5)-სუბარამან ვიჯიალაქშმი (6.5), სუბარამან მეენაკში (6.5)-ირინა ივახინოვა (6.5), ბახტი კულკარნი (6.5)-შვამინათან სუომია (6), მანიშა კირანი (6)-სოფიკო გურამიშვილი (6), ნაფისა მუმინოვა (6)-მაკა გურცელაძე (6), კარინა ამბარცუმოვა (6)-ლასია (6).

■ ■ ■

ჩენაიშივე ვაჟთა მსოფლიოს ჩემპიონის გვირგვინისთვის ამ ტიტულის მატარებელი მასპინძელი ვიშვანათან ანანდი და ნორვეგიელი მაგნუს კარლსენი იბრძვიან. გუშინ მესამე პარტია გაიმართა. 52-ე სვლაზე მეტოქეები ყაიმზე შეთანხმდნენ. ანგარიშია 1,5:1,5.

**ვაჟა დანელია**

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. სალაძის ტურნირი

# სალაძე – ჭაბუკთა სამსახურში

გლდანის ოლიმპიური რეზერვების მზადების განახლებული ეროვნული ცენტრი ორი დღის განმავლობაში მასპინძლობდა ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში მსოფლიოს ჩემპიონ **მიხეილ სალაძის** სახელობის საერთაშორისო ტურნირს ჭაბუკთა შორის. ეს დარბაზი შემთხვევით არ შეურჩევიათ – მსოფლიოს მომავალი ჩემპიონი სწორედ იმ კედლებში აღიზარდა.



ზვიად პატარიძე

ჩვენი სპორტსმენებისთვის ეს სეზონის ბოლო სტარტი იყო, რომელიც მიზნად საგაისო სეზონისთვის მზადებას, ნაკრების ბირთვის შერჩევას ისახავდა. გაისად ჩვენებს სამი მნიშვნელოვანი შეჯიბრება ელოდებათ – ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატები, მსოფლიოს ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშები. ცხადია, ასეთ მასშტაბურ სეზონს შემადგენლობაც სათანადო სჭირდება. მით უფრო, შეჯიბრებები ძირითადად ზაფხულშია კონცენტრირებული ანუ შემჭიდროებულ ვადებში ტარდება და მწვრთნელებმა მინიმუმ, ორი გუნდი მაინც უნდა დააკომპლექტონ.

წლევანდელ შეჯიბრებაში 250-მდე მოზარდი მონაწილეობდა – მასპინძელთა გარდა, იყვნენ სომხები და აზერბაიჯანელები. ამათ იმდენად ვერა – მხოლოდ ერთი ვერცხლი მოიპოვეს, მაგრამ სომხებმა კი გამოიჩინეს თავი – 54 კილოგრამში სულაც სომხური ფინალი გაიმართა, ამის გარდა, კიდევ ერთ წონაში გაიმარჯვეს ანუ 2 ოქრო მოიპოვეს. მათი საერთო მონაგარი 7 მედალია – 2 ოქრო, 1 – ვერცხლი და 4 – ბრინჯაო. ცხადია, მედლების უმეტესობა მასპინძლებმა დაიტოვეს, თუმცა ჩვენთვის მნიშვნელოვანი ისიც იყო, რომ ხანგრძლივი შესვენების შემდეგ ისევ გამოჩნდა წალკის გუნდი.

**ირაკლი თავაძე**

**კვარცხლბეკი**

**42 კგ.** 1. სერგეი სიმონიანი (სომხეთი); 2. გიორგი მეფიშვილი; 3. ირაკლი ძიმისტარიშვილი (ორივე – საქართველო), არტურ გალუსტიანი (სომხეთი).

**46 კგ.** 1. ნუგზარ წურწუმია; 2. გიზო მელაძე; 3. გიორგი ჩხაიძე (სამივე – საქართველო), არა სააკიანი (სომხეთი).

**50 კგ.** 1. ლერი აბულაძე; 2. ჯონი ხეცურიანი; 3. ილია ტყებუჩავა, შოთა ღლონტი (ყველა – საქართველო).

**54 კგ.** 1. არარატ მანუჩარიანი; 2. ნორიკ ანტონიანი (ორივე – სომხეთი); 3. გიორგი დავითაძე, დავით მარკოიძე (ორივე – საქართველო).

**58 კგ.** 1. გიორგი კურტანიძე, აივენგო რიკაძე; 3. დავით ირემაძე, გენადი ჩიტაძე (ყველა – საქართველო).

**63 კგ.** გიზო სამხარაული; 2. ბექა მამუკაშვილი; 3. ვლადიმერ შავაძე (სამივე – საქართველო), ზავენ მიქაელიანი (სომხეთი).

**69 კგ.** 1. გივი ქართველიშვილი (საქართველო); 2. ნურლან მამადოვი (აზერბაიჯანი); 3. ბადრი ჯანელიძე, თემურ ქავთარაძე (ორივე – საქართველო).

**76 კგ.** 1. გურამ ხეცურიანი; 2. ლევან სვანაძე; 3. ვახტანგ ნაცვლიშვილი, ირაკლი ბერიშვილი (ოთხივე - საქართველო).

**85 კგ.** 1. დავით გოგიძე; 2. ბესლან კუშტანაშვილი; 3. ზვიად ფუტკარაძე, საბა ბუხრიკიძე (ოთხივე – საქართველო).

**100 კგ.** 1. ზვიად პატარიძე; 2. გიორგი მარშანია; 3. გიორგი ბარბაქაძე (სამივე – საქართველო), რობერტ სააკიანი (სომხეთი).

სპორტული კავშირები



გორელები და ბელგიელები

# გორი – ნამური, ნაყოფიერი თანამშრომლობა

გორის საჭიდაო სკოლის მრავალწლიანი წარმატებული მოღვაწეობა საყოველთაოდ ცნობილი ამბავია. ამის შესახებ კარგად ძიუდოს სამყაროს მოეხსენება. სწორედ ძიუდოს „მესაიდუმლე" გორელი სპეციალისტების გაცნობა გახდა წლეულს ზაფხულში ბელგიელი სპეციალისტის **ედი ოსპერის** გორში სტუმრობის მიზეზი. საპასუხოდ ერთობლივი წვრთნებისთვის და შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად გორელებიც იმყოფებოდნენ ბელგიაში. ამ დღეებში ისინი სამშობლოში დაბრუნდნენ.

ედი ვან ოსპერი ბელგიის ქალაქ ნამურში ცხოვრობს და იქვე თავისი ძიუდოს კლუბის მწვრთნელია. ოსპერი ბელგიაში მყოფმა **ნესტორ ხერგიანმა** დააკავშირა გორელებს. მწვრთნელი ორ შეგირდთან ერთად აგვისტოში ჩამოვიდა საქართველოში. გორში ათი დღის განმავლობაში მონაწილეობდნენ ვარჯიშებში. სტუმარი გორელ მწვრთნელ **ნიკო ბიბილაშვილს** სოფელ შინდისში (გორის რ-ნი) ქართული ჭიდაობის შეჯიბრებაზეც ახლდა. *„ედი ქართული ჭიდაობის ისტორიით, მისი ასაკით დაინტერესდა. მე ვუთხარი, რომ როცა საქართველოში პირველი ეკლესიები აშენდა, იქვე მოსახლეობამ სახელდახელოდ არენებიც გააკეთა და ეროვნული, თუ რელიგიური დღესასწაულები ხშირად მთავრდებოდა ამ სარბიელებზე ახალგაზრდების პაექრობებით. შესაბამისად იგი ჩვენ უკვე შესისხლხორცებული გვაქვს. ოსპერმა იცოდა, რომ ქართული ძიუდოს წარმატებაში მნიშვნელოვანი წვლილი სწორედ ქართულ ჭიდაობას მიუძღვის. სოფლად, ნახევრმოყრილ არენაზე გამართული სანახაობის უშუალოდ ნახვით სტუმარი მეტად კმაყოფილი დარჩა"* - გვიყვება ნიკო ბიბილაშვილი.

ბელგიელმა გორელები მაშინ თავის კლუბში დაპატიჟა.

ოქტომბერში ნიკო ბიბილაშვილი ბელგიაში თავისი ყველაზე ტიტულოვანი შეგირდის, ოლიმპიურ ჩემპიონ **ლაშა შავდათუაშვილისა** და კიდევ 14-17 წლის შვიდი ძიუდოისტის თანხლებით გაემგზავრა. ერთკვირიანი ერთობლივი ვარჯიშების შემდეგ ოსპერის და ბიბილაშვილის შეგირდები ნამურიდან ლილში (საფრანგეთი) გადავიდნენ ფრანგული და ბელგიური ძიუდოს კლუბებს შორის ახალგაზრდების შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად. იქ მხოლოდ სამი ქართველი სპორტსმენი გავიდა. მართალია, თავისზე უფროსებთან მოუწიათ ჭიდილი, მაგრამ **იესო კვირიკაშვილი** და **ზვიად ხუბულური** (ორივე - 66), მესამე პრიზიორები მაინც გახდნენ. ამ უკანასკნელმა ბრინჯაოსთვის შეხვედრა თანაგუნდელ **ერეკლე არხოზაშვილს** მოუგო.

*„ერთობლივი წვრთნები ბელგიაში ძალიან ნაყოფიერი გამოდგა. მასპინძლებმა ძალიან გაიხარეს ლაშა შავდათუაშვილის სტუმრობითაც. შევთანხმდით, რომ ორმხრივი ურთიერთობა გაგრძელდება. ალსანიშნავია, რომ ოსპერმა წამოსვლის წინ 30 კიმონო გადმოგვცა საჩუქრად"* - გვითხრა ნიკო ბიბილაშვილმა.

ბელგიელები გორში ზამთარში ჩამოვლენ, ჩვენები კი მათ აპრილში ეწვევიან და ლილში მონაწილეობას კვლავ მიიღებენ კლუბებს შორის საერთაშორისო ტურნირში.

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან

სასკოლო სპორტი

# მცხეთაშიც დაფუძნდა

საქართველოს სასკოლო სპორტის ეროვნული ფედერაცია განაგრძობს საქალაქო და რაიონული ორგანიზაციების დაფუძნებას. რუსთავის შემდეგ სასკოლო სპორტის რაიონული ფედერაცია მცხეთაში შეიქმნა. თავმჯდომარედ აირჩიეს სოფ. ციხისძირის საჯარო სკოლის სპორტის მასწავლებელი **ზურაბ ელყანიშვილი.**

+1

# არხილოსკალოშიც გაიხსნა

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ არხილოს კალოში საზეიმოდ გაიხსნა ახალი საჭიდაო არენა. ლენტის გაჭრის პატივი წილად ხვდა გენერალ **თამაზ თამაზაშვილს,** რომელიც იქვე გამართული შეჯიბრების მთავარი მსაჯი იყო. მისივე წინადადებით სარბიელს მიენიჭა ბიჭიკო ბუჩუკურის სახელი.

60, 70, 80 და 80 კგ-ზე ზევით წონით კატეგორიებში ერთმანეთს პირველობას ეცილებოდნენ დედოფლისწყაროს, ქარელის, ახმეტის, ლაგოდეხის, რუსთავის, საგარეჯოს, თბილისისა და ხაშურის სპორტსმენები. შეჯიბრებას ორგანიზება გაუწია დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურისა და სპორტის ცენტრმა.

**გამარჯვებულები და პრიზიორები: 60კგ.** 1.გიორგი ნათათრალაშვილი (ორივე - სოფ. არხილოსკალო), 2. ბაჩუკი ჭიკაიძე. 3. გიორგი მუმლაძე (ლაგოდეხი); **70 კგ.** 1. ზურაბ ნოზაძე (ხაშური), 2. ზაზა სიმონიშვილი (ქარელი), 3. ვასილ ბერუაშვილი (რუსთავი); **80კგ.** 1. ლევან წიკლაური (არხილოსკალო), 2. ჯაბა ბიწაძე, 3. ალექსანდრე ნანიევი (ორივე - ლაგოდეხი); **+80კგ.** 1. გიორგი ნოზაძე (ხაშური), 2. კონსტანტინე გაზაშვილი (ქარელი); 3. გიორგი კობაიძე (თბილისი).

გამარჯვებულები და პრიზიორები ქართული ჭიდაობის ეროვნულმა ფედერაციამ ფულადი პრიზით, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტმა კი პირველ ადგილზე გასული სპორტსმენები ფასიანი საჩუქრებით დააჯილდოვა.

**ლელა ხეჩოშვილი**

თავისუფალი ჭიდაობა. ერევნის ტურნირი



შმაგი თოდუა (მარცხნივ)

# კარაპეტიანის მედალოსნები

**ამუქმეებზე თავისუფალი სტილით მოჭიდავე ჭაბუკებმა წარმატებით იასპარეზეს ერევანში, მსოფლიოს ჩემპიონ რუდოლფ კარაპეტიანის სახელობის მემორიალში, სადაც 9 მედალი მოიპოვეს – 6 ოქრო, 1 ვერცხლი და 2 – ბრინჯაო.**

ჩვენი ნაკრებისთვის ეს ტურნირი სამომავლო სეზონისთვის მზადებისთვის ერთ-ერთი ეტაპია და იქ ნაკრების ბირთვი ჰყავდათ წაყვანილი. ცხადია სავარაუდო შემადგენლობა, რომლისგანაც მწვრთნელები გაისად წარმატებას ელოდებიან. სულ 11 ფალავანი იახლეს და როგორც გითხარით, 9 მედალი მოიპოვეს. ერთ წონაში – 85-ში ორი მონაწილე წაიყვანეს და სასიხარულოა, რომ იქ ქართული ფინალიც გაიმართა. თავად შეჯიბრება საკმაოდ ძლიერი გამოდგა, რადგან ჩვენი და მასპინძლების გარდა, ირანის, რუსეთისა და მისი ავტონომიების – დაღესტნისა და ოსეთის გუნდებიც გამოდიოდნენ.

ერევანში გამარჯვებულები ჩვენგან არიან: **გიორგი ხაჩიძე** (42), **თეიმურაზ ვანიშვილი** (46), **შმაგი თოდუა** (54), **მირზა სხულუხია** (69), **მოგელი მეზვრიშვილი** (85) და **გივი მაჭარაშვილი** (100), მეორეზე **ზაურ ბერაძე** (85) გავიდა, ბრინჯაოს მედლებს კი **მამუკა ჩაჩუა** (58) და **მურად თოფჩიშვილი** (76) დაეუფლნენ.

მწვრთნელი **გიორგი იანტბელიძე** კმაყოფილია ტურნირით და ბიჭების გამოსვლით – კარგი სტარტიც მიიღეს და დასახული ამოცანაც წარმატებით შეასრულეს. თუმცა მწვრთნელი ცოტა ჩაჩუაზეა გულდაწყვეტილი და მიაჩნია, რომ ის მსაჯებმა დაჩაგრეს, თორემ, მინიმუმ, ფინალში მაინც გავიდოდა. რაც მთავარია, ამჯერად შეჯიბრებამ ინციდენტების გარეშე ჩაიარა და მსგავსი ექსცესები, რაც ამ გუნდის წინა სტუმრობას მოჰყვა ბერდში, არ მომხდარა. შეგახსენებთ, რომ მაშინ გუნდურ პირველობაში წარმატება თოფჩიშვილმა მოგვიტანა, რომელმაც წმინდად მოიგო და სწორედ ამ შეხვედრას მოჰყვა აურზაური. ამჯერად ყველაფერი მშვიდობიანად წარიმართა, თუმცა ნორჩი ფალავანი მესამე ადგილზე დაგვირჩა.

ჩვენი ჭაბუკებისთვის ეს სეზონის ბოლო გასვლითი შეჯიბრება იყო. წლის ბოლომდე ისინი ქუთაისში იჭიდავებენ, სადაც უცხოეთიდან ძლიერ შემადგენლობას ელოდებიან.

**ირაკლი თავაძე**

სუმო. კიუშუს ბაშო. 10-24 ნოემბერი

# გაგამარუ, ისევ მარცხი



ნოემბრის ბაშოზე ზედიზედ მეორე მარცხი იწვნია **თეიმურაზ ჯუღელმა (გაგამარუ)**. მძიმეწონოსანმა ქართველმა მე-10 მაეგაშირა **კოტოიუკისთან** წააგო. ჩვენებურს 1-2 ბალანსი აქვს, მისი მომდევნო მეტოქე მე-9 მაეგაშირა **სადანოფუჯია.**

ბაშოდან ტრავმის გამო მოიხსნა ოძეკი **კოტოშოგიკუ**. ექიმები მას 3-თვიან მკურნალობას ურჩევენ. ასე რომ, 29 წლის იაპონელი დაკარგავს ჩემპიონის რანგს.

**III დღე**

(მნიშვნელოვანი ბრძოლები): ჰაკუჰო-მიოგირიუ (იორიკირი), ჰარუმაფუჯი-კიოკუტენჰო (იორიკირი), გოეიდო-კაკურიუ (ცუკიოტოში), შოჰოზანი-კოტოოშუ (იორიტაოში), ამინიშიკი-კისენოსატო (კომატასუკუი), კოტოიუკი-**გაგამარუ** (ოშიდაში).

**IV დღე**

(მნიშვნელოვანი წყვილები): ჰარუმაფუჯი-ტოიონოშიმა, ჰაკუჰო-კიოკუტენჰო, კოტოოშუ-მიოგირიუ, კისენოსატო-ოკინოუმი, კაკურიუ-ამინიშიკი, გოეიდო-შოჰოზანი, **გაგამარუ**-სადანოფუჯი.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

● კალათბურთი. არჩევნები 2013

# მიხეილ გაბრიჩიძის სამოქმედო გეგმა

საქართველოს კალათბურთის ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნები 11 დეკემბერს უნდა გაიმართოს. მანამდე ერთი თვეა დარჩენილი და უკვე დროა პრეზიდენტობის ოთხმა კანდიდატმა საზოგადოებას სამოქმედო პროგრამა გააცნოს. ამ საქმეში პირველი ნაბიჯი **მიხეილ გაბრიჩიძემ** გადადგა, რომელმაც პროგრამის შემოკლებული ვარიანტი გუშინ გაგვაცნო. იგი გასულ კვირას „ლელოს" სტუმარი იყო და რამდენიმე საინტერესო საკითხზე ჩვენთანაც ისაუბრა. კალათბურის ფედერაციის პრეზიდენტობისკენ მიმავალ გზაზე მიხეილ გაბრიჩიძის შესავალი სიტყვა ასეთი იყო:



თამაზ ოქრუაშვილი და მიხეილ გაბრიჩიძე (მარჯვნივ)

- ქართული კალათბურთი ალმასვლის ნელ, მაგრამ მკაფიოდ გამოხატულ ეტაპზეა. უდავოდ თვალში საცემია საქართველოს სხვადასხვა ნაკრების, განსაკუთრებით ეროვნული ნაკრების, სტაბილური წარმატებები ევროპულ სარბიელზე, რაც გამოიხატება ჯგუფურ ეტაპებზე ნაჩვენები კარგი და ფინალურ ეტაპზე ნაჩვენები დამაკმაყოფილებელი შედეგებით. 2011 წლის ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრებმა დამოუკიდებელი ქვეყნის სტატუსის არსებობის პერიოდში მიაღწია მაქსიმალურ შედეგს და გავიდა ფინალური ტურნირის შემდგომ ეტაპზე.

ორი ქართველი კალათბუთელი წარმოადგენს ჩვენს ქვეყანას მსოფლიოს საუკეთესო ლიგაში (NBA), ხოლო რამდენიმე ევროპის წამყვან კლუბებში ასპარეზობს. კალათბურთი რაგბთან ერთად უდავოდ არის წარმატებული სათამაშო სპორტის სახეობა ჩვენი ქვეყნის განვითარების მიმდინარე ეტაპზე. სახეზეა საკალათბურთო ბუმი და შესაბამისად საზოგადოების მხრიდან მისდამი ინტერესისა და მოთხოვნების ზრდა.

ნათლად ჩანს, რომ კალათბურთის ეროვნული ფედერაციის არსებულმა ხელმძღვანელობამ შეძლო დაღმავალი პერიოდის შეჩერება და ვითარების სასიკეთოდ შემოტრიალება. დგება დრო, როდესაც კალათბურთის ეროვნულ ფედერაციას უნდა გადავუხადოთ მადლობა ჩატარებული დიდი სამუშაოსთვის და ავუხსნათ საკალათბურთო საზოგადოებას შემდეგი: იმისათვის, რომ ქართული კალათბურთი, ჩვენი უსაყვარლესი სპორტი, ჩვენი ცხოვრების ნაწილი, განვითარების ახალ, კიდევ უფრო მაღალ ეტაპზე გადავიდეს საჭიროა მმართველობაში ახალი გუნდის მოსვლა თავისი ახალი ხედვით და განვითარების თანამედროვე კონცეფციით, კალათბურთის და თანამედროვე ბიზნესის მართვის დიდი გამოცდილებით. სამოქმედო გეგმით, რომელიც შეძლებს მოკლევადიან პერსპექტივაში მიღწეულის შენარჩუნებას და დახვეწას, ხოლო შორეული პერსპექტივისთვის მყარი სისტემის საფუძვლის ჩაყრას ქართული კლუბების ევროპულ ასპარეზზე, ნაკრებების ევროპულ, მსოფლიო და ოლიმპიურ ტურნირებში წარმატებით მონაწილეობისათვის.

ჩვენი გუნდის მიზანია დაინერგოს სისტემა, რომელიც მოგვცემს საშუალებას, 10-15-წლიან პერსპექტივაში ქვეყნის განვითარებასთან ერთად კალათბურთი აქციოს ეკონომიკის ერთ-ერთ დარგად თავისი საკუთარი ინფრასტრუქტურით, რომელიც ნაკლებად იქნება დამოკიდებული სახელმწიფო დოტაციაზე თუ მეცენატების აქტივობაზე. ყველა ბიზნესმენი იყოს ამაყი გაუწიოს სპონსორობა ამა თუ იმ საკალათბურთო სკოლას, კლუბს თუ ნაკრებს. დააბანდოს ფულადი სახსრები კალათბურთში, როგორც ეს ხდება ბიზნესის შემთხვევაში. ეს ასე ხდება ეკონომიკურად წარმატებულ ქვეყნებში.

ფიბა, სხვა საერთაშორისო სპორტული ფედერაციების მსგავსად, ისწრაფვის სახეობის კომერციალიზაციისკენ. ყველასთვის ნათელია, რომ თანამედროვე საკალათბურთო მოთხოვნებს დიდძალი მატერიალური და ინტელექტუალური რესურსი სჭირდება. აუცილებელი პირობაა ფიბასთან და ფიბა-ევროპასთან მჭიდრო თანამშრომლობა და კოორდინაცია, მისი ყველა რეკომენდაციისა თუ იდეის გულმოდგინე ანალიზი და დანერგვისთის სწრაფვა-მზადყოფნა. აუცილებელია ურთიერთობის კიდევ უფრო გაღრმავება ნებისმიერ დონეზე, ყველა კონგრესში, სემინარში, ვორკშოპში აქტიური მონაწილეობა.

პრეზიდენტობის კანდიდატმა ისაუბრა სამთავრობო სტრუქტურებთან თანამშრომლობაზე, ვეტერანებზე, ქალთა და ბავშვთა კალათბურთის განვითარებაზე, პოპულარიზაციასა და კიდევ სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე. მანვე უპასუხა დამსწრე საზოგადოების შეკითხვებს, რის შემდეგაც დარბაზში გაიმართა შეჯიბრება ვეტერანთა და ჟურნალისტთა შორის საჯარიმოების ტყორცნაში. ვეტერანთა შორის პირველობა არავის დაუთმო **ვაჟა ჟღენტმა**, ხოლო ჟურნალისტებში - „მსოფლიო სპორტის" ფოტოკორესპონდენტმა **ხატია ჯიჯეიშვილმა.**

**ვაჟა სიმონიშვილი**

● ჩოგბურთი

# ერთეულებშიც, წყვილებშიც

მინსკში ჩოგბურთელ ქალთა 25.000-იანი ტურნირის პირველ წრეში თბილისელმა **სოფიო შაფათავამ** მარგარიტა ლაზარევა (რუსეთი) დაამარცხა - 7:6, 2:6, 6:1 და მეორე წრეში უკრაინელ გალინა პოზნიხირენკოს გამოცდის. წლეულს მოსკოვის საერთაშორისო ტურნირზე შაფათავამ მეტოქეს 6:2, 6:3 აჯობა. შაფათავამ წყვილებშიც წარმატებით ითამაშა - უკრაინელ ანასტასია ვასილიევასთან შეამხანაგებულმა დალილა იაკუპოვიჩი (სლოვენია) და მარგარიტა ლაზარევა (რუსეთი) დაჯაბნა - 6:2, 5:7, 10:1. მეოთხედფინალში ანასტასია ფროლოვას (რუსეთი) და ვალერია სტრახოვას (უკრაინა) დუეტს შეხვდება.

## სამიდან ორი შემორჩა

თბილისელი ჩოგბურთელები - **ეკატერინე გორგოძე, სოფიო ქვაცაბაია** და **ანა ქადაგიძე** ჩაებნენ გუშინ ანტალიაში ჩოგბურთელ ქალთა 10.000-იანი საერთაშორისო ტურნირის ძირითად ბადეში. მესამე ნომრად განთესილმა გორგოძემ სტარტზე იოლად მოუგო „უალდ ქარდით" მიწვეულ მასპინძელს - გიზემ მელისა ატესს - 6:2, 6:4. მეორე წრეში ჩვენებურის მეტოქე უკრაინელი ანასტასია შესტაკოვას მძლეველი (4:6, 6:0, 6:0) ვიქტორია კუზმოვას (სლოვაკეთი) შეხვდება. წარმატებით ითამაშა სოფიო ქვაცაბაიამაც (მე-8 ნომერი) - მანაც ორ სეტში დაამარცხა კვალიფიკაციიდან ალზევებული ქემრე ანილი (თურქეთი) - 6:3, 6:1. დღეს ქვაცაბაია ანასტასია პროკოპენკოს (უკრაინა) გაუწევს მეტოქეობას. რაც შეეხება ქადაგიძეს, სტარტზევე ალისა მარტინოვთან (მოლდოვა) წააგო - 1:6, 1:6.

■ ■ ■

ისრაელის ჭაბუკთა ტურნირის პირველ წრეში თბილისელმა **ალექსანდრე ბაკშიმ** მასპინძელ ემილ საველიევს აჯობა - 6:1, 6:2 და მე-2 წრეში სამხრეთაფრიკელ ლოიდ ჰარისს გაუწევს მეტოქეობას.

**ვაჟა დანელია**

● კალათბურთი. სუპერლიგა 2013-14. საუკეთესონი

## რეკორდები

**ქულა**

31 - ლევან რევაზაშვილი (მაქაბი)
2-ქულ 4/14; 3-ქულ 6/11; საჯ 5/5
09.11.13 მაქაბი-არმია

**მოხსნა**

21 - აკაკი დვალიშვილი (ქუთაისი)
(მეტოქ: 10; საკუთ: 11)
01.11.13 ქუთაისი-მაქაბი

**პასი**

14 - სანდრო მეგენეიშვილი (მაქაბი)
01.11.13 ქუთაისი-მაქაბი

**ჩაჭრა**

4 - ირაკლი მიქელაძე (ოლიმპი), ლევან ცეკვავა (ქუთაისი), მიხეილ ბერიშვილი (არმია), ზურაბ მაჭავარიანი (რუსთავი), ლევან ხმელიძე (რუსთავი), ჯეიმი ჯექსონი (სოხუმი).

**დაფარება**

5 - გიორგი ჯგერენაია (არმია)
25.10.2013 ბათუმი-არმია

# ეს მხოლოდ დასაწყისია

სუპერლიგის მეოთხე ტური რეგიონის კლუბების თამაშით გაიხსნა და ცენტრალური შეხვედრაც სწორედ ის გამოდგა. ბათუმში ჩასვლამდე ქუთათურებს სამივე მატჩი მოგებული ჰქონდათ და შეიძლება ითქვას, ფავორიტის სტატუსით სარგებლობდნენ. თუმცა „ბათუმის" სამმა ამერიკელმა ერთმანეთზე უკეთესად ითამაშა და ჯამში 62 ქულა მიითვალა. მათგან ყველაზე მეტი **ჯუნიორ ქედუგანმა** ჩააგდო, 24 ქულას 10 მოხსნა მიამატა და ტურის საუკეთესო კალათბურთელის წოდებაც დაიმსახურა.

**ვაჟა სიმონიშვილი**



ჯუნიორ ქედუგანი




## IV ტური

| | |
|---|---|
| შსს აკადემია-ოლიმპი | 85:59 |
| დინამო-რუსთავი | 97:62 |
| მაქაბი-არმია | 72:116 |
| ბათუმი-ქუთაისი | 87:85 |

**ქულა**

| ად. | მოთამაშე | გუნდი | თ | ქ | ქ.საშ. |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ლევან რევაზაშვილი | მაქაბი | 4 | 97 | 24.25 |
| 2 | ჯუნიორ ქედუგინი | ბათუმი-რსუ | 4 | 93 | 23.25 |
| 3 | ჯერემი სეფოლდი | ბათუმი-რსუ | 4 | 88 | 22 |
| 4 | ქიენ კარტერი | დინამო | 3 | 64 | 21.33 |
| 5 | ჯეიმი ჯექსონი | ბათუმი-რსუ | 4 | 80 | 20 |
| 6 | გიორგი ფერიაშვილი | მაქაბი | 4 | 78 | 19.5 |
| 7 | აკაკი დვალიშვილი | ქუთაისი | 4 | 73 | 18.25 |
| 8 | ირაკლი ჩლაიძე | სოხუმი | 3 | 52 | 17.33 |
| 9 | ბექა ჩიკვილაძე | შსს აკადემია | 3 | 47 | 15.67 |
| 10 | სტევან მილოშევიჩი | დინამო | 3 | 47 | 15.67 |
| 11 | გიორგი შარაბიძე | არმია | 4 | 61 | 15.25 |
| 12 | მერაბ ბოქოლიშვილი | შსს აკადემია | 3 | 43 | 14.33 |
| 13 | ლევან ცეკვავა | ქუთაისი | 4 | 56 | 14 |

**მოხსნა**

| ად. | მოთამაშე | გუნდი | თ | მ.საკ. | მ.მეტ. | მ.სულ | მ.საშ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | სტევან მილოშევიჩი | დინამო | 3 | 13 | 28 | 41 | 13.67 |
| 2 | აკაკი დვალიშვილი | ქუთაისი | 4 | 26 | 24 | 50 | 12.5 |
| 3 | ჯერემი სეფოლდი | ბათუმი-რსუ | 4 | 13 | 27 | 40 | 10 |
| 4 | სიმონს ჯერომე | სოხუმი | 3 | 9 | 21 | 30 | 10 |
| 5 | დავით უგრეხელიძე | შსს აკადემია | 3 | 9 | 18 | 27 | 9 |
| 6 | ჯეიმი ჯექსონი | ბათუმი-რსუ | 4 | 17 | 19 | 36 | 9 |
| 7 | გიორგი ჯგერენაია | არმია | 4 | 14 | 21 | 35 | 8.75 |
| 8 | გიორგი ფერიაშვილი | მაქაბი | 4 | 15 | 19 | 34 | 8.5 |
| 9 | ნიკა მეტრეველი | სოხუმი | 3 | 6 | 19 | 25 | 8.33 |
| 10 | ლევან რევაზაშვილი | მაქაბი | 4 | 5 | 26 | 31 | 7.75 |
| 11 | გიორგი შარაბიძე | არმია | 4 | 8 | 22 | 30 | 7.5 |
| 12 | რევაზ ათანელიშვილი | ოლიმპი | 3 | 10 | 11 | 21 | 7 |
| 13 | ქიენ კარტერი | დინამო | 3 | 9 | 12 | 21 | 7 |
| 14 | ბექა ჩიკვილაძე | შსს აკადემია | 3 | 4 | 17 | 21 | 7 |

**პასი**

| ად. | მოთამაშე | გუნდი | თ | პ | პ.საშ |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | გიორგი გამყრელიძე | დინამო | 3 | 29 | 9.67 |
| 2 | სანდრო მეგენეიშვილი | მაკაბი | 4 | 33 | 8.25 |
| 3 | ჯუნიორ ქედუგინი | ბათუმი-რსუ | 4 | 28 | 7 |
| 4 | ლევან ცეკვავა | ქუთაისი | 4 | 28 | 7 |
| 5 | რევაზ როგავა | შსს აკადემია | 3 | 20 | 6.67 |
| 6 | ზაურ ფაშაევი | ქუთაისი | 4 | 21 | 5.25 |
| 7 | ბექა წიფწივაძე | არმია | 4 | 18 | 4.5 |
| 8 | ირაკლი მიქელაძე | ოლიმპი | 3 | 12 | 4 |
| 9 | ბექა ჩიკვილაძე | შსს აკადემია | 3 | 11 | 3.67 |
| 10 | გიორგი ტეტელაშვილი | მაკაბი | 4 | 14 | 3.5 |
| 11 | მიხეილ ბერიშვილი | არმია | 4 | 14 | 3.5 |

**ჩაჭრა**

| ად. | მოთამაშე | გუნდი | თ | ჩ | ჩ.საშ |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ჯერემი სეფოლდი | ბათუმი-რსუ | 4 | 9 | 2.25 |
| 2 | ლევან ცეკვავა | ქუთაისი | 4 | 9 | 2.25 |
| 3 | ბექა ჩიკვილაძე | შსს აკადემია | 3 | 6 | 2 |
| 4 | გიორგი ბარბაქაძე | ქუთაისი | 4 | 8 | 2 |
| 5 | ჯეიმი ჯექსონი | ბათუმი-რსუ | 4 | 8 | 2 |
| 6 | ირაკლი მიქელაძე | ოლიმპი | 3 | 6 | 2 |
| 7 | ჯუნიორ ქედუგინი | ბათუმი-რსუ | 4 | 8 | 2 |
| 8 | გიორგი გამყრელიძე | დინამო | 3 | 6 | 2 |
| 9 | მიხეილ ბერიშვილი | არმია | 4 | 8 | 2 |

**დაფარება**

| ად. | მოთამაშე | გუნდი | თ | დ | დ.საშ |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | გიორგი ჯგერენაია | არმია | 4 | 11 | 2.75 |
| 2 | სტევან მილოშევიჩი | დინამო | 3 | 6 | 2 |
| 3 | ჯეიმი ჯექსონი | ბათუმი-რსუ | 4 | 6 | 1.5 |
| 4 | გიორგი ფერიაშვილი | მაკაბი | 4 | 6 | 1.5 |
| 5 | რევაზ ათანელიშვილი | ოლიმპი | 3 | 3 | 1 |
| 6 | რევაზ როგავა | შსს აკადემია | 3 | 3 | 1 |
| 7 | გიორგი შარაბიძე | არმია | 4 | 3 | 0.75 |

**შეცდომა**

| ად. | მოთამაშე | გუნდი | თ | შ | შ.საშ |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ლევან რევაზაშვილი | მაქაბი | 4 | 20 | 5 |
| 2 | ლევან ცეკვავა | ქუთაისი | 4 | 17 | 4.25 |
| 3 | რევაზ როგავა | შსს აკადემია | 3 | 12 | 4 |
| 4 | სანდრო მეგენეიშვილი | მაქაბი | 4 | 15 | 3.75 |
| 5 | გიორგი გამყრელიძე | დინამო | 3 | 11 | 3.67 |
| 6 | ქიენ კარტერი | დინამო | 3 | 11 | 3.67 |
| 7 | ლევან ხმელიძე | რუსთავი | 4 | 14 | 3.5 |
| 8 | გიორგი ტეტელაშვილი | მაქაბი | 4 | 14 | 3.5 |
| 9 | დავით არწივიძე | რუსთავი | 4 | 14 | 3.5 |



ინტერვიუ გიორგი ნიჟარაძესთან

# აშშ უხერხული მეტოქეა

**საქართველოს ნაკრებმა ნოემბრის ტესტებზე ასპარეზობა გამარჯვებით დაიწყო. ცხადია, წარმატებულ სტარტს ჩვენი გუნდისთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. ამ ტესტებზე, ფაქტობრივად, ნაკრების თავკაცის მილტონ ჰეიგის ორწლიანი მუშაობის შედეგი ჯამდება. ჯერჯერობით ნაადრევი დასკვნებისგან თავს შევიკავებთ, წინ კიდევ ორი მატჩია. მანამდე კი, განვლილი შეხვედრის პერიპეტიებსა და ქართულ რაგბიში ახლახან მომხდარ თუ მიმდინარე მოვლენებზე საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტს გიორგი ნიჟარაძეს ვესაუბრეთ.**


გიორგი ნიჟარაძე

**- მოდით, ჩვენი 19-წლამდელთა ნაკრების წარმატების ანალიზი გავაკეთოთ. თქვენ უშუალოდ ესწრებოდით ევროპის ჩემპიონატს. რა შთაბეჭდილება დატოვა ჩვენმა გუნდმა?**

- ლისაბონში ძალიან დიდ წარმატებას მივაღწიეთ. შარშანდელი ჩავარდნის შემდეგ, როდესაც ფინალში პორტუგალიასთან წავაგეთ, ჩვენი კუთვნილი ადგილი დავიბრუნეთ. უახლოეს წლებში ამ ტურნირზე ჩვენი გამარჯვება კითხვის ნიშნის ქვეშ არასდროს უნდა დადგეს. ასაკობრივი ნაკრებების დონეზე ჩვენ გაცილებით წინ ვართ, ვიდრე ის ქვეყნები, ვისთანაც ვასპარეზობთ.

ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე უნდა ვთქვა, რომ კულუარებშიც და პირდაპირ საუბარშიც, პირველი თამაშის შემდეგ ყველამ იცოდა, ვინ იქნებოდა ტურნირის გამარჯვებული. ჩვენი გუნდი ყველაზე ერთი თავით მაღლა იდგა.

საქართველოს ყველა ახალგაზრდულ ნაკრებთან ერთად ვყოფილვარ სხვადასხვა ტურნირზე, მაგრამ ასე შეკრული, მეგობრული და ერთი მიზნისკენ შემართული გუნდი არ მინახავს. ამ ფორმაციის ნაკრებში ბევრი ინდივიდუალურად გამორჩეული, ძლიერი მოთამაშეა, მაგრამ მათი სიძლიერე განსაკუთრებით იმაში გამოიხატა, რომ თავიანთ ინდივიდუალურ ოსტატობას გუნდისთვის იყენებდნენ. ნაკრებმაც წარმატებას გუნდური თამაშის წყალობით მიაღწია.

ჩვენი გუნდის თამაშის ხარისხი ძალიან მაღალი იყო. ქართველმა ახალგაზრდა მორაგბეებმა თანამედროვე რაგბი ითამაშეს. მიუხედავად ამისა, სამუშაო ძალიან ბევრია. მსოფლიოს ახალგაზრდულ ალაფაზე, რომელიც აპრილში ჰონკონგში გაიმართება, მეტოქეები ერთი-ორად უფრო ძლიერები იქნებიან. დრო მოსამზადებლად, მართალია, ბევრი არ გვაქვს, მაგრამ ყველანაირად უნდა ვეცადოთ, რომ ხარვეზები აღმოვფხვრათ და პროგრესი განვიცადოთ. საამისო რესურსი ნამდვილად გაგვაჩნია. ამ გუნდს კიდევ დაემატება ხუთი-ექვსი ისეთი მოთამაშე, რომლებიც ამჯერად სხვადასხვა მიზეზის გამო დააკლდა. კონკურენცია დიდი იქნება და იმედი მაქვს, აპრილისთვის ძლიერი გუნდის ჩამოყალიბებას შევძლებთ.

მადლობა მინდა გადავუხადო მწვრთნელებს, დავით ვართანიანს, ლადო კილასონიას, ირაკლი ჭყონიას და ზურაბ ამონაშვილს. მათ დიდი სამუშაო გასწიეს.

**- ტურნირის დასრულების შემდეგ მალევე FIRA AER-ის შტაბბინას მიაშურეთ...**

- დიახ, პარიზში FIRA AER-ის უმაღლესი დონის რაგბის კომიტეტის სხდომა გაიმართა, რომელიც ევროპაში პროფესიული რაგბის განვითარებას კურირებს. ძალიან კარგი დისკუსიები გაიმართა, რა მიმართულებით უნდა განვითარდეს რაგბი, როგორ ვითანამშრომლოთ ექვსი ერის გათამაშებაში მონაწილე სარაგბო ქვეყნებთან, როგორ მოვაქციოთ ევროპული რაგბი ერთიანი მმართველობის ქვეშ და ასე შემდეგ. მოგვცეს სამკვირიანი ვადა, რათა ყველას თავისი მოსაზრება ჩამოეყალიბებინა აღნიშნული თემების თაობაზე. შუალედური შეხვედრა მალე დუბლინში, IRB-ის კონგრესზე გაიმართება. მერე კი, 29 ნოემბერს ისევ პარიზში შევიკრიბებით და ყოველივე ამას, შესაძლოა, საკმაოდ საინტერესო გადაწყვეტილებების მიღება მოჰყვეს.

**- საქართველოს ნაკრებმა ნოემბრის ტესტები გამარჯვებით დაიწყო. ცხადია, წარმატება სასიხარულოა, მაგრამ რამდენად დამაკმაყოფილებელია ჩვენი გუნდის თამაში?**

- შედეგით უდავოდ კმაყოფილნი ვართ. ჩვენ ძლიერ, ჩვენზე უკეთეს გუნდს მოვუგეთ, გუნდს, რომელსაც მსოფლიოს თასის ყველა გათამაშებაში აქვს მონაწილეობა მიღებული გუნდს, რომელსაც ძალიან ბევრი სახელოვანი ნაკრები ჰყავს დამარცხებული, გუნდს, რომლის რაგბის კავშირსაც განუზომლად დიდი შესაძლებლობები აქვს, გუნდს, რომელიც პროგრესს განიცდის და კარგ, თანამედროვე რაგბის თამაშობს.

მოდით, ჯერ ჩვენი ნაკრების დადებით მხარეებზე ვილაპარაკოთ. საქართველოს ნაკრებმა ძალიან პრაგმატულად იასპარეზა. სწორედ ის ტაქტიკა შეირჩა, რომლითაც აუცილებლად უნდა გვეთამაშა. მეტოქეს ღია თამაშში არ ავყევით, რაც ჩვენთვის დამღუპველი იქნებოდა. დაცვაში ხისტად ვირჯებოდით, თუმცა პირველ ტაიმში აქ პრობლემები გვქონდა. მეორე ტაიმის დიდი ნაწილი ჩვენ ვდომინირებდით. ურთულესი და ულამაზესი ლელო გავიტანეთ. სტაბილური გახდა შერკინება, მოვიგეთ იმდენი დერეფანი, რამდენიც ბოლო რამდენიმე თამაშისას არ მოგვიგია ერთად აღებული.

ახლა უარყოფითიც ვთქვათ. პირველ ტაიმში მეტოქეს ბურთი დავუთმეთ. ბევრი შეცდომა დავუშვით დაცვაში, ვერ ვასწრებდით გადაწყობას, პრობლემები იყო ინდივიდუალური ბოჭვისასაც. გვაკლდა თავდაჯერება, რომელიც სამწუხაროდ, მხოლოდ ჩხუბის შემდეგ დაგვიბრუნდა.

ხშირად ბურთი წინ გვივარდებოდა, უფრო მეტად ისეთ ვითარებაში, როცა ჩანდა, რომ შეტევა ლელოთი უნდა დასრულებულიყო. ეტყობოდა, რომ ჩვენი გუნდი ახალი შეკრებილი იყო. კანადელები ორი კვირაა ერთად არიან და ერთი თამაშის გამართვაც მოასწრეს. ყოველივეს მიუხედავად, მეტოქეს მეორე ტაიმი მოვუგეთ, რაც აქამდე ჩვენთვის პრობლემური იყო.

**- მომდევნო მეტოქე აშშ-ის ნაკრებია, რომელიც კანადაზე ნაკლები გუნდი არ არის...**

- ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრები ძლიერი გუნდია. მასთან თამაში ყოველთვის გვიჭირს, უხერხული მეტოქეა. იმედი მაქვს, რომ ჩვენი გუნდის თამაშის ხარისხი უკეთესი იქნება, ვიდრე კანადასთან იყო. სამწუხაროდ, მერაბ კვირიკაშვილმა თითი მოიტეხა. მას ძალიან უნდა თამაში, მაგრამ შეძლებს თუ არა, ჯერ გარკვეული არ არის. ვიქტორ კოლელიშვილს ერთთვიანი დისკვალიფიკაცია მისცეს, ფეხი დაიშავა გუნდის კაპიტანმა ირაკლი მაჩხანელმა. მათ შემცვლელებს შანსი ეძლევათ, დაამტკიცონ, რომ ეროვნულ ნაკრებში თამაშს იმსახურებენ. მიუხედავად ყველა პრობლემისა, თუ მოთამაშეები ყველაფერს სწორად გააკეთებენ, სასურველი შედეგი დადგება.

**- ნოემბრის ტესტებზე ჩვენი ნაკრების მწვრთნელთა შტაბს ფრანგი სპეციალისტი, დიდიე ბესი ეხმარება. რამდენად ართმევს თავს ის დაკისრებულ მოვალეობას?**

- დიდიე ბესი „მონპელიეს" შერკინების მწვრთნელია. ის მამუკა გორგოძისა და საფრანგეთში მოთამაშე სხვა წამყვანი ქართველი მორაგბეების რეკომენდაციით მოვიწვიეთ. ამ ეტაპისთვის მან დიდი ავტორიტეტი მოიხვეჭა, როგორც მოთამაშეებში, ასევე მწვრთნელებს შორის. ბესი თავისი საქმის შესანიშნავი მცოდნეა და თუ ასე განაგრძო მუშაობა, მასთან კონტრაქტის გაფორმებაზე სერიოზულად დავფიქრდებით.


საქართველოს ნაკრები

საქართველოს ნაკრები


მამუკა გორგოძე და მერაბ კვირიკაშვილი

# კოლელიშვილი ერთ თვეს ვერ ითამაშებს

**საქართველოს ნაკრები ნოემბრის ტესტების მეორე მატჩს რუსთავის სარაგბო სტადიონზე შაბათს ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრებთან გამართავს. „ბორჯღალოსნებმა" გუშინ „შევარდენის სანაკრებო ბაზაზე", სადაც მატჩისთვის ინტენსიურად ემზადებიან, ღია ვარჯიში გამართეს.**

სამწუხაროდ, „ნეკერჩხლის ფოთლებთან" მატჩში ფეხი იტკინა გუნდის კაპიტანმა **ირაკლი მაჩხანელმა**, ხოლო ფულბეკმა **მერაბ კვირიკაშვილმა** მთელი მეორე ტაიმი მოტეხილი თითით ითამაშა. ამიტომ, ეს მორაგბეები აშშ-ის ნაკრებთან ვერ იასპარეზებენ. მესამეხაზელ **ვიქტორ კოლელიშვილს** კი, რაგბის საერთაშორისო საბჭოს სადისციპლინო კომიტეტმა ერთთვიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯა. „ბორჯღალოსნების" ახალზელანდიელმა თავკაცმა **მილტონ ჰეიგმა** მათ ნაცვლად მეორეხაზელ **გიორგი ნემსაძეს** (ტარბი) და გარემარბ **გიორგი შკინინს** (არმია) უხმო.

ვარჯიში ტრადიციული მოთელვით დაიწყო, რომელსაც მორაგბეები დიდი მონდომებით ასრულებდნენ, რადგან წინ საინტერესო, საკმაოდ ინტენსიური ვარჯიში ელოდათ. მერე ჰეიგმა გუნდი ორად გაჰყო. სავარაუდო ძირითადი შემადგენლობა ასე გამოიყურებოდა.

**15. ბექა ნიკლაური, 14. თედო ზიბზიბაძე, 13. დავით კაჭარავა, 12. მერაბ შარიქაძე, 11. თამაზ მჭედლიძე, 10. ლაშა ხმალაძე, 9. გიორგი ბეგაძე. 1. დავით ხინჩაგიშვილი, 2. შალვა მამუკაშვილი, 3. დავით ქუბრიაშვილი, 4. კონსტანტინე მიქაუტაძე, 5. ლევან დათუნაშვილი, 6. შალვა სუთიაშვილი, 7. მამუკა გორგოძე, 8. გიორგი ჩხაიძე.**

ვარჯიშზე ძირითადი აქცენტი დაცვაში თამაშის დახვეწაზე გაკეთდა. მეტოქეს ბურთი მოედნის ცენტრიდან და საკუთარი 22-მეტრიანი ზონიდან შემოჰქონდა. ჩვენი გუნდი კი, მისი იერიშის ჩაშლას ცდილობდა. მერე გუნდებმა როლები გაცვალეს. ვარჯიშმა ორ საათამდე გასტანა და მორაგბეებმა, ვფიქრობთ, მწვრთნელების მითითებები მაქსიმალურად ზედმიწევნით შეასრულეს.

შეგახსენებთ, რომ საქართველოსა და აშშ-ის ნაკრებების დაპირისპირება რუსთავის სარაგბო სტადიონზე 14 საათზე დაიწყება.

**საქართველო**

**პირველი ხაზი:** დავით ხინჩაგიშვილი (მეტრო რასინგი), მიხეილ ნარიაშვილი (მონპელიე), ზურაბ ჟვანია, დავით ქუბრიაშვილი (ორივე-სტად ფრანსე), სიმონ მაისურაძე (ბაგნერე), შალვა მამუკაშვილი (არმია), რეზო ბელქანია (ლელო), ლევან ჩილაჩავა (ტულონი).

**მეორე ხაზი:** კონსტანტინე მიქაუტაძე (ტულონი), ლევან დათუნაშვილი (ორიაკი), გიორგი ნემსაძე (ტარბი)

**მესამე ხაზი:** მამუკა გორგოძე (მონპელიე), შალვა სუთიაშვილი (მასი), გივი ბერიშვილი (ლოკომოტივი), გიორგი თხილაიშვილი (არმია), გიორგი ჩხაიძე (ტარბი).

**№9:** გიორგი ბეგაძე (ყოჩები), ვაჟა ხუციშვილი (ხარები).

**№10:** ლაშა მალაღურაძე (ბაგნერე), ლაშა ხმალაძე (ლელო),

**№12-13:** მერაბ შარიქაძე (ბურგ ან ბრესი), დავით კაჭარავა (ენისეი), თედო ზიბზიბაძე (პერიგო).

**№11-14:** გიორგი შკინინი (არმია) თამაზ მჭედლიძე (ბურგ ან ბრესი).

**№15:** ირაკლი ყიასაშვილი (ლელო), ბექა ნიკლაური (ლოკომოტივი).

**აშშ**

**დერეკ ასბუნი (კეიპთაუნი), ინაკი ბასაური (ტარბი), ბლეკ ბარდეტი, ტობი ლესტანჯი, მაიკ პეტრი (სამივე-ნიუ იორკი), ტოდ კლევერი (ნტტ), ჯო კოული, კამერონ დულანი, ფილ თიელი (სამივე-ლაიფი), ჯონ კალენი, შონ პიტმანი (ორივე-სიეტლი), პიტერ დაჰლი (ბელმონტი), შონ დევისი (უგუნდო), ზაკ ფენოლიო (გლენდეილი), ერიკ ფრეი (ლონდონ სკოტიში), გრემ ჰარიმანი (მეტროპოლისი), ლუკ ჰამი (უგუნდო), სეამუს კელი (კალიფორნია), ტიტი ლამოსიტლი, კრის ვაილზი (ორივე-სარასენზი), სკოტ ლა ვილა (სტად ფრანსე), სამუ მანოა (ნორსჰემპთონი), ტიმ მაიპუნი (სან ფრანცისკო), ფოლაუ ნიუა (იგლზი), ზაკ პანგელიმანი (ოლდ მისიონი), ბლეინ სკული (ლესტერი), ადამ სიდალი (ოლდ ბლუ), ენდრიუ სუნიულა (ლონდონ ველში), ნიკ ვოლესი (ოლიმპიკ მისიონი).**

**ნოემბრის ტესტები**

**16 ნოემბერი**

საქართველო-აშშ

**23 ნოემბერი**

საქართველო-სამოა

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი



მარკიფ მორისი

# კვირის მოთამაშეები

"ინდიანა პეისერსისა" და "ფინიქს სანზის" მცველები - **პოლ ჯორჯი** და **მარკიფ მორისი** გასული კვირის საუკეთესო მოთამაშეებად დაასახელეს.

აღმოსავლეთი კონფერენციის ლაურეატი ჯორჯი თავის გუნდს ოთხიდან ოთხი მატჩის მოგებაში დაეხმარა და ის ოთხივე შეხვედრაში თავისი გუნდის ყველაზე შედეგიანი კალათბურთელი იყო. ჯორჯი საშუალოდ 24.8 ქულას, 7.5 მოხსნას, 3.8 შედეგიან გადაცემასა და 1.75 ჩაჭრას აგროვებდა. პოლმა განსაკუთრებით კარგად "დეტროიტის" წინააღმდეგ ითამაშა, როცა სეზონში მეორე ორმაგი დუბლი შეასრულა - 31 ქულა და 10 მოხსნა. "ინდიანა" კვლავაც ერთადერთი დაუმარცხებელი გუნდია რეგულარულში - მას რვიდან რვა მოგება აქვს.

მარკიფ მორისის კარგი თამაშის წყალობით, "ფინიქსმა" გასულ კვირას ოთხიდან სამი მატჩი მოიგო. ამ შეხვედრებში მორისის მონაგარი იყო - 22.8 ქულა, 8.0 მოხსნა და 2.0 ჩაჭრა. მარკიფი თამაშიდან 69.8 პროცენტის სიზუსტით ისროდა, რაც ლიგაში საუკეთესო მაჩვენებელი იყო. მორისმა კვირა სამმატჩიანი სერიით დაასრულა, რომლის დროსაც ის ტყორცნების მინიმუმ 75 პროცენტს ათავსებდა კალათში. ამჟამად, "ინდიანას" 5 მოგება და 2 წაგება აქვს, რაც ამ გუნდის საუკეთესო სტარტია 2009-10 წლების სეზონის შემდეგ.

**ჯორჯის კვირა**

**5 ნოემბერი. დეტროიტი-ინდიანა 91:99.** 31 ქულა, 10 მოხსნა, 4 პასი, 4 ჩაჭრა.

**8 ნოემბერი. ინდიანა-ტორონტო 91:84.** 23 ქულა, 8 მოხსნა, 6 პასი, 2 ჩაჭრა.

**9 ნოემბერი. ბრუკლინი-ინდიანა 91:96.** 24 ქულა, 6 მოხსნა, 2 პასი.

**მორისის კვირა**

**6 ნოემბერი. სან ანტონიო-ფინიქსი 99:96.** 23 ქულა, 12 მოხსნა.

**8 ნოემბერი. ფინიქსი-დენვერი 114:103.** 28 ქულა, 10 მოხსნა.

**10 ნოემბერი. ფინიქსი-ნიუ ორლეანი 101:94.** 23 ქულა, 5 მოხსნა, 2 პასი, 2 ჩაჭრა.

კვირის მოთამაშის სტატუსზე შემდეგი მოთამაშეები აცხადებდნენ პრეტენზიას: პოლ მილსეპი ("ატლანტა"), პოლ ტიგი ("ატლანტა"), ბრუკ ლოპესი ("ბრუკლინი"), ჯერალდ ჰენდერსონი ("შარლოტი"), მაიკ კონლი ("მემფისი"), ლებრონ ჯეიმსი ("მაიამი"), კევინ დურანტი ("ოკლაჰომა"), ლამარკუს ოლდრიჯი("პორტლენდი"), ტონი პარკერი ("სან ანტონიო") და ბრედლი ბილი ("ვაშინგტონი").

**დასავლეთი**

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| 1. სან ანტონიო | 8 | 7 | 1 | 87.5 |
| 2. ოკლაჰომა | 6 | 5 | 1 | 83.3 |
| 3. ფინიქსი | 7 | 5 | 2 | 71.4 |
| 4. პორტლენდი | 7 | 5 | 2 | 71.4 |
| 5. კლიპერსი | 8 | 5 | 3 | 62.5 |
| 6. მინესოტა | 8 | 5 | 3 | 62.5 |
| 7. ჰიუსტონი | 8 | 5 | 3 | 62.5 |
| 8. გ. სტეიტი | 7 | 4 | 3 | 57.1 |
| 9. დალასი | 7 | 4 | 3 | 57.1 |
| 10. ნიუ ორლეანი | 7 | 3 | 4 | 42.9 |
| 11. მემფისი | 7 | 3 | 4 | 42.9 |
| 12. ლეიკერსი | 8 | 3 | 5 | 37.5 |
| 13. დენვერი | 6 | 2 | 4 | 33.3 |
| 14. საკრამენტო | 6 | 1 | 5 | 16.7 |
| 15. იუტა | 8 | 0 | 8 | 00.0 |

**ქულები**

| | |
|---|---|
| კევინ დურანტი (ოკლ) | 30.2 |
| კევინ ლავი (მინ) | 26.4 |
| ჯეიმს ჰარდენი (ჰიუ) | 24.9 |
| პოლ ჯორჯი (ინდ) | 24.9 |
| კევინ მარტინი (მინ) | 24.6 |
| ლებრონ ჯეიმსი (მაი) | 24.4 |
| დემარკუს კაზინსი (საკ) | 23.5 |
| კარმელო ენტონი (ნიკ) | 23.2 |
| ევან ტერნერი (ფილ) | 23.0 |
| მონტა ელისი (დალ) | 23.0 |

**მოხსნები**

| | |
|---|---|
| კევინ ლავი (მინ) | 15.0 |
| დუაიტ ჰოვარდი (ჰიუ) | 14.9 |
| დეანდრე ჯორდანი (კლი) | 13.4 |
| ნიკოლა ვუჩევიჩი (ორლ) | 11.9 |
| ენტონი დევისი (ნ-ორლ) | 11.6 |
| გრეგ მონრო (დეტ) | 11.2 |
| სპენსერ ჰოიესი (ფილ) | 10.8 |
| პაუ გასოლი (ლეი) | 10.8 |
| ანდრე დრამონდი (დეტ) | 10.7 |
| ბლეიკ გრიფინი (კლი) | 10.6 |

**პასები**

| | |
|---|---|
| კრის პოლი (კლი) | 12.4 |
| ჯეფ ტიგი (ატლ) | 10.1 |
| ჯონ უოლი (ვაშ) | 9.5 |
| რიკი რუბიო (მინ) | 8.9 |
| სტივენ კარი (გ. სტე) | 8.5 |
| ლებრონ ჯეიმსი (მაი) | 8.0 |
| მ. კარტერ-უილიამსი (ფილ) | 7.6 |
| კაირი ირვინგი (კლი) | 7.5 |
| დერონ უილიამსი (ბრუ) | 7.5 |

**ჩაჭრები**

| | |
|---|---|
| რიკი რუბიო (მინ) | 3.4 |
| ბრენდონ ჯენინგსი (დეტ) | 3.3 |
| კრის პოლი (კლიპ) | 2.9 |
| მ. კარტერ-უილიამსი (ფილ) | 2.6 |
| დეჟუან ბლეირი (დალ) | 2.4 |
| ენტონი დევისი (ნ-ორლ) | 2.3 |
| ჯეიმს ჰარდენი (ჰიუ) | 2.3 |
| მარიო ჩელმერსი (მაი) | 2.3 |
| ტონი ალენი (მემ) | 2.3 |
| დემარკუს კაზინსი (საკ) | 2.2 |

**დაფარებები**

| | |
|---|---|
| როი ჰიბერტი (ინდ) | 4.4 |
| ენტონი დევისი (ნ-ორლ) | 3.9 |
| ტაისონ ჩენდლერი (ნ-იორ) | 2.5 |
| ბრუკ ლოპესი (ბრუ) | 2.3 |
| მაილს პლამლი (ფინ) | 2.3 |
| ელ ჰორფორდი (ატლ) | 2.3 |
| ლარი სანდერსი (მილ) | 2.0 |
| დეანდრე ჯორდანი (კლი) | 1.9 |
| დუაიტ ჰოვარდი (ჰიუ) | 1.9 |
| სპენსერ ჰოიესი (ფილ) | 1.9 |

**აღმოსავლეთი**

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| 1. ინდიანა | 8 | 8 | 0 | 100 |
| 2. ატლანტა | 7 | 4 | 3 | 57.1 |
| 3. მაიამი | 7 | 4 | 3 | 57.1 |
| 4. ფილადელფია | 8 | 4 | 4 | 50.0 |
| 5. ბოსტონი | 8 | 4 | 4 | 50.0 |
| 6. ჩიკაგო | 6 | 3 | 3 | 50.0 |
| 7. შარლოტი | 7 | 3 | 4 | 42.9 |
| 8. მილუოკი | 5 | 2 | 3 | 40.0 |
| 9. ტორონტო | 8 | 3 | 5 | 37.5 |
| 10. კლივლენდი | 8 | 3 | 5 | 37.5 |
| 11. ორლანდო | 8 | 3 | 5 | 37.5 |
| 12. დეტროიტი | 6 | 2 | 4 | 33.3 |
| 13. ვაშინგტონი | 6 | 2 | 4 | 33.3 |
| 14. ნიუ იორკი | 6 | 2 | 4 | 33.3 |
| 15. ბრუკლინი | 6 | 2 | 4 | 33.3 |

# ლეიკერსი: ორი კვირა ნეშის გარეშე

თითქოს **კობი ბრაიანტის** ტრავმა არ აკლდა და „ლეიკერსმა" კიდევ ერთი წამყვანი კალათბურთელი დაკარგა. სამედიცინო შემოწმების შემდეგ ცნობილი გახდა, რომ ვეტერანი გამთამაშებლის **სტივ ნეშის** ტრავმა საკმაოდ სერიოზული აღმოჩნდა და „ლეიკერსის" მცველს, მინიმუმ, ორი კვირის გამოტოვება მოუწევს.

მიმდინარე სეზონში ნეშმა ექვსი შეხვედრა ჩაატარა და საშუალოდ 6.7 ქულა და 4.8 შედეგიანი პასი დააგროვა.

# ნაუგებელი ინდიანა და გაცოცხლებული ბოსტონი

ძალიან მძლავრად გამოიყურება რეგულარულ ჩემპიონატში „ინდიანა პეისერსი". ჩემპიონატის სტარტზე ცხრიდან ცხრა მოგება - საუკეთესო დასაწყისია კლუბის ისტორიაში და მხოლოდ მეშვიდე შემთხვევა NBA-ში ბოლო 13 წლის განმავლობაში.

ინდიანაპოლისელთა მორიგი მსხვერპლი გახდა „მემფისი". საინტერესოა, რომ მასპინძლების ძირითად ცენტრს **როი ჰიბერტს** ამჯერად თამაში არ წაუვიდა, თუმცა პირველ მეოთხედში მან დიდი წვლილი შეიტანა გუნდის საბოლოო წარმატებაში, როცა ოთხჯერ დაუფარა მეტოქე კალათბურთელებს. ერთ-ერთი ლიდერის ასეთი თამაშით გამხნევებული „ინდიანა" წინ გაიჭრა და უპირატესობა ბოლომდე არ გაუშვა ხელიდან. რაც შეეხება მატჩის მთავარი გმირის სტატუსს, ის ულაპარაკოდ **ლენს სტივენსონს** ეკუთვნოდა, რომელმაც კარიერაში პირველი სამმაგი-დუბლი შეასრულა: 13 ქულა, 12 პასი და 11 მოხსნა. თანაც, 34 წუთში მან მხოლოდ ერთი შეცდომა დაუშვა. ყველაზე საოცარი კი ის არის, რომ სტივენსონი მეოთხე მოთამაშეა „ინდიანას" სასტარტო ხუთეულიდან, ვინც წელს სამმაგი დუბლი მიითვალა. ეს მხოლოდ **პოლ ჯორჯს** არ გაუკეთებია, რომელსაც ერთხელ ერთი პასი დააკლდა ტრიპლ-დაბლამდე.

■ ■ ■

გუშინდელი სათამაშო დღის ყველაზე დაძაბული შეხვედრა ჰიუსტონში გაიმართა. „როკეტსმა" ორი ოვერტაიმის შემდეგ დაამარცხა „ტორონტო" იმის მიუხედავად, რომ გუნდის ძირითადმა გამთამაშებელმა მთლიანად ჩააგდო შეხვედრა და ვერც ორმაგმა ცენტრმა გაამართლა.

**ჯერემი ლინი** ვერ მოხვდა სასტარტო ხუთეულში, მაგრამ, საბოლოოდ, მატჩის მთავარი გმირი გახდა. **პატრიკ ბევერლის**, რომელმაც ლინი ძირითადიდან ამოაგდო, 0 ჩაგდება და 0 შედეგიანი პასი ჰქონდა 24 წუთში. გამთამაშებლის ფუნქციის საკუთარ თავზე აღება **ჯეიმს ჰარდენს** მოუწია და მან 10 შედეგიანი პასი დააგროვა. ჯერემი ლინმა კი 31 ქულას მოუყარა თავი.

მეოთხე მეოთხედის ბოლოს, კანადელთა მოულოდნელი 18:4 გაქცევის შემდეგ, ორივე გუნდს ჰქონდა ძირითად დროში მოგების შანსი, მაგრამ ჯერ **რუდი გეიმ** ააცილა, შემდეგ ჰარდენმა. ერთი ოვერტაიმი საკმარისი არ აღმოჩნდა გამარჯვებულის გამოსავლენად: გეიმ სირენამდე 0.9 წამით ადრე ჩააგდო სამქულიანი.

მაგრამ, მეორე ოვერტაიმში „ჰიუსტონმა" მაინც მოახერხა საქმის ბოლომდე მიყვანა. ამ მატჩის ყველაზე გასაოცარი სტატისტიკური მონაცემი ის არის, რომ „რეპტორზმა" წააგო თამაში იმის მიუხედავად, რომ 30-ით (!) მეტი ტყორცნა შეასრულა - 114 (!!!) ცდიდან მხოლოდ 38 მოათავსა კალათში.

■ ■ ■

მას შემდეგ, რაც „ბოსტონმა" ჩემპიონატი ზედიზედ ოთხი წაგებით დაიწყო, ყველას ეგონა, რომ ეს გუნდი აუტსაიდერის როლისთვის იყო განწირული და მხოლოდ მომავალ დრაფტზე კარგი ნომრის მიღებისთვის იზრუნებდა. მაგრამ, მოულოდნელად, „სელტიქსმა" ზედიზედ ოთხმატჩიან მოგებათა სერია გამოაცხო.

„ორლანდოზე" გამარჯვება ძალიან დამაჯერებელი იყო. ერთბაშად შვიდმა ბოსტონელმა მოაგროვა მინიმუმ ათი ქულა, გუნდის ახალგაზრდებმა კი საუკეთესოდ წარმოაჩინეს საკუთარი თავი. **კელი ოლინიკმა, ჯარედ სალინჯერმა, ეივერი ბრედლის** და **ჯორდან კროუფორდმა** განსაკუთრებული შექება დაიმსახურეს მთავარ მწვრთნელ **ბრედ სტივენსისგან**.

საყოველთაო აღიარებით, **რაჟონ რონდოს** არყოფნაში, „ბოსტონი" ბურთის გათამაშებისას სუსტია, მაგრამ აღნიშნულ შეხვედრაში ბრედლისა და კროუფორდის დუეტი ძალიან კარგად გამოიყურებოდა. ნომინალური გამთამაშებელი ბრედლი დაცვაში ბრწყინავდა და შეტევაში შესაშური სიზუსტით მოქმედებდა (15-დან 10 ჩაგდება), ხოლო ფორმალურად მეორე ნომერი კროუფორდი კარგი იყო თამაშის ორგანიზებისას: მის ანგარიშზე 10 შედეგიანი პასი მოდის.

■ ■ ■

„სან ანტონიო" ბოლო შვიდი დღის განმავლობაში მეხუთე მატჩს ატარებდა, ამიტომაც სამწვრთნელო შტაბმა დასვენების საშუალება მისცა **ტიმ დანკანს**. „სპურსმა" ყურადღება არ მიაქცია არც მძიმე გრაფიკს და არც ვეტერანი ლიდერის არყოფნას და ყოველგვარი ინტრიგის გარეშე დაამარცხა სტუმრად „ფილადელფია". „სიქსერზმა" ვერაფერი მოუხერხა სამქულიანი ხაზიდან მეტოქის შეტევებს. **ტონი პარკერი** მაღალ სიჩქარეზე არღვევდა მასპინძელთა დაცვას, შეიჭრებოდა სამწამიანში და იქიდან უკან აკეთებდა პასს პერიმეტრზე მყოფი თავისუფალი პარტნიორის მიმართულებით. სამქულიანების გამოყენების პროცენტით ტეხასელებს ყველაფერი წესრიგში ჰქონდათ - 28-დან 13 ზუსტი შორეული ტყორცნა.

**შარლოტი-ატლანტა 94:103**

**29:26, 25:20, 16:34, 24:23**

**შ:** მაკრობერტსი (19+7 პასი), კიდ-გილკრისტი (16), უოკერი (12), ჰენდერსონი (11), ჯეფერსონი (10+7 მოხსნა), სეშენსი (10), ტეილორი (10).

**ა:** ჰორფორდი (24), მარტინი (16), ტიგი (14+12 პასი), კორვერი (11), კეროლი (5+10 მოხსნა).

**ინდიანა-მემფისი 95:79**

**23:16, 23:23, 26:16, 23:24**

**ი:** ჯორჯი (23+7 მოხსნა), სტივენსონი (13+12 პასი+11 მოხსნა), ჰილი (13), სკოლა (12), უესტი (10), სთმნსმ (10).

**მ:** გასოლი (15), რენდოლფი (12), კონლი (11)



ჯერემი ლინი

**ფილადელფია-სან ანტონიო 85:109**

**13:31, 25:26, 26:26, 21:26**

**ფ:** ტერნერი (20), ჰოიესი (17+13 მოხსნა), როტენი (13).

**ს-ა:** გრინი (18+7 მოხსნა), პარკერი (14+9 პასი), ლეონარდი (13+8 მოხსნა), ბელინელი (12), სპლიტერი (11), მილსი (10+4 ჩაჭრა).

**ბოსტონი-ორლანდო 120:105**

**31:25, 28:25, 28:24, 33:31**

**ბ:** ბრედლი (24+3 ჩაჭრა), კროუფორდი (16+10 პასი), ოლინიკი (16+7 მოხსნა), გრინი (16), სალინჯერი (14), ლი (12), ბასი (10).

**ო:** აფლალო (18+7 პასი), ოლადიპო (17), ვუჩევიჩი (15+10 მოხსნა+3 ჩაჭრა), ჰარკლესი (12), მური (11), ნელსონი (10), მაქსიელი (10).

**ჩიკაგო-კლივლენდი 96:81**

**20:17, 25:19, 19:24, 32:21**

**ჩ:** ბუზერი (17+7 მოხსნა), როუზი (16+7 პასი), დანლივი (15), დენგი (12), ბატლერი (11), ნოა (10+3 ჩაჭრა).

**კ:** ირვინგი (16), ტომპსონი (14+13 მოხსნა), უეიტერსი (13), ბაინუმი (11).

**ჰიუსტონი-ტორონტო 110:104 (2ო)**

**24:20, 23:13, 24:29, 16:25, 8:8, 15:9**

**ჰ:** ლინი (31), ჰარდენი (26+10 პასი+3 ჩაჭრა), პარსონსი (18), ჰოვარდი (18+24 მოხსნა+5 დაფარება), ჯონსი (7+10 მოხსნა+4 დაფარება).

**ტ:** გეი (29+10 მოხსნა+4 ჩაჭრა), დეროზანი (22+4 ჩაჭრა), ლოური (16), ვალანჩუნასი (10+13 მოხსნა), ჯონსონი (10+11 მოხსნა).

**იუტა-დენვერი 81:100**

**26:20, 19:26, 23:24, 13:30**

**ი:** ჰეივორდი (22), ფავორსი (21+13 მოხსნა+3 დაფარება), კანტერი (12).

**დ:** ლოუსონი (17+10 პასი), ფარიდი (15+13 მოხსნა), მილერი (15), ჰიქსონი (14+9 მოხსნა), მოზგოვი (10).

**პორტლენდი-დეტროიტი 109:103**

**34:30, 24:25, 25:23, 26:25**

**პ:** ლილარდი (25), ოლდრიჯი (18+12 მოხსნა), ლოპესი (17+10 მოხსნა), უილიამსი (17), ბატუმი (12+8 პასი), რაიტი (11).

**დ:** ჯენინგსი (28+3 ჩაჭრა), მონრო (19+8 მოხსნა), დრამონდი (16+16 მოხსნა), სტაკი (13), სმიტი (11).

**კლიპერსი-მინესოტა 109:107**

**23:26, 36:32, 26:22, 24:27**

**კ:** გრიფინი (25+10 მოხსნა), პოლი (21+11 პასი+4 ჩაჭრა), კროუფორდი (18+6 პასი), ჯორდანი (14+11 მოხსნა).

**მ:** მარტინი (30), პეკოვიჩი (25+10 მოხსნა), ლავი (23+19 მოხსნა+7 პასი), რუბიო (5+10 პასი).

ჭადრაკი

# ჩენაიში მშვიდობაა

ჯერჯერობით მშვიდობიანად მიმდინარეობს ინდოეთის ქალაქ ჩენაიში საჩემპიონო შეხვედრა ინდოელ **ვიშვანათან ანანდსა** და ნორვეგიელ **მაგნუს კარლსენს** შორის. გუშინ გაიმართა მესამე პარტია, რომელშიც თეთრი ფიგურები სკანდინაველ დიდოსტატს ჰქონდა.

პირველი ორი პარტიისგან განსხვავებით, როცა სვლების გამეორების შემდეგ, მოჭადრაკეები ყაიმზე შეთანხმდნენ, ამჯერად მეტოქეები უფრო დიდხანს შეყოვდნენ საჭადრაკო დაფასთან. კარლსენმა ვერ შეძლო დებიუტში უპირატესობის მოპოვება და გარკვეულ მომენტში, შავების პოზიცია უფრო პერსპექტიული ჩანდა. თუმცა შემდეგ, ნორვეგიელმა დიდოსტატმა გაათანაბრა სიტუაცია და უარიც კი თქვა ანანდის მიერ შეთავაზებულ ყაიმზე.

საბოლოოდ, 51-ე სვლაზე მოჭადრაკეები დაზავდნენ და ანგარიში გახდა 1.5:1.5. მეოთხე პარტია დღეს გაიმართება. თეთრი ფიგურებით მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი ანანდი ითამაშებს.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**



ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

# კანადამ იმედი დაკარგა



სტივენ სტემკოსი

გასულ სათამაშო დღეს, ჰოკეის ეროვნულ ლიგაში ერთი მატჩი გაიმართა და ის სავალალოდ დასრულდა "ტამპა ბეის" ლიდერ **სტივენ სტემკოსისთვის**. ერთ-ერთ ეპიზოდში, კანადური ჰოკეის ვარსკვლავი საკუთარი კარის დაცვას ცდილობდა და ფეხით კარის ძელს შეეჯახა. სტემკოსმა ორჯერ სცადა ყინულიდან წამოდგომა, მაგრამ ორივეჯერ დაეცა და საბოლოოდ, ის საკაცით გაიყვანეს მოედნიდან.

სამედიცინო შემოწმებამ აჩვენა, რომ ბოლო წლებში NHL-ის ერთ-ერთ საუკეთესო ბომბარდირს კოჭი აქვს მოტეხილი. გუშინ მას ოპერაცია ჩაუტარდა და ექიმების პროგნოზით, ფორვარდი ორი თვე ვერ შეძლებს მოედანზე გასვლას.

ამერიკელი ჟურნალისტები უკვე წერენ, რომ სტემკოსი ვერ შეძლებს სოჭის ოლიმპიადაზე გამოსვლას, თუმცა კანადის ნაკრების ხელმძღვანელები არ ჩქარობენ დასკვნების გაკეთებას. "კანადის ნაკრების სამწვრთნელო შტაბმა შეგვატყობინა, რომ სტემკოსს მაინც შეიყვანენ 25-კაციან განაცხადში. არ მგონია, მათ ეს გაეკეთებინათ, სტივენს სოჭში გამოსვლის მცირე შანსიც რომ არ ჰქონოდა", - დაწერა თავის "ტვიტერზე" Sportsnet-ის ჟურნალისტმა **ნიკ კიპრეოსმა**.

კანადის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **მაიკ ბებკოკმა** განაცხადა, რომ სტემკოსი მოხვდება ოლიმპიადის შემადგენლობაში, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილებას მოგვიანებით მიიღებენ.

ამ მომენტისთვის, სტემკოსი ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი (23 ქულა) და გოლეადორია (14 გოლი).

**ბოსტონი-ტამპა ბეი 3:0**

0:0, 2:0, 1:0

**გოლები**: 1:0 პ. ბერჟერონი-6 (ლ. ერიქსონი-4, ტორი კრუგი-5), 2:0 პეი-2 (გ. კემპბელი-1, ბარტკოვსკი-2), 3:0 იგინლა-4 (ლუჩიჩი-7, კრეიჩი-13).

# კვირის სამი ვარსკვლავი

გასულ კვირას, ჰოკეის ეროვნული ლიგის პირველი ვარსკვლავი გახდა "ოტავა სენატორზის" მეკარე **რობინ ლენერი**, რომელმაც თავის გუნდს სამიდან სამი მატჩი მოაგებინა. ამ სამ შეხვედრაში შვედი გოლკიპერი საშუალოდ 1.33 შაიბას უშვებდა და მეტოქეთა დარტყმების 95.8 პროცენტს იგერიებდა. 22 წლის ჰოკეისტმა ამ სეზონში რვა მატჩში მიიღო მონაწილეობა და ექვსში ორ ან ნაკლებ შაიბას უშვებდა.

კვირის მეორე ვარსკვლავიც მეკარეა - "ანაჰაიმ დაქსის" კარის დარაჯი **ფრედერიკ ანდერსენი**. მას ზუსტად ისეთივე სტატისტიკა ჰქონდა, როგორიც ლენერს: სამიდან სამი მოგება, 1.33 გაშვებული შაიბა და მოგერიების 95.8 პროცენტი. დანიელი ანდერსენი, რომელიც "იხვების" მეორე მეკარეა, ზედიზედ რვა მატჩია იცავს "ანაჰაიმის" კარს და აქედან ხუთი შეხვედრა მოიგო.

მესამე ვარსკვლავის სტატუსი მიიღო "ჩიკაგოს" ფორვარდმა **პატრიკ შარპმა**, რომელმაც გასული კვირის სამ შეხვედრაში 7 ქულა (1+6) დააგროვა. თავდამსხმელმა განსაკუთრებით გამოიჩინა თავი "ვინიპეგთან" მატჩში, რომელშიც კარიერაში მეორედ შეძლო ოთხი პასის შესრულება.



რობინ ლენერი

აღმოსავლეთი

ატლანტიკი

| | თ | მ | წ | ოწ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ტამპა ბეი | 17 | 12 | 5 | 0 | 24 |
| 2. ბოსტონი | 17 | 11 | 5 | 1 | 23 |
| 3. ტორონტო | 17 | 11 | 6 | 0 | 22 |
| 4. დეტროიტი | 18 | 9 | 5 | 4 | 22 |
| 5. მონრეალი | 18 | 9 | 8 | 1 | 19 |
| 6. ოტავა | 17 | 7 | 6 | 4 | 18 |
| 7. ფლორიდა | 18 | 3 | 11 | 4 | 10 |
| 8. ბაფალო | 19 | 3 | 15 | 1 | 7 |

მეტროპოლიტენი

| | თ | მ | წ | ოწ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. პიტსბურგი | 17 | 11 | 6 | 0 | 22 |
| 2. ვაშინგტონი | 18 | 9 | 8 | 1 | 19 |
| 3. რეინჯერსი | 17 | 9 | 8 | 0 | 18 |
| 4. კაროლინა | 17 | 6 | 7 | 4 | 16 |
| 5. ნიუ ჯერსი | 17 | 5 | 7 | 5 | 15 |
| 6. აილენდერსი | 18 | 6 | 9 | 3 | 15 |
| 7. კოლამბუსი | 16 | 6 | 10 | 0 | 12 |
| 8. ფილადელფია | 16 | 5 | 10 | 1 | 11 |

დასავლეთი

ცენტრალური

| | თ | მ | წ | ოწ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. კოლორადო | 16 | 14 | 2 | 0 | 28 |
| 2. ჩიკაგო | 18 | 12 | 2 | 4 | 28 |
| 3. სტ. ლუისი | 15 | 11 | 2 | 2 | 24 |
| 4. მინესოტა | 18 | 10 | 4 | 4 | 24 |
| 5. ნეშვილი | 17 | 8 | 7 | 2 | 18 |
| 6. დალასი | 17 | 8 | 7 | 2 | 18 |
| 7. ვინიპეგი | 19 | 8 | 9 | 2 | 18 |

პასიფიკი

| | თ | მ | წ | ოწ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ანაჰაიმი | 19 | 15 | 3 | 1 | 31 |
| 2. ფინიქსი | 18 | 12 | 4 | 2 | 26 |
| 3. სან ხოსე | 17 | 10 | 2 | 5 | 25 |
| 4. ვანკუვერი | 20 | 11 | 7 | 2 | 24 |
| 5. ლოს ანჯელესი | 17 | 11 | 6 | 0 | 22 |
| 6. კალგარი | 17 | 6 | 9 | 2 | 14 |
| 7. ედმონტონი | 19 | 4 | 13 | 2 | 10 |

*შენიშვნა*: პლეი ოფში თითო დივიზიონიდან სამ-სამი საუკეთესო გუნდი გადის. კიდევ ოთხ საგზურს თითო კონფერენციიდან უაილდ-ქარდის მფლობელი ორ-ორი გუნდი მიიღებს.

ბომბარდირები

| | |
|---|---|
| სტივენ სტემკოსი (ტ-ბეი) | 23 (14+9) |
| სიდნი კროსბი (პიტ) | 23 (8+15) |
| რაიან გეტცლაფი (ანა) | 22 (10+12) |
| ალექსანდრ სტინი (ს-ლუი) | 21 (14+7) |
| კორი პერი (ანა) | 21 (11+10) |
| ალექს ოვეჩკინი (ვაშ) | 20 (13+7) |
| ჰენრიკ ზეტერბერგი (დეტ) | 20 (10+10) |
| ჯონ ტავარესი (აილ) | 20 (7+13) |
| ნიკლას ბექსტრიომი (ვაშ) | 20 (5+15) |
| ჰენრიკ სედინი (ვან) | 20 (3+17) |

გოლები

| | |
|---|---|
| სტივენ სტემკოსი (ტ-ბეი) | 14 |
| ალექსანდრ სტინი (ს-ლუი) | 14 |
| ალექს ოვეჩკინი (ვაშ) | 13 |
| კორი პერი (ანა) | 11 |
| ჯეისონ პომინვილი (მინ) | 11 |
| მეტ დუშენი (კოლ) | 11 |

პასები

| | |
|---|---|
| ჰენრიკ სედინი (ვან) | 17 |
| ჯო ტორნტონი (ს-ხოს) | 15 |
| ნიკლას ბექსტრიომი (ვაშ) | 15 |
| სიდნი კროსბი (პიტ) | 15 |
| კაილ ოკსოპო (აილ) | 14 |
| პი კეი საბენი (მონ) | 14 |
| კაილ ტარისი (ოტა) | 14 |

# ხუთი ლეგენდა დიდების დარბაზში



ტორონტოში გაიმართა ჰოკეის დიდების დარბაზში ახალი წევრების შეყვანის ცერემონია, რომლის მთავარი მოქმედი პირები იყვნენ NHL-ის ლეგენდარული მოთამაშეები - **კრის ჩელიოსი, სკოტ ნიდერმაიერი და ბრენდან შენეჰანი**. გარდა ამისა, დიდების დარბაზში მოხვდნენ მწვრთნელი **ფრედ შერო და** მცველი **ჯერალდინ ჰინი** - ქალთა ჰოკეის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენლები.

ალვნიშნავთ, რომ ჩელიოსმა სამჯერ მოიგო სტენლის თასი. მან "მონრეალის", "ჩიკაგოს", "დეტროიტის" და "ატლანტას" რიგებში 1651 მატჩი ჩაატარა და 948 ქულა (185 შაიბა+763 შედეგიანი პასი) დააგროვა. ნიდერმაიერი "ნიუ ჯერსისა" და "ანაჰაიმში" თამაშობდა და 1263 მატჩში 740 ქულა (172+568) მიითვალა. მას ჩრდილოეთ ამერიკისა და საერთაშორისო დონეზე ყველა ტურნირი აქვს მოგებული (ოთხჯერ სტენლის თასი, ორი ოლიმპიადა და მსოფლიოს ჩემპიონატი). რაც შეეხება შენეჰანს, მან სამჯერ მოიგო სტენლის თასი და ერთხელ ოლიმპიადის ოქროს მედალი. მის ანგარიშზეა 1524 მატჩი და 1354 ქულა (656+698).

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ცხელი ხაზი

ფეხბურთი

ევრო 2014

UNDER 19

| | |
|---|---|
| სლოვაკეთი-ბულგარეთი | 1:2 |
| საბერძნეთი-ალბანეთი | 1:0 |

ინგლისი

JP Trophy

| | |
|---|---|
| ჰარტლპული-როტერჰემი | 1:2 |
| პიტერბრო-დანეგჰემი | 1:0 |
| ჩესტერფილდი-როჩდეილი | 3:0 |
| ნიუპორტი-პორტსმუტი | 3:0 |
| ოლდჰემი-ნოტსი | 5:1 |
| სტივენეიჯი-ლეიტონი | 3:2 |
| სუინდონი-უიკომბი | 2:1 |

კონფერენსი

| | |
|---|---|
| ბარნეტი-უელინგი | 0:0 |
| ბრენტრი-ლუტონი | 1:2 |
| კემბრიჯი-ალდერშოტი | 4:0 |
| ფორესტ გრინი-ნანიტონი | 1:0 |
| ჰალიფაქსი-ჰაიდი | 4:0 |
| ჰერეფორდი-ჩესტერი | 2:2 |
| მაკლსფილდი-კიდერმინსტერი | 1:1 |
| საუთპორტი-ლინკოლნი | 0:1 |
| ტამუორტი-ალფრეტონი | 1:0 |
| უოკინგი-დარტფორდი | 3:0 |
| რექსჰემი-გეიტშიდი | 3:2 |

გერმანია

რეგიონალლიგა (დას)

| | |
|---|---|
| იურდინგენი-ალემანია | 2:2 |

პორტუგალია

II დივიზიონი

| | |
|---|---|
| შავეში-ბენფიკა B | 3:1 |

შოტლანდია

ლიგის თასი

| | |
|---|---|
| ანენი-სტენჰაუზმური | 2:2 დ.დ. 2:4 |

I ლიგა

| | |
|---|---|
| ეირი-სტრანრარი | 3:6 |

უელსი

ლიგის თასი

| | |
|---|---|
| ბალა-ეირბასი | 2:1 |

ჩრ. ირლანდია

ლიგის თასი

| | |
|---|---|
| ბალიმენა-პორტდაუნი | 4:0 |
| კლიფტონვილი-ბანგორი | 4:0 |
| გლენავონი-არდსი | 3:3 პენ. 4:5 |
| ლინფილდი-კრუზეიდერ. | 1:1 პენ. 9:10 |

უნგრეთი

ლიგის თასი

| | |
|---|---|
| ვარდა-ვაშაში | 2:1 |
| აიკა-დირმოტი | 0:2 |

სლოვენია

| | |
|---|---|
| რუდარი-კრკა | 0:1 |

კალათბურთი

ევროთასი

| | |
|---|---|
| ნიმბურკი-ერტლანდი | 86:70 |
| გრაველენი-სარაგოსა | 85:67 |
| ოლდენბურგი-ბილბაო | 91:86 |
| შალონი-ცედევიტა | 65:80 |
| მონსი-ალბა | 57:77 |
| რომა-ტელეკომი | 75:85 |

ევროჩელენჯი

| | |
|---|---|
| ურალი-თოფასი | 74:70 |
| კტპ-რეჯო ემილია | 75:71 |
| მურეში-შოლნოკი | 72:85 |
| ვენტსპილსი-სედერტალე | 72:63 |
| კერმენდი-გაზ მეთანი | 68:73 |
| იასბერენი-კრკა | 41:58 |
| ბაკენი-კატაია | 101:91 |
| გაზიანთეფი-ატომერომუ | 75:63 |
| ორადია-კრ. კრილია | 74:89 |
| რაკვერე-დიჟონი | 64:65 |
| ვენა-ტარტუ | 82:74 |
| დენ ბოში-ანტვერპენი | 83:76 |
| შოლე-ლეიდენი | 74:52 |
| გენერალი-გრონინგენი | 83:82 |

საფრანგეთი

| | |
|---|---|
| ნანსი-როანი | 56:49 |

ჰოკეი

გერმანია

| | |
|---|---|
| დიუსელდორფი-იზერლონი | 3:4 |

დანია

| | |
|---|---|
| ოდენსე-ოლბორგი | 2:1 |
| როდოვრე-რუნგსტედი | 3:4 |
| სონდერიისკი-ფრედრიკშავნი | 6:3 |
| ესბერგი-ჰერნინგი | 1:2 (ო) |

ნორვეგია

| | |
|---|---|
| სტავანგერი-რუსენბორგი | 7:1 |
| ვოლერენგა-სპარტა | 4:1 |
| სტორჰამარი-ლორენსკოგი | 3:1 |
| სტიერნენი-ტონსბერგი | 2:1 |
| ფრისკ ასკერი-ლილეჰამერი | 6:1 |

ფინეთი

| | |
|---|---|
| იოკერიტი-ბლუზი | 2:3 |
| ტპს-კერპეტი | 1:2 (ბ) |
| ჰიფკ-ტაპარა | 2:1 |
| ჰპკ-ილვესი | 3:0 |

შვედეთი

| | |
|---|---|
| ვექსიო-ბრინასი | 3:4 (ბ) |
| ლექსანდი-ფერიესტადი | 3:1 |
| ლინჩოპინგი-შელეფტეო | 3:4 |
| ლულეა-ფრიოლუნდა | 1:3 |
| ჰვ71-აიკ | 4:3 (ბ) |
| ორებრო-მოდო | 1:2 (ბ) |

TV პროგრამა

13 ნოემბერი. ოთხშაბათი

GMG-ფეხბურთი

10:00 არგენტინის ჩემპიონატი. XV ტური. ნიუელსი-სან ლორენცო.
12:00 გერმანიის ჩემპიონატი. XII ტური. ვოლფსბურგი-დორტმუნდი.
14:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. XIII ტური. ცვოლე-ტვენტე.
16:00 გერმანიის ჩემპიონატი. XII ტური. ბორუსია (მ)-ნიურნბერგი.
18:00 პორტუგალიის ჩემპიონატის მიმოხილვა
19:00 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. ნაპოლი-მარსელი.
21:00 არგენტინის ჩემპიონატი. XV ტურის მიმოხილვა.
22:00 ჩემპიონთა ლიგა. სტუდიური მიმოხილვა.
23:00 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. ზენიტი-პორტო.
01:00 გერმანიის ჩემპიონატი. XII ტური. ფრაიბურგი-შტუტგარტი.

GMG-სპორტი 1

10:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. სოსიედადი-მანჩესტერ იუნ.
12:00 სპორტ-NEWS.
12:15 რაგბი-ლიგა. მსოფლიო თასი. ახალი ზელანდია-სამოა.
14:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
15:00 ფეხბურთი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. ბრედა-ეინდჰოვენი.
17:00 კალათბურთი. ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. ფენერბახჩე-ბარსელონა.
19:00 მსოფლიო ფეხბურთის ლიდერები.
20:00 სპორტ-NEWS.
20:30 საჩოგბურთო მიმოხილვა.
21:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. "ჩემპიონთა ტურნირი". ფინალი. სოფია. ბულგარეთი.
00:15 მსოფლიო კალათბურთის ლეგენდები.

GMG-სპორტი 2

10:00 ჩოგბურთი. ATP-ის წლის შემაჯამებელი ტურნირი. ლონდონი. ინგლისი.
12:50 სპორტ-NEWS.
13:20 ჩოგბურთი. ATP-ის წლის შემაჯამებელი ტურნირი. ლონდონი. ინგლისი.
16:00 საჩოგბურთო მიმოხილვა.
16:40 სპორტ-NEWS.
17:10 ჩოგბურთი. დევისის თასი.

ამინდის პროგნოზი

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 9 | 17 | (მცირე წვიმა) |
| ქუთაისი | 12 | 16 | (წვიმა) |
| ბათუმი | 13 | 17 | (მცირე წვიმა) |
| ფოთი | 12 | 17 | (მცირე წვიმა) |
| ზუგდიდი | 10 | 18 | (მზე) |
| გორი | 8 | 15 | (მცირე წვიმა) |
| თელავი | 8 | 16 | (მცირე წვიმა) |
| სიღნაღი | 6 | 14 | (მცირე წვიმა) |
| ბაკურიანი | 2 | 12 | (მცირე წვიმა) |
| ბორჯომი | 7 | 13 | (მცირე წვიმა) |
| მესტია | 1 | 11 | (მცირე წვიმა) |

ვალუტის კურსი

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.2483 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6778 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.6650 |
| 100 რუსული რუბლი | 5.1141 |

ფორმულა 1



ფერნანდო ალონსო

## ალონსოს აშშ-ში ვნახავთ

„ფერარის" პილოტმა **ფერნანდო ალონსომ** ჟურნალისტებს გამოუცხადა, რომ მონაწილეობას მიიღებს აშშ-ის გრანპრიში, რომელიც უახლოეს უქმეებზე გაიმართება. ესპანელმა გაიარა სამედიცინო შემოწმება და ექიმებისგან ტრასაზე გასვლის ნებართვა მიიღო.

*„ბარგი უკვე ჩავალაგე და ოსტინში მივემგზავრები. მართალია, ზურგის არეში ტკივილს ისევ ვგრძნობ, მაგრამ ტრასაზე აუცილებლად გავალ და გუნდს დავეხმარები. როგორც ყოველთვის, ვეცდები 100 პროცენტით წარმოვაჩინო ჩემი შესაძლებლობები",* - დაწერა თავის „ტვიტერზე" ალონსომ.

შეგახსენებთ, რომ „ფერარი" კონსტრუქტორთა თასის ჩათვლაში მეორე ადგილისთვის ებრძვის „ლოტუსსა" და „მერსედესს".

## კუბიცა: დაბრუნება შეუძლებელია



რობერტ კუბიცა

„ფერარის" შეფმა **სტეფანო დომენიკალიმ** ამას წინათ განაცხადა, რომ მისი გუნდი ყურადღებით ადევნებდა თვალს **რობერტ კუბიცას** კარიერას, მაგრამ ნაკლებად სავარაუდოა, რომ პოლონელი ისევ ვიხილოთ ფორმულა 1-ის ბოლიდის საჭესთან. BBC-ისთვის მიცემულ ინტერვიუში კუბიცამ დაადასტურა, რომ პრაქტიკულად არ აქვს „დიდ ცირკში" დაბრუნების შანსი, რისი მიზეზით ხელის ტრავმაა.

*„ალბათ, შევძლებ ფორმულა 1-ის მანქანის პილოტირებას ტესტებზე, მაგრამ ამაში აზრს ვერ ვხედავ, რადგან არ შემიძლია რბოლებში მონაწილეობა. სტეფანო დომენიკალიმ თავისი აზრი გამოთქვა, მაგრამ ისედაც ცხადია, რომ შეზღუდული ვარ საკუთარ შესაძლებლობებში. ვოცნებობ ფორმულა 1-ში დაბრუნებაზე, ეს ჩემი მიზანია, მაგრამ ამ მომენტისთვის ეს ძალიან რთულია. მე ვიტყოდი, თითქმის შეუძლებელი",* - ამბობს პოლონელი.

ამბები

ჩოგბურთი

### ესპანელი ორი წლით დასაჯეს

ესპანელი ჩოგბურთელი **ნურია ლაგოსტერა-ვივესი** ორი წლით არის დისკვალიფიცირებული დოპინგის გამოყენებისთვის. სტენფორდის ტურნირის შემდეგ, მის ორგანიზმში აკრძალული პრეპარატი - მეტამფიტამინი აღმოაჩინეს. საქმის მოსმენაზე ლაგოსტერა-ვივესმა ვერ ახსნა, საიდან მოხვდა მის ორგანიზმში ეს პრეპარატი.

დისკვალიფიკაციის ათვლა 2013 წლის 8 სექტემბრიდან დაიწყო და 2015 წლის 7 სექტემბრამდე იქნება ძალაში.

ოლიმპიზმი

### სტოკჰოლმიც პრეტენდენტია

შვედეთის დედაქალაქი სტოკჰოლმი გახდა მეშვიდე ქალაქი, რომელიც პრეტენზიას აცხადებს 2022 წლის ზამთრის ოლიმპიადის მასპინძლობაზე. უფრო ადრე, ამგვარი სურვილი გამოთქვეს: პეკინმა (ჩინეთი), ალმათიმ (ყაზახეთი), ლვოვმა (უკრაინა), ოსლომ (ნორვეგია) და ერთობლივად პოლონეთმა და სლოვაკეთმა (კრაკოვი და იასნა). კიდევ ერთი პრეტენდენტი შეიძლებოდა ყოფილიყო მიუნხენი, მაგრამ ქალაქის მცხოვრებლებმა სპეციალურ რეფერენდუმზე უარი თქვეს ოლიმპიადის ჩატარებაზე.

სტოკჰოლმმა 1912 წელს უმასპინძლა ზაფხულის ოლიმპიადას. განაცხადების მიღების ვადა 14 ნოემბერს იწურება. 2022 წლის ოლიმპიადის მასპინძელს 2015 წელს აირჩევენ.

ჩოგბურთი. ATP-ის შემაჯამებელი

# ჯოკოვიჩის ოქროს შემოდგომა

გუშინ, **ნოვაკ ჯოკოვიჩი** მესამედ გახდა წლის შემაჯამებელი ტურნირის გამარჯვებული და თავისი საშემოდგომო წაუგებელი სერია 22 მატჩამდე აიყვანა.

სერბისა და ესპანელი **რაფაელ ნადალის** ფინალი წლევანდელი სეზონის კულმინაცია და ლოგიკური დასასრული იყო. კორტზე ერთმანეთის პირისპირ ამ მომენტისთვის მამაკაცთა ტურის საუკეთესო მოთამაშეები იდგნენ და მათგან რომელიმესთვის ფავორიტის სტატუსის მინიჭება ძალიან რთული იყო.

ნადალის მოტივაციას ზრდიდა ის, რომ მის კოლექციაში არ მოიპოვება წლის შემაჯამებელი ტურნირის მთავარი პრიზი, ჯოკოვიჩს კი, ალბათ, ცუდად ახსოვდა როლან გაროსის ნახევარფინალსა და აშშ-ის ღიას ფინალში რაფასთან მარცხი.

ჯოკოვიჩმა ძალიან კარგად დაიწყო - ჯერ თავის გეიმში წააგო მხოლოდ ქულა, შემდეგ კი იგივე ნადალის გეიმში გააკეთა. მალე ჯოკომ სამგეიმიანი უპირატესობა მოიპოვა და მხოლოდ ამის შემდეგ შეძლო მატჩში პირველი გეიმის აღება ნადალმა.

მეხუთე გეიმში რთულ სიტუაციაში აღმოჩნდა ჯოკოვიჩი. ის 15:40 ჩამორჩა. ფინალამდე ნადალს ბრეიკ-პოინტების გამოყენების ფანტასტიკური მაჩვენებელი ჰქონდა - 70 პროცენტი (20-დან 14) და ამჯერადაც შეძლო დაკარგული მოწოდების დაბრუნება. ცოტა ხანში ანგარიში გათანაბრდა - 3:3. მერვე გეიმში ჯოკოვიჩმა ბრეიკ-პოინტი მოიპოვა, რომელიც ესპანელმა ეისით მოიგერია. მაგრამ ამას მოჰყვა ნადალის ორმაგი შეცდომა და ნოვაკმა მეორე შანსი ხელიდან არ გაუშვა: მეორე ბრეიკი გააკეთა და სეტზე ჩაწოდების უფლება მიიღო. მეცხრე გეიმში ჯოკოვიჩს 15:30-ზე გაუმართლა: მისი დარტყმის შემდეგ, ბურთი ბადეს მოხვდა და მეტოქის ნახევარზე გადავარდა. თუმცა ეს ის შემთხვევა იყო, როცა უძლიერესს უმართლებს: ჯოკოვიჩმა პარტია ეისით დაასრულა - 6:3.

მეორე სეტში ერთით მეტი გეიმი გათამაშდა, მაგრამ ეს პარტია ჯოკოვიჩმა უფრო იოლად მოიგო, რადგან რაფას ერთი ბრეიკ-პოინტიც არ ჰქონია. საერთო ჯამში, სერბს მთელი მატჩის განმავლობაში 11 ბრეიკ-პოინტი ჰქონდა, ესპანელს მხოლოდ სამი. გადამწყვეტი კი მეორე პარტიაში მესამე გეიმი აღმოჩნდა: ნოვაკმა მიღებაზე შესანიშნავად ითამაშა და ნადალმა 0:40 მიიღო. მართალია, ესპანელმა ორი ბურთი მოიგერია, მაგრამ მესამე ცდაზე ნოვაკმა მაინც მიაღწია საწადელს.

ამის შემდეგ, ჯოკოვიჩი კორტის ბატონ-პატრონი გახდა. ნადალს ძალიან უჭირდა თავისი გეიმების შენარჩუნება და ერთხელ, მეცხრე გეიმში ნოლემ მატჩბოლიც მიიღო, მაგრამ რაფამ გადაარჩინა თავისი მოწოდება. თამაშმა კულმინაციას მიაღწია.

მეათე გეიმში ჯოკოვიჩმა პირველ ორ ბურთზე საიმედოდ ითამაშა, მაგრამ შემდეგ ნადალს შეტევის საშუალება მისცა და ანგარიში გათანაბრდა - 30:30. ამას მოჰყვა კარგი პირველი მოწოდება და მეორე მატჩბოლი, რომელზეც ჯოკომ ზედმეტად ფრთხილად იმოქმედა და ქულა დათმო. შემდეგ იყო მატჩში მეექვსე ეისი და მესამე ცდაზე გამოყენებული მატჩბოლი. სერბი დამსახურებულ გამარჯვებას ზეიმობდა - 6:3, 6:4 საათსა და 36 წუთში.

ასე რომ, ჯოკოვიჩის „ოქროს შემოდგომა" გრძელდება. მან უკვე ზედიზედ 22 მატჩი მოიგო, ტიტულების რიცხვი სეზონში შვიდამდე აიყვანა, კარიერაში - 41-მდე. ახლა, წინ არის დევისის თასის საშინაო ფინალი ჩეხეთის ნაკრების წინააღმდეგ.

### ჯოკოვიჩი VS ნადალი ციფრებში

3 - ნოვაკ ჯოკოვიჩმა ჯგუფურ ეტაპზე სამივე მატჩში მესამე სეტში მოიგო;

3 - ჯოკოვიჩს ასპროცენტიანი მაჩვენებელი აქვს შემაჯამებელი ტურნირების ფინალებში. 2008 წელს მან **ნიკოლაი დავიდენკოს** მოუგო გადამწყვეტი მატჩი (6:1, 7:5), შარშან კი **როჯერ ფედერერს** აჯობა (7:6, 7:5);

5 - რაფაელ ნადალმა კარიერაში მეხუთედ მოიგო ერთ სეზონში 70-ზე მეტი მატჩი. საუკეთესო შედეგი მას 2008 წელს ჰქონდა (82 მოგება), წელს კი 75 გამარჯვებაზე გაჩერდა;

5 - ნადალმა წელი პირველი ჩოგანის რანგში დაასრულა მას შემდეგ, რაც წინა სეზონის ბოლოს TOP3-ის მიღმა იმყოფებოდა. ადრე ასეთი რამ **ანდრე აგასიმ** (1999), **გუსტავო კუერტენმა** (2000), **ლეიტონ ჰიუიტმა** (2001) და **ენდი როდიკმა** (2003) შეძლეს;

6 - ნადალმა და ჯოკოვიჩმა წელს მეექვსედ ითამაშეს ერთმანეთის წინააღმდეგ. ეს დაპირისპირება 3:3 დასრულდა. მათი ურთიერთშეხვედრათა საერთო ანგარიშია - 22:17 ნადალის სასარგებლოდ;

8 - ჯოკოვიჩი მერვე ჩოგბურთელია ისტორიაში, ვინც წლის შემაჯამებელ ტურნირზე ტიტული დაიცვა;

10 - ნადალმა წელი 10 ტიტულით დაასრულა. უფრო მეტი გამარჯვება ესპანელს 2005 წელს ჰქონდა - 11;

19 - ჯოკოვიჩმა და ნადალმა მეცხრამეტედ ითამაშეს ერთმანეთის წინააღმდეგ ფინალში. უფრო მეტი გადამწყვეტი მატჩი ჰქონდათ იმავე ნადალსა და ფედერერს, ასევე **ივან ლენდლსა და ჯონ მაკინროის** - 20;

22 - ჯოკოვიჩის მოგებათა სერია 22 მატჩს უდრის. ნადალს წელს ასეთი სერია ორჯერ ჰქონდა: 22 აპრილიდან 24 ივნისამდე, შემდეგ 5 აგვისტოდან და 6 ოქტომბრამდე. თუმცა ჯოკოვიჩს აქვს ამ სერიის გაზრდის საშუალება, [illegible] წარმატებით ითამაშებს დევისის თასის ფინალში;

85 - ნადალი ATP-ის ტურში 85-ე ფინალში თამაშობდა. აქედან მას 60 მოგება და 25 წაგება აქვს;

108 - ნადალი 108-ე კვირას ატარ[illegible] მსოფლიოს პირველი ჩოგანის რანგში. ეს მეშვიდე შედეგია ისტორიაში. ესპანელს კიდევ ერთი კვირა ლიდერობა სჭირდება იმისთვის, რომ შვედ **ბიორნ ბორგს** (109 კვირა) გაუთანაბრდეს. ლიდერია ფედერერი - 302 კვირა;

920 - ლონდონის ტურნირის შემდეგ, ნადალი 920 ქულით უსწრებს რეიტინგში ჯოკოვიჩს.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**




ნოვაკ ჯოკოვიჩი

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე გია თვალაბეიშვილი (599 56 17 38); მოადგილეები: ნიკოლოზ ნეფარიძე (595 09 03 28), გია ტუხაშვილი (555 50 05 13);
მხატვრული რედაქტორი: ვაჟა სიმონიშვილი; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: თამუნა ყულუმბეგაშვილი.
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).
პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2 19 60 13; 2 19 60 53. ელფოსტა: contact@pallitra.ge; მისამართი: იოსებიძის, 49. ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:50 ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: ირაკლი თავაძე
ტელეფონი: 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; leloltd@gmail.com (რედაქცია); lelo@palitra.ge ინდექსი 66435 INDEX. სარეკლამო განყოფილება: 237 78 07; 2 38 78 70
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გზებით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608